„პრეზიდენტი კონტროლის პალატას ანგარიშსწორების იარაღად იყენებს„ A2

"თბილგაზი" - საახალწლო საჩუქარი თუ დანაელთა ძლევენი საკაშვილისთვის A3

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 17 დეკემბერი, 2002 წელი. №198

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### რა, ბნელა? არა, კი ბნელა, მაგრამ - ასე?

*"კი მაგრამ, ბატონო ვიტალი, ბნელა? არა, ისე, ქვეყანაში როგორ არ ბნელა, მაგრამ - ასე? " - მიმართა ვიტალი ხაზარაძეს აღშფოთებულმა პარლამენტის თავმჯდომარემ.*

A2

## უცხოეთი

### „დროებით შეურაცხადი„ რუსი პოლკოვნიკი

*ორშაბათს სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ პოლკოვნიკი ბუდანოვი შეურაცხადად გამოაცხადა. ბუდანოვი ერთადერთი რუსი ოფიცერია, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო რუსული სასამართლოს წინაშე წარსდგა.*

A4

## ეკონომიკა

### ნათელაშვილს ერთი სული აქვს, სასამართლოში შევარდნაძე დაკითხოს

*შალვა ნათელაშვილმა სასამართლოს სხდომაზე პრეზიდენტ შევარდნაძის მობრძანებაც მოითხოვა, თუმცა იქვე გაირკვა, რომ ამის აუცილებლობა არ არის*

A6

## სამართალი

### პატიმარმა ქალებმა შიმშილობა შეწყვიტეს

*ავჭალის ქალთა კოლონიაში 30-მდე პატიმარმა ქალმა გუშინ შიმშილობის აქცია შეწყვიტა. ასეთ გადაწყვეტილებამდე, შიმშილობის მე-9 დღეს პატიმრები კოლონიაში უშიშროების საბჭოს წევრის რუსუდან ბერიძისა და სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის სტუმრობის შემდეგ მივიდნენ. რუსუდან ბერიძემ მოშიმშილეებს პრეზიდენტის დანაპირები გადასცა, რომლის თანახმად, შეწყალების კომისია კიდევ ერთხელ გადახედავს მათ საქმეებს – დანარჩენი კი უკვე პრეზიდენტის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.*

A7

## საზოგადოება

### სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - დრომოჭმული და ანტიკონსტიტუციური

*სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, საბოლოო ჯამში, რეგრესული ხასიათის აღმოჩნდა – კოდექსს აშკარად შეეტყო მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ხელი. ამჟამად დღის წესრიგში ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შექმნა დადგა.*

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | -1 | ☁ |
| ქუთაისი | 6 | ⛅ |
| ბათუმი | 9 | ☀ |
| სოხუმი | 6 | ☀ |
| ფოთი | 8 | ☀ |
| თელავი | -2 | ☁ |
| ზუგდიდი | 7 | ☀ |
| გორი | -2 | ☁ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1600 |
| ევრო | 2.2103 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4206 |
| რუბლი | 0.0678 |

# ხელისუფლება არაფერს აკეთებს აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად



ლევან ხერხეულიძის ფოტო

აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის კრიტიკას მორჩილად ისმენდა.

თამარ ხორბალაძე

*გუშინ პარლამენტის აფხაზეთის საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისიისა და ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე პარლამენტის დადგენილების - "აფხაზეთის ტერიტორიაზე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით" - შესრულების შედეგები მოისმინა და დაასკვნა, რომ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ დადგენილების შესასრულებლად და აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად, მას შემდეგ, პრაქტიკულად, არაფერი გაუკეთებია.*

*ერთადერთი, რაც დადგენილების შესრულების მიზნით გაკეთდა, პარლამენტის მიერ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა გახლდათ.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ედეპე„ პოლიტიკაში „ახალი სახეებითა და მუდმივი ღირებულებებით„ ბრუნდება

თამარ მჭედლიშვილი

*ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას 85 წელი შეუსრულდა. გუშინ ოპერისა და ბალეტის თეატრში შეკრებილმა ეროვნულ-დემოკრატებმა იუბილეს პარტიის მეშვიდე კონფერენცია მიუძღვნეს და **"სრულიად ახალი გეგმითა და ძველი ღირებულებებით"** წარდგნენ საზოგადოების წინაშე.*

1995 წლამდე ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა და ძლიერმა პოლიტიკურმა პარტიამ ბოლო რვა წლის განმავლობაში ნელ-ნელა დაკარგა პოზიციები და საბოლოოდ, არათუ პარლამენტის, არამედ თბილისის საკრებულოს მიღმაც დარჩა.

**"გია ჭანტურიას მკვლელობა, პარტიის ორად გახლეჩა, თავად "ედპ"-ში მიმდინარე საკმაოდ რთული პროცესები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, გარედან იყო ინსპირირებული",** – ეს ის მიზეზებია, რომლებმაც, პარტიის აქტივისტთა განცხადებით, "ედეპეს" საკმაოდ რთული პრობლემები შეუქმნა.

გაგრძელება A3 გვერდზე



"ედპ"-ს კონფერენციის სტუმართა შორის მხოლოდ "მოქკავშირი" არ იყო.

# საქართველოსგან ნატო პატიოსან ხელისუფლებას ითხოვს

გვანცა კვინიკაძე

*პრაღის სამიტზე, ნატო-ში გაწევრიანების სურვილის ოფიციალურად გამოცხადებამდე, საქართველოს ამ ალიანსთან თანამშრომლობის სპეციალური პროგრამა უკვე შედგენილი ჰქონდა. ნატო-სთან ურთიერთობის ძირითად (უსაფრთხოების) სფეროში არსებული ამოცანების წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე. პროგრამით განსაზღვრულია ის კრიტერიუმებიც, რომელთა შესრულება საქართველომ არა მხოლოდ თავდაცვის, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებშიც უნდა უზრუნველყოს. ექსპერტთა აზრით, ნატო-სთან თანამშრომლობის პროგრამა ძლიერ სტიმულს მისცემს საქართველოს შიდა ეკონომიკურ განვითარებას. თუმცა, ამიერიდან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გარდა, ეკონომიკური მიღწევების შესახებ ანგარიშის ჩაბარება ქვეყანას ნატო-სთვისაც მოუწევს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი დეტალები სადი შარიფოვის საქმეში

თამარ კაციტაძე

გუშინ გენერალურმა პროკურატურამ კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მიმართა და ბრალდებულ გეგი გურჩიანისთვის, შარიფოვის გატაცებაში მონაწილეობისთვის, სამი თვით წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

თავად ბრალდებულის აღიარების გარდა, გურჩიანის ბრალეულობის თაობაზე კონკრეტულად რა მტკიცებულებები დაუსახელა გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ, ავთანდილ კერესელიძემ სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა სონღულაშვილს, ჩვენთვის უცნობია, რადგან ერთი საათის განმავლობაში სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. თუმცა, ბრალდების მხარის მტკიცებულებები აშკარად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა მართლმსაჯულებისთვის. **"დაკმაყოფილდეს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის შუამდგომლობა გეგი გურჩიანის მიმართ სამი თვით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ,"** – უკვე საჯაროდ განაცხადა მამუკა სონღულაშვილმა.

გაგრძელება A7 გვერდზე

# 2003 წლის სამხედრო ბიუჯეტი თევზაძის ქვაბში ვერ ეტევა, შევარდნაძისაში ლაღად არის

გიორგი ასანიშვილი

***"2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, თავდაცვის სამინისტროსთვის, წლევანდელთან შედარებით, გაცილებით მეტი სახსრების გამოყოფაა გათვალისწინებული. ნავარაუდევია, დაახლოებით, 50-60-პროცენტიანი ზრდა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებითაც,"*** *- განაცხადა გუშინდელ რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა შევარდნაძემ. სახელმწიფოს პირველი პირის ასეთი ამაღლებული პათოსის მიუხედავად, მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ფაქტმა პარლამენტში და თუნდაც თავად თავდაცვის სამინისტროში აღტაცება გამოიწვიოს.*

პროცენტებიდან კონკრეტულ თანხებზე "გადასვლას" პრეზიდენტი თავს არიდებს და არ განმარტავს, რომ, "რეკორდული პროცენტული ზრდის" შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ 56 მილიონი ლარი გამოეყოფა, მაშინ, როდესაც თავად ამ უწყების ხელმძღვანელობა 130 მილიონს, ხოლო თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტი, მინიმუმ, 80 მილიონ ლარს ითხოვს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შევარდნაძე - პარლამენტის ოპონენტი და მხარდამჭერი

გიორგი ასანიშვილი

*ამ ბოლო დროს, პრეზიდენტი შევარდნაძე საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებებს არ სწყალობს. მას უკვე თაროზე აქვს შემოდებული პარლამენტის დადგენილებები კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გატანის, აგრეთვე დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ. როგორც ჩანს, იგივე ბედი ელის კანონმდებელთა მიერ ახლახან მიღებულ დოკუმენტს, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) რუსეთის გაწევრიანებისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ, მოსკოვის მხრიდან გარკვეულ პოლიტიკურ დათმობებზე წასვლას გულისხმობს. ერთი სიტყვით, მართალია, შევარდნაძე აცხადებს, რომ პარლამენტთან ის **"ურთიერთგაგების პირობებში მუშაობს და არც თუ ცუდად თანამშრომლობს"**, მაგრამ პრაქტიკა და რეალობა, ხშირად, სხვა სურათს წარმოაჩენს.*

გუშინდელ ბრიფინგზე პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ "საქართველოს პარლამენტის მცდელობა, ხელი შეუშალოს WTO-ში რუსეთის გაწევრიანებას, არარეალურია" (თუმცა, აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო ორგანოს ასეთი დოკუმენტი ნამდვილად არ მიუღია. პირიქით, პარლამენტის შესაბამის დადგენილებაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღების მხარდაჭერაზეა ლაპარაკი, ოღონდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ - აფხაზეთის საკითხში ზოგიერთ დათმობაზე წასვლის სანაცვლოდ).

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი**. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი იოსებ კობზონი საკუთარი ინიციატივით თბილისში ლეგენდარულ მსახიობს და სპორტულ კომენტატორს კოტე მახარაძეს ეწვია.

■ ■ ■

**თბილისი**. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, იტალიის"მილანის" ქართველი მცველის კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით "ძალიან სერიოზული ოპერატიული მუშაობა" მიმდინარეობს.

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის მხარდამჭერმა სამმა საპარლამენტო ფრაქციამ - „მოქალაქეთა კავშირმა", „ალიანსი - ახალი საქართველოსთვის", „თანადგომამ", ვიცე-სპიკერის თანამდებობის მოთხოვნით 60 ხელმოწერა უკვე შეაგროვა. „სპიკერატში გაზაფხულზე ჩატარებული რეფორმა სრულყოფილად არ განხორციელდა, რადგან მეექვსე ვიცე-საპიკერის თანამდებობა გიგი წერეთელმა უკანონოდ დაიტოვა", - განაცხადა ფრაქცია "თანადგომის" წევრმა გელა კვარაცხელიამ.

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილისა და „აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის პოლიტიკური მდივნის, ჯონდი ბალათურიას სასამართლო პროცესი საოლქო სასამართლოში 25 დეკემბერს განახლდება. ბალათურიამ ორი თვის წინათ განაცხადა, რომ ნადარეიშვილმა თბილისში სასახლეები აიშენა; გარდა ამისა, მან ნადარეიშვილი 25 ათასი რუსული პასპორტის ბენზინის დიდ პარტიაში გადაცვლაში დაადანაშაულა. ნადარეიშვილი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 600 ათასი ლარის გადახდას ითხოვს.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საპატრიარქოში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა აშშ-ს შეიარაღებული ძალების მთავარმა კაპელანმა ჯოუ სტეფანიმ. საქართველოს თავდაცვის სამინიტროს დიდი ხანია სურვილი აქვს შეიარაღებულ ძალებში მსგავსი სამსახური შექმნას. სტეფანის თქმით, კაპელანის სამსახური შეიარაღებულ ძალებში ძალზედ მნიშვნელოვანია და ამ მხრივ აშშ საქართველოს გამოცდილების გაზიარებაში ყოველმხრივ დაეხმარება.

■ ■ ■

**ვაშინგტონი.** პენტაგონმა განაცხადა, რომ ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომის შემთხვევაში ასობით ჟურნალისტსა და ფოტოგრაფს ნებას დართავს, იმუშაონ ფრონტის წინა ხაზზე. „დარწმუნებული ვართ, რომ რაც მეტი ცნობა და ინფორმაცია გამოქვეყნდება ერაყის ფრონტიდან, მით უკეთესია", - განაცხადა პენტაგონის პრეს-მდივანმა ვიქტორია კლარკმა.

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებას, რომ „თბილგაზი" კვლავ მერიას უნდა დაუბრუნდეს, საკრებულოს მიმართ პირველ სერიოზულ თავდასხმად აფასებს. "თუ „თბილგაზი" მერიას დაუბრუნდება, დედაქალაქის ბიუჯეტის დიდი ნაწილი ამ კომპანიას უნდა მოხმარდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკრებულო ამომრჩეველს წინასაარჩევნო დაპირებებს ვერ შეუსრულებს" – განაცხადა ოქრუაშვილმა.

■ ■ ■

**თბილისი.** ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ 2002 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული საუკეთესო პუბლიკაციების გამოსავლენად შექმნილმა ჟიურიმ არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო და დაწესებული პირველი და მეორე პრემია 1000 და 800 ლარი არავის გადასცა. მესამე პრემია — 500 ლარი, გაზეთ „რეზონანსის" ჟურნალისტს ეკა ქევანიშვილს გადაეცა. ეს პროექტი, რომელიც საქართველოში გაერო-ს განვითარების ფონდმა დააფინანსა, ჰოლანდიის საელჩოსა და ელჩის ჰარი მოლენარის მხარდაჭერით განხორციელდა.

■ ■ ■

**ბაქო.** საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაფინანსების დაწყება, 2003 წლის პირველი კვარტლიდან მესამე კვარტალში გადაიტანეს. "ეს გავლენას არ მოახდენს პროექტის რეალიზაციის ვადებზე, – აცნობა ჟურნალისტებს კომპანია BP-აზერბაიჯანის პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა.

გადავადების მიზეზებს შორის ვუდვორდმა დაასახელა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან შექმნილი პრობლემები.

■ ■ ■

**ახალციხე.** დიდთოვლობისა და ყინვის გამო ახალციხეში, ნინოწმინდა - სომხეთის საზღვრის საავტომობილო გზაზე ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდა. ამ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის აუცილებელია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენება. იგივე წესით მოძრაობა შემოღებულია თბილისი-თიანეთის გზაზეც.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" პრეზიდენტმა ნანა კაკაბაძემ უზენაეს სასამართლოში ჩეჩენ პატიმართა სარჩელი შეიტანა.

საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული რუსლან გელოგაევი, ჰუსეინ ალხანოვი და რუსტამ ელიხაჯიევი პროტესტს აცხადებენ საქართველოს გენერალური პროკურატურისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, რომელიც ეხება მათ რუსეთში ექსტრადიციას.

■ ■ ■

**თბილისი.** "ადამიანის უფლბათა დაცვა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ კუთხით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბევრი კვლავაც გასაკეთებელია," - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. თუმცა, პრეზიდენტის თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვაზე იმ ვითარებაში, როცა ადამიანებს ქუჩაში კლავენ, იტაცებენ და მათ მიმართ ძალადობას ახორციელებენ, საუბარიც ზედმეტია.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" პრეზიდენტმა ნანა კაკაბაძემ უზენაეს სასამართლოში ჩეჩენ პატიმართა სარჩელი შეიტანა.

საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული რუსლან გელოგაევი, ჰუსეინ ალხანოვი და რუსტამ ელიხაჯიევი პროტესტს აცხადებენ საქართველოს გენერალური პროკურატურისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, რომელიც ეხება მათ რუსეთში ექსტრადიციას.

■ ■ ■

**თბილისი.** "ადამიანის უფლბათა დაცვა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ კუთხით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ბევრი კვლავაც გასაკეთებელია," - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. თუმცა, პრეზიდენტის თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვაზე იმ ვითარებაში, როცა ადამიანებს ქუჩაში კლავენ, იტაცებენ და მათ მიმართ ძალადობას ახორციელებენ, საუბარიც ზედმეტია.

*პრაიმ-ნიუსი. მედია-ნიუსი*

# აზერბაიჯანი საქართველოდან რუსული ბაზების სომხეთში გატანის წინააღმდეგია

*საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის თემასთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ძალზე შემაშფოთებელი აღმოჩნდა აზერბაიჯანისთვის, რადგან, როგორც "24 საათი" უკვე გამცნობდათ, რუსეთი სამხედრო ბაზების საქართველოდან სომხეთში გადატანის პერსპექტივას განიხილავს. გუშინ საქართველოში სამდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრი საფარ აბაევი, რომელმაც გუშინვე გამართა შეხვედრები თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტში.*

საფარ აბაევის შეხვედრების მთავარი თემა, ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად, რუსული ბაზების მომავალი ბედი და მასთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციის გამკაცრების მიღწევა გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას ამ საკითხზე უკვე დააფიქსირა პოზიცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომლის წარმომადგენელმაც აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მთავარია ბაზების მისი ტერიტორიიდან გატანა, თავდაცვის სამინისტრომ კი გააკეთა კომენტარი, სადაც ნათქვამია, რომ სომხეთში ამ ბაზების გატანა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს აზერბაიჯანს.

საქართველოში სტუმრად მყოფი აზერბაიჯანელი მინისტრი, გუშინდელი შეხვედრების დროს, საგანგებოდ უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ რუსეთის ბაზების სომხეთის ტერტორიაზე განთავსება მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული ყარაბაღის კონფლიქტი, ცალსახად მიუღებელია აზერბაიჯანისთვის. შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საქართველოსთვის არ არის სულერთი, თუ სად გავა შეიარაღება. მანვე ხაზი გაუსვა კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის აუცილებლობას და აღნიშნა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ევროპასთან ინტეგრაცია ერთიანობის წყალობით მოახერხეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საჰაერო სივრცის ერთობლივად გაკონტროლების საკითხზე. აღინიშნა, რომ აზერბაიჯანი უსასყიდლოდ მოამზადებს ათ ქართველ სამხედროს.

შეხვედრის შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ უპასუხა აზერბაიჯანელი ჟურნალისტების კითხვებს, მათ შორის, კითხვას იმის თაობაზე, თუ რატომ ვერ მოხერხდა საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოსთვის შესაბამისი შენობის გამოყოფა და როგორ აფასებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ქართველ პოლიციელთა მუშაობას (ეს კითხვა აზერბაიჯანული ეროვნების საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ჩვენს ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულებების კონტექსტში დაისვა).

ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა საელჩოსთან დაკავშირებული პრობლემა საბოლოოდ მოგვარდეს და აზერბაიჯანს - საქართველოში, საქართველოს კი - აზერბაიჯანში, ჰქონდეთ ისეთი შენობები მათი საელჩოებისთვის, როგორიც ორი ქვეყნის აქტიურ და მეტად მნიშვნელოვან თანამშრომლობას შეეფერება. ამასთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სთხოვა ჟურნალისტებს, არ დაუდონ აზერბაიჯანული ეროვნების მოქალაქეების მიმართ ჩადენილ დანაშაულებებს ეროვნებათაშორისი შუღლის სარჩული, რადგან ეს შემთხვევები, სამწუხაროდ, საქართველოში არსებული საერთო კრიმინალური სიტუაციის გამოძახილია.

*"24 საათი"*

# „პრეზიდენტი კონტროლის პალატას ანგარიშსწორების იარაღად იყენებს"

ვერიკო თევზაძე

*"კონტროლის პალატა გადაიქცა პოლიტიკური შეკვეთების ორგანოდ, ანგარიშსწორების იარაღად პოლიტიკური ოპონენტების, ოპოზიციის და მასთან დაახლოებული პირების მიმართ. კონტროლის პალატა აკეთებს იმას, რაც ხელისუფლებას სჭირდება და არა იმას, რაც ქვეყნისთვისაა სასიკეთო", - აი, ამგვარი განცხადებები გაისმოდა გუშინ "გაერთიანებული დემოკრატების" გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ფრაქციის მიერ საგანგებოდ მიწვეული კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი არ ესწრებოდა.*



ზურაბ ცქიტიშვილი კონტროლის პალატას სასამართლოში უჩივლებს.

**"კანცელარიაში თათბირი არ ტარდება, ბატონი სულხანი რომ არ ესწრებოდეს. მხედველობაში გვაქვს არა მარტო მთავრობის, არამედ კომისიებისა და სხვა სახის რიგითი სხდომები. იგი ყოველგვარ მიწვევას ეხმიანება. სულხან მოლაშვილს ავიწყდება, რომ კონტროლის პალატა პარლამენტს ექვემდებარება, მისი გამოუცხადებლობა ჩვენი შეურაცხყოფაა",** - დავით ტყეშელაშვილის ამ მოსაზრებას უკლებლივ ყველა "დემოკრატი" დაეთანხმა.

"დემოკრატები" განარისხა სულხან მოლაშვილის მიერ მთავრობის სხდომაზე ზურაბ ცქიტიშვილის წინააღმდეგ გამოსვლამ. თუმცა, გიორგი ბარამიძე, თავად ზურაბ ცქიტიშვილი და კიდევ რამდენიმე დეპუტატი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მათი შეკრების მიზანი კონკრეტული განცხადებები როდია. **"საკითხი ბევრად უფრო რთულად დგას. ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური საკითხი. ბატონი მოლაშვილი პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს",** - გიორგი ბარამიძის აზრით, პარლამენტს უამრავი საკითხი დაუგროვდა, რომელიც უშუალოდ სულხან მოლაშვილთან არის გასარკვევი.

**"ბატონი სულხანი ცდილობს, რაღაცა მიჩქმალოს, ზოგიერთი რამ კი გადამეტებულად წარმოაჩინოს",** - ედუარდ სურმანიძემ კონტროლის პალატის თავმჯდომარე ტენდენციურობაში ამხილა. ხათუნა ხოფერიამ საზოგადოებას მოლაშვილის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული განცხადებები შეახსენა: **"ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ამბობს, რომ მოლაშვილი საქართველოში ყველაზე უფრო კორუმპირებული ჩინოვნიკია. მაინტერესებდა, რა კომენტარს გააკეთებდა ამის შესახებ ბატონი სულხანი? საერთოდ, რატომ გამოდის იგი დაუსაბუთებელი მამხილებელი განცხადებებით?"**

კახა ჩიტაიას აზრით, **"თავად კონტროლის პალატის საქმიანობა არის ძირფესვიანად შესასწავლი. ეს საქმე პარლამენტის სპეციალურმა კომისიამ უნდა გააკეთოს."**

დემოკრატების გაფართოებულ სხდომას ხუთი საპარლამენტო ფრაქცია შეუერთდა. "მაჟორიტარის", "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის", "ტრადიციონალისტის" წარმომადგენლებმა ერთხმად გაიზიარეს "დემოკრატთა" პოზიცია. "მრეწველების" წარმომადგენელს თავისი მოსაზრება არ გამოუთქვამს, ხოლო დიმა ჯაიანს (ფრაქცია "აფხაზეთი"), ჯერჯერობით, სჯერა, რომ მოლაშვილი **"საქვეყნო საქმეს აკეთებს"**. ჯაიანის აზრით, საბოლოოდ საკითხი სპეციალურმა კომისიამ უნდა შეისწავლოს.

"ნაციონალმა"კოტე კემულარიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი კონტროლის პალატის მჭიდრო კავშირს კანცელარიასთან. **"გენპროკურორის მსგავსად, კონტროლის პალატის თავმჯდომარეც სისტემატურად ესწრება მთავრობის სხდომებს. ხალხს ერთიც და მეორეც მთავრობის წევრი ჰგონია. სინამდვილეში გენპროკურორი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრისგან დავალებებს არ უნდა იღებდნენ."**

"ტრადიციონალისტი" ალეკო შალამბერიძე სხდომაზე საქმიანი წინადადებით შემოვიდა. მან მოითხოვა საკანონმდებლო ცვლილების გატარება, რის შედეგადაც კონტროლის პალატის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს პარლამენტი დაამტკიცებს.

სხდომას ესწრებოდნენ კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე და კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი. **"საკითხი მოლაშვილთან ერთად უნდა განვიხილოთ,"** – ამ დასკვნით პარლამენტარებმა შეხვედრა გადადეს. სულხან მოლაშვილის მოადგილემ განაცხადა, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარე სხდომაზე იმის გამო ვერ გამოცხადდა, რომ იგი უცხოელებს ხვდება **"ერთი საინტერესო პროექტის განსახილველად".** "დემოკრატებმა" მოლაშვილს ეს მიზეზი "საპატიოდ" არ ჩაუთვალეს. მეტიც, სულხან მოლაშვილის საქციელი "სამარცხვინოდ, პარლამენტისთვის შეურაცხმყოფელად" შეაფასეს. თავად ზურაბ ცქიტიშვილი, რომელიც მთავრობის სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ამხილა, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

# ხელისუფლება არაფერს აკეთებს აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად

პირველი გვერდიდან

ასეთ დასკვნამდე დეპუტატები გუშინ მას შემდეგ მივიდნენ, რაც კომისიის თავმჯდომარის, ვახტანგ ყოლბაიასა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოხსენებები მოისმინეს.

სხდომას, დეპუტატებთან ერთად, საგანგებო და უშიშროების მინისტრები, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის, ქონების მართვის სამინისტროების წარმომადგენლები და გაერო-ში საქართველოს წარგზავნილი რეზო ადამია ესწრებოდნენ, რომელსაც უახლოეს პერიოდში, გაერო-ს უშიშროების საბჭოს იანვრის სხდომამდე, საკმაოდ მძიმე სამუშაო ელის, გაერო-ს მიერ აფხაზეთის თემაზე მიღებული საქართველოსთვის არასახარბიელო რეზოლუციების პათოსის შესაცვლელად.

გუშინდელმა სხდომამაც ვერ ჩაიარა ტრადიციული დაპირისპირების გარეშე - კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ქართული მხარის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ერთსულოვნების არარსებობა გახლავთ.

**"ბოლოს და ბოლოს, ის მაინც გვითხარით, კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდით დარეგულირების მომხრეა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება თუ ძალისმიერი მეთოდით, რაზეც ძალიან ბევრს საუბრობენ ცალკეული გუბერნატორები და თავად ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი?"** - სადავო თემა შემოაგდო სხდომაზე დეპუტატმა კოტე კემულარიამ.

ვახტანგ ყოლბაიამ კი გაიხსენა, რომ **"საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლების მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობის წინააღმდეგნი არიან."**

**"არ არის პრობლემა. ჩვენ დაჟინებით არ ვითხოვდით სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართვას, რადგან მიგვაჩნია, რომ ასეთი მოლაპარაკებები მაინც არსად არ მიგვიყვანს".** - განაცხადა სხდომაზე გამოსულმა თამაზ ნადარეიშვილმა, რომელმაც ისევ ხმამაღლა დააფიქსირა, რომ **"სამშვიდობო პროცესი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, არის ცალსახად საზიანო ჩვენთვის".**

თამაზ ნადარეიშვილი გუშინაც ირწმუნებოდა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აწვდის სათანადო მასალებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომელსაც ქართული მხარის მშვიდი პოზიცია აფიქრებინებს, რომ კონფლიქტის მოგვარება 50-წლიან პერსპექტივაზე გათვალოს.

**"რუსეთი მოქალაქეობას აძლევს აფხაზეთში მცხოვრებთ, ყიდულობს ქონებას... ორ-სამ წელიწადში იგი, საკუთარი მოქალაქეებისა და საკუთარი ქონების დაცვის მოტივით, გაამართლებს თავის ნებისმიერ მოქმედებას აფხაზეთის ტერიტორიაზე, საქართველოს ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს ამის წინააღმდეგ,"** - განაცხადა ნადარეიშვილმა..

**"ხელისუფლების ასეთი უშედეგო პოლიტიკის წყალობით, მე ყოველდღიურად მემატებიან მომხრეები,"** - გააფრთხილა დამსწრეები ნადარეიშვილმა.

**"ჩემნაირი აფხაზი ვერანაირ საერთოს ვერ ნახავს თქვენნაირ ქართველთან. მე მაქვს ინფორმაცია, რომ თქვენ დევნით იმ ადამიანებს, ვინც კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას უჭერს მხარს. ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, რომ თქვენ ხართ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე."** - განუცხადა ნადარეიშვილს ადა მარშანიამ.

**"ხელისუფლებას არავინ ეკითხებოდა მაგას,"** - შეუსწორა ნადარეიშვილმა.

სიტუაციის განმუხტვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ იკისრა, რომელმაც განაცხადა: **"აბსოლუტურად გეთანხმებით, ბატონო თამაზ, იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა არ ცხოვრობს ისე, როგორც ტერიტორიადაკარგული ქვეყანა უნდა ცხოვრობდეს. თუმცა, უარი არ უნდა ვთქვათ მოლაპარაკებებზე, იმ ნაბიჯებზე, რაც აფხაზ და ქართველ ხალხს დააახლოებს... მეორე მხრივ, ნურც გაერო-ს, ნურც ბოდენსა და ნურც აფხაზეთში ნუ ექნებათ იმის ილუზია, რომ კონფლიქტის მოგვარებას 50 წელიწადი დაველოდებით."**

თავად კომისიის სხდომა კი, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისა და პარლამენტის შესაბამისი დადგენილების შესრულების მიმართულებით, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობის არადამაკმაყოფილებლად შეფასებით დასრულდა.

# რა, ბნელა? არა, კი ბნელა, მაგრამ - ასე?

გიორგი ასანიძე

**"2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ირგვლივ დებატები ამ კვირაში მთლიანად თუ არა, ძირითადად მაინც უნდა დამთავრდეს",** - განაცხადა პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ. თუმცა, სპიკერის ასეთი კატეგორიულობის მიუხედავად, მაინც ძნელად წარმოსადგენია, რომ ახალ წელს ქვეყანა დამტკიცებული მთავარი ეკონომიკური კანონით შეხვდება - 2003 წლის ბოლო პლენარული სხდომა დღეს უკვე დაიწყო, ბიუჯეტის შეცვლილ პარამეტრებს კი დეპუტატები ჯერაც არ გასცნობიან.

გუშინ პარლამენტში თავისი მოადგილეებიანად მიწვეულმა ფინანსთა მინისტრმა დეპუტატებს შესთავაზა, "დამკვრელური ტემპით" ემუშავათ და ბიუჯეტის პროექტი ამ კვირაში პირველი მოსმენით მაინც მიეღოთ, თუმცა ეს ინიციატივა რომ ძალზე ძნელი ხორცშესასხმელია, ამის შესახებ თავად მინისტრსაც და პარლამენტარებსაც კარგად მოეხსენებათ.

■ ■ ■

ბოლო სასესიო კვირაში დეპუტატებს, რიგ კანონპროექტებთან ერთად, რამდენიმე კოლეგის ბედის გადაწყვეტა, ანუ პერსონალურ საკითხებზე მსჯელობაც მოუწევთ. ნინო ბურჯანაძის თქმით, პეტრე ცისკარიშვილმა გამოთქვა სურვილი, ამ პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა მიიღოს გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოდან მისი წასვლის შესახებ. გარდა ამისა, პარასკევს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ვაკანსიის დასაკავებლად ერთმანეთს "შეერკინება" ორი ქალბატონი - "დემოკრატი" ელენე თევდორაძე და ბათუმური ალიანსის ფავორიტი ნატო ჩხეიძე, რომელიც ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წარმომადგენელია. პერსონალური საკითხების სერიალი კი, აბაშისა და სამტრედიის ახლადარჩეული მაჟორიტარი დეპუტატების - თენგიზ კალანდაძისა და ავთანდილ თევზაძის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობით, დღეს დაიწყება.

■ ■ ■

**"დიპლომატიური სამსახური საპატიო პენსიონერების ნავსაყუდელად არის გადაქცეული და ისინიც მშვიდად ატარებენ დროს ჟენევის ტბის პირას",** - განაცხადა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა გიორგი ბარამიძემ, როდესაც შეიტყო, რომ ოთხშაბათის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი, "დიპლომატიური სამსახურის შესახებ კანონის შესრულების შესახებ", მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისა იყო და დადგენილებითი ნაწილი არ ახლდა. მცირე დისკუსიის შემდეგ, შეთანხმება შედგა: მომხსენებელი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუკბანიანი დათანხმდა, პლენარულ სხდომაზე, აღნიშნული ინფორმაციის გარდა, დადგენილების შესაბამისი პროექტიც წარადგინოს.

■ ■ ■

ახლახან ბალტიისპირეთში ვიზიტით მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარემ იქაური პრაქტიკის "გადმონერგვა" გადაწყვიტა და პარლამენტარებს შესთავაზა, არასაპატიო მიზეზით გაცდენილი ერთი სხდომისთვის ჯარიმად თვიური ხელფასის 25 პროცენტი დაწესებულიყო.

ამ განზრახვას პირველი ვიტალი ხაზარაძე "აუბუნტდა" იმ მოტივით, რომ სათანადო კანონი ისედაც არსებობს და მხოლოდ მისი შესრულებაა საჭირო. "მოქკავშირელის" ხმამაღალმა მონოლოგმა ბურჯანაძე მეტად აღაშფოთა და პროსახელისუფლებო ფრაქციის ხელმძღვანელს მიმართა: **"კი მაგრამ, ბატონო ვიტალი, ბნელა? არა, ისე, ქვეყანაში როგორ არ ბნელა, მაგრამ - ასე? რა მალე დაგავიწყდათ, რომ თქვენი ფრაქციის დეპუტატებმა ლამის სცემეს ხათუნა გოგორიშვილი და მოლარე, როდესაც მათ პარლამენტის გადაწყვეტილების აღსრულება გადაწყვიტეს და გამცდენი დეპუტატებისთვის ხელფასიდან თანხის დაქვითვა მოინდომეს!"**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ედეპე" პოლიტიკაში „ახალი სახეებითა და მუდმივი ღირებულებებით" ბრუნდება

პირველი გვერდიდან

ამის მიუხედავად, დღეს ეროვნულ-დემოკრატები აცხადებენ, რომ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებმა პარტიას უკვე მისცა იმის საშუალება, რომ **"ძველი შემართებით, ახალი სახეებითა და მუდმივი ღირებულებებით, ქვეყნისთვის ამ ურთულეს მომენტში, ხელისუფლებაში მოსვლისთვის იბრძოლოს".**

**"ის წარდგება დღეიდან ახალი ძალით, უცვლელი პრინციპებით, თუმცა პარტია კვლავ რჩება იმავე სიდიდის, რაც 1995 წლამდე იყო",** – განაცხადა კონფერენციაზე პარტიის თავმჯდომარემ ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ. მან გუშინვე გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც პარტია დღეიდან იხელმძღვანელებს.



„ედპ" ამომრჩეველს წარსული სიძლიერის აღდგენას ჰპირდება

მანიფესტის თანახმად, ქვეყნის გადარჩენისათვის უნდა გადაიჭრას შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკითხები:

**"დაუყოვნებლივ გაგრძელდეს საკონსტიტუციო სრულყოფის პროცესი; განხორციელდეს საფინანსო-საგადასახადო სისტემის კარდინალური რეფორმა, კერძოდ, მაკონტროლებელ ორგანოთა შემცირება და საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, რაც განვითარების საშუალებას მისცემს მცირე მეწარმეობას და ჩამოაყალიბებს საშუალო ფენას; ენერგეტიკის სფეროში ყველა დონეზე გატარდეს სერიოზული საკადრო ცვლილებები; აუცილებელია არსებული დივერსიული ქმედებების გამოვლენა და დამნაშავეთა დასჯა; განხორციელდეს სამართალდამცავი სტრუქტურების ძირეული რეფორმირება, ქვეყანაში არსებული უპრეცედენტო კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორების მიზნით; თავდაცვითი სისტემის დაფინანსება და რეფორმირება გამოცხადდეს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად; გაიზარდოს სახელმწიფო სუბსიდირება სოციალურად დაუცველი ფენებისათვის; შეიქმნას სამართლიანი და დემოკრატიული საარჩევნო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას."**

"ეროვნულ-დემოკრატთა" აზრით, **ყოველივე ეს უნდა გახდეს საფუძველი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა, რომელიც დამყარებული იქნება საქართველოს მრავალსაუკუნოვან მდიდარ ტრადიციებზე.**

საგულისხმოა, რომ თავის გამოსვლაში პარტიის ლიდერმა ხელისუფლება და ზოგიერთი ოპოზიციური პარტია მათ მიმართ ფარულ და მიზანმიმართულ მტრობაში დაადანაშაულა, რაც, სარიშვილის თქმით, **"საზოგადოების წინაშე "ედპ-ს" სახელის დისკრიმინაციას ისახავდა მიზნად. "ედეპემ" ხელისუფლებაში ყოფნაც გამოსცადა და ოპოზიციონერობაც, ამდენად პარტია კიდევ ბევრ პერიპეტიას გაუძლებს".**

სარიშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოებას დღეს ერთნაირი პრინციპების მქონე პარტიების რეალური გაერთიანება სჭირდება და არა დროებითი ალიანსები. მისი თქმით, **"ედეპე მზად არის, სახელმწიფოსთვის უმძიმეს პერიოდში თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვას".**

გუშინ პარტიამ, ფაქტობრივად, დიდ პოლიტიკაში დაბრუნების განაცხადი გააკეთა. თუმცა, როგორ მოახერხებენ ამას ეროვნულ-დემოკრატები – მარტო ყოფნით თუ რამდენიმე პარტიასთან სავარაუდო ალიანსით - ჯერჯერობით უცნობია. მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ კონსულტაციები "გაერთიანებულ დემოკრატებთან", "ახალ მემარჯვენეებთან", "ტრადიციონალისტებთან" და "სახალხო პარტიასთან" კვლავ გრძელდება.

ამ ფონზე საკმაოდ მოულოდნელი იყო "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის" ლიდერის – ყოფილი ეროვნულ-დემოკრატის გიორგი კობახიძის გამოჩენა. თუმცა, ჩვენთან საუბარში კობახიძემ აღნიშნა, რომ მისი პარტია მზად არის "ედეპესთან" დიალოგისა და თანამშრომლობისათვის.

რაც შეეხება სხვა მოწვეულ სტუმრებს: კონფერენციას ესწრებოდნენ "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ახალი მემარჯვენეების" ლიდერები, "სახალხო პარტიის" წევრები (მამუკა გიორგაძე გუშინ ოპერის თეატრში არ გამოჩენილა. გუშინდელ კონფერენციას არც "ნაციონალები" დასწრებიან.).

ზურაბ ჟვანიას გამოსვლამ, ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პარტიებს შორის აქტიური დიალოგი კვლავ მიმდინარეობს. მისასალმებელ სიტყვაში ზურაბ ჟვანია აცხადებს: **"აგვისტოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში ხელმოწერილი დეკლარაცია, ხელისუფლების კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ოპოზიციურ ძალთა ალიანსის შესახებ, კვლავ ძალაში რჩება. ქვეყანაში რეალური ცვლილებების განხორციელება სწორედ საერთო იდეოლოგიის მქონე პარტიების გაერთიანებითაა შესაძლებელი".**

ამავე სიტყვაში ჟვანია ღიად ადასტურებს საკუთარ პატივისცემას ამ პარტიისადმი და აცხადებს, რომ კონფერენციაზე მისი **მისვლა სწორედ პატივისცემისა და მასთან თანამშრომლობის სურვილის დასტურია.**

ამავე პათოსით არის გამსჭვალული "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის გამოსვლა. **"85-წლიანი ისტორია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის სერიოზული გამარჯვების ტოლფასია. "ედეპემ" მთელი ეპოქა შექმნა, რაც არა მხოლოდ ერთი პარტიის, არამედ მთელი ქართული ტრადიციების გადარჩენის ისტორიაა",** – ამბობს იგი და იქვე დასძენს: **"საქართველოში პოსტშევარდნაძისეული ეპოქა უნდა დაიწყოს და ამ პროცესში ყველა ის ძალა, რომელიც მემარჯვენე მსოფლმხედველობის მატარებელია, ერთად უნდა დადგეს".** მანვე ყველა მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციას ამბიციების დავიწყებისა და ქვეყნის ინტერესებისათვის ალიანსისაკენ მოუწოდა.

*საინტერესო დეტალი: ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების მოთხოვნით, მოსახლეობის ხელმოწერების შეგროვება გარკვეული პერიოდით შეაჩერა. ამის მიზეზად "ედპ"-ს ლიდერი ირინა სარიშვილი საპრეზიდენტო მმართველობის მიმართ ოპოზიციურ პარტიებში პოზიციებისა და მოსაზრებების განსხვავებას ასახელებს. მისი თქმით, პარტია ხელმოწერების შეგროვებას მხოლოდ მაშინ გააგრძელებს, რაც ეროვნულ-დემოკრატებთან ალიანსში მყოფი პარტიები სახელმწიფო მმართველობის სისტემის შექმნის საკითხზე საერთო პოზიციას ჩამოაყალიბებენ.*

და ბოლოს: კონფერენციაზე, "ედეპეს" პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და ეროვნული იდეალებისადმი ერთგულად მსახურებისათვის, ღირსების ოქროს მედალი, სიკვდილის შემდეგ გადაეცა პარტიის თავმჯდომარეს გიორგი ჭანტურიას. მედალი, ასევე, გადაეცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

**"გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გიამ გვთხოვა, დაგვემზადებინა ოქროს მედლები, რომლებიც ეროვნული იდეალებისთვის თავდადებულ ადამიანებს გადაეცემოდა. მას ამ იდეის განხორციელება არ დასცალდა, ამიტომ მის იდეას მხოლოდ ახლა, რვა წლის შემდეგ ვასრულებთ",** - აღნიშნა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ.

## პრეზიდენტის პრესმერიდიანიზე

### თუ გული გულობს, აფეთქების მოხდენა უმიზეზოდაც შეიძლება

**"პრეზიდენტ პუტინთან უკვე მქონდა საუბარი იმაზე, რომ, ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარების კვალობაზე, საქართველოში მყოფი ლტოლვილები სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნდებიან, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლების მონაწილეობით,"** - განაცხადა გუშინდელ რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

მან კომენტარი გააკეთა, აგრეთვე, იმ მუქარასთან დაკავშირებით, რომელიც, ქართველი სამართალდამცავების მიერ დაკავებული ჩეჩნების რუსებისთვის შესაძლო გადაცემასთან დაკავშირებით, საქართველოს მისამართით გაისმა. **"თუ ვინმეს აფეთქების მოწყობა უნდა, ამ მიზეზის გარეშეც ახერხებს ასეთ ამბებს. ისე, მაინც არა მგონია, რომ მსგავსი რამ მოსალოდნელი იყოს. მით უმეტეს, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს საქართველოს ხელისუფლებამ, ჩეჩნებს მუქარის საფუძველი არა აქვთ",** - იღბლისა და ლოგიკის იმედი აქვს შევარდნაძეს.

### პრეზიდენტი და მისი ბოლოდროინდელი "რჩეული"

ედუარდ შევარდნაძის განმარტებით, ხელისუფლებასთან ვახტანგ რჩეულიშვილის თანამშრომლობის საფუძველია პრეზიდენტისეული პროექტის - "ახალი საქართველოსთვის" - უმნიშნელოვანეს დებულებებთან პოზიციების თანხვედრა. ქვეყნის მეთაური კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სოციალისტური პარტიის ლიდერმა, **"ბევრისგან განსხვავებით, ეს პროექტი ჯეროვნად შეაფასა".**

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში თავის წარმომადგენლად მის დანიშვნას, ამასთან დაკავშირებით შევარდნაძე აცხადებს, რომ **"რჩეულიშვილს შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს ქართველებისა და ოსების შერიგების საქმეში".**

პრეზიდენტი თავის "რჩეულს" წარმატებას უსურვებს **"ერთიანი, შესაძლოა, ფედერაციული ან ასიმეტრიულ-ფედერაციული საქართველოს შემადგენლობაში ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრისა და ყოველმხრივი ინტეგრაციის მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებებში"** და სიამოვნებით შენიშნავს, რომ **"ამ ბოლო დროს რჩეულიშვილს, მისდა სასახელოდ, სუბიექტურობა ნაკლებად ახასიათებს".**

ვიცე-სპიკერის ასე "გამოსწორების" მიუხედავად, "მოქალაქეთა კავშირისა" და სოციალისტური პარტიის რაიმე ფორმით გაერთიანებაზე ლაპარაკი პრეზიდენტს მაინც ნაადრევად მიაჩნია. **"თუმცა, თანამშრომლობას წინ არაფერი უდგას",** - დასძენს რჩეულიშვილის შეფი (კონფლიქტების დარეგულირების საკითხში).

თავად პარლამენტის ვიცე-სპიკერს სად ეგულება ათვლის წერტილი სამხრეთ ოსეთის პრობლემაზე მუშაობის დასაწყებად, ადვილი მისახვედრია: მისთვის ახალი ფუნქციის დაკისრების თაობაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ჯერ მელანი არ შეშრობოდა, რომ კოსტა რჩეულიშვილმა (ასე მონათლა სოციალისტების ლიდერი პარლამენტარმა კობა ამირხანაშვილმა) უმალ მოსკოვისკენ გასწია...

### თემიდის მსახურებთან შევარდნაძე თავის "მსახურს" აგზავნის

როგორც ცნობილია, პრეზიდენტი შევარდნაძე, მოპასუხის რანგში, საკონსტიტუციო სასამართლოშია მიწვეული. თუმცა, ირკვევა, რომ თემიდის მსახურებთან პირადად გამოცხადებას იგი არ აპირებს.

**"საკონსტიტუციო სასამართლოში მე სპეციალური წარმომადგენელი მყავს. პრეზიდენტის სახელით მას ყველა კითხვაზე შეუძლია გასცეს პასუხი",** - განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ.

მისივე თქმით, მას ჯერ არ მიუღია სასამართლო კოლეგიის წერილი, რომელიც სასამართლო პროცესზე უშუალოდ პრეზიდენტის გამოცხადებას ითვალისწინებს. **"თუ ასეთი წერილი მართლა არსებობს, ამაზე პასუხს მე გავცემ(?!),"** - დასძენს პრეზიდენტი.

*"24 საათი"*

# 2003 წლის სამხედრო ბიუჯეტი თევზაძის ქვაბში ვერ ეტევა, შევარდნაძისაში ლაღად არის

პირველი გვერდიდან

შევარდნაძე თვითონაც კარგად ხვდება, რომ პროცენტებიან ანკესს ოპონენტები არ წამოეგებიან, მაგრამ თავისას მაინც ცდილობს. **"როდესაც საბოლოო ციფრს გამოვიყვანთ, აბსოლუტური მონაცემი, შესაძლოა, არც ისეთი შთამბეჭდავი ჩანდეს, როგორც პროცენტული ზრდის მაჩვენებელი, მაგრამ ეს მაინც საჭიროა თუნდაც იმისთვის, რომ ზრდის ტენდენცია ჩამოყალიბდეს",** - აღნიშნავს პრეზიდენტი და პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის წინ პირობას დებს, რომ **"ბოლო წლებში დამკვიდრებული სამხედრო ხარჯების შეკვეცის პრაქტიკა აღარ განმეორდება და თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი სახსრები არა თუ შეიკვეცება, არამედ, პირიქით, შეიძლება გაიზარდოს კიდეც".**

როდესაც სამხედრო უწყების დაფინანსების ზრდაზე საუბრობს, შევარდნაძე აცხადებს, რომ ამ კუთხით დიდი რეზერვი არსებობს. **"კონტრაბანდული საქონელი და შავ ეკონომიკაში დაბანდებული სახსრები უნდა ამოვიღოთ, აღვრიცხოთ და ბიუჯეტში შევიტანოთ",** - არც რეზერვის წყაროს ასაიდუმლოებს პრეზიდენტი. ისე, თუ მხოლოდ ამ გზით აპირებს შევარდნაძე დავით თევზაძის უწყებისთვის შეპირებული ნამატის მოძიებას, საქართველოს შეიარაღებული ძალების მომავალი მთლად ნათელი ვერ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, კონტრაბანდასთან და კორუფციასთან ბრძოლის მიმდინარეობა ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

ასეა თუ ისე, ქართულ ჯარში მიმდინარე პროცესებით თავად პრეზიდენტი კმაყოფილია. ორშაბათის რადიოინტერვიუში მან განსაკუთრებით "კომანდოს ბატალიონს" შეუქო მომზადება და საბრძოლო მზადყოფნა. "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული სამხედრო პროგრამის "პროდუქტს" შევარდნაძე მომავალი პროფესიული არმიის ბირთვად თვლის და საჭიროდ მიიჩნევს, რომ მის სტანდარტებს შეიარაღებული ძალების სხვა ქვედანაყოფებიც (მაგალითად, ეროვნული გვარდია) მიუახლოვდნენ.

**"კომანდოს ბატალიონი", თავისი დანიშნულებით, მართალია, ანტიტერორისტული ბატალიონია, მაგრამ მას სხვა ფუნქციების შესრულებაც შეუძლია",** - ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის პრეზიდენტის სტატუსის გათვალისწინებით, შევარდნაძის ასეთი განცხადება მეტად მრავალმნიშვნელოვნად შეიძლება იქნას გაგებული.

# შევარდნაძე - პარლამენტის ოპონენტი და მხარდამჭერი

პირველი გვერდიდან

შევარდნაძე ოპონენტებს შეახსენებს, რომ **"თავის დროზე, მოსკოვმა აქტიურად დაუჭირა მხარი ევროსაბჭოში ჩვენი ქვეყნის მიღებას, მაშინ, როდესაც შეეძლო, საწინააღმდეგო არგუმენტები მოეშველიებინა"** (ეს არგუმენტები ბრიფინგზე არ გაჟღერებულა). პრეზიდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ რუსეთი საქართველოს პოზიციას გაერო-ს უშიშროების საბჭოშიც უჭერს მხარს და ამის მაგალითად ე.წ "ბოდენის დოკუმენტს" ასახელებს (?!).

**"ამის დავიწყება არ შეიძლება",** - შენიშნავს შევარდნაძე.

"WTO-ში რუსეთის მიღების დაბლოკვას", პრეზიდენტის თქმით, პირველ ეტაპზე გარკვეული ეფექტი, შესაძლოა, მართლა ჰქონდეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, "ასეთი მცდელობა მაინც განწირულია", რადგან, როგორც შევარდნაძე აცხადებს, **"მეორე ტურში საბოლოო გადაწყვეტილება დელეგაციათა ხმების ორი მესამედით მიიღება და ამდენად, რუსეთი WTO-ს წევრი უჩვენოდაც გახდება".**

თუმცა, პრეზიდენტი პარლამენტის ყველა გადაწყვეტილებას როდი იწუნებს. როდესაც საქმე რუსეთის სამხედრო ბაზების დაბეგვრას ეხება, შევარდნაძე აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს პრეტენზიების წამოყენების სრული უფლება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ რუსებისთვის ეს ძალზე მტკივნეული საკითხია (საუბარი საკმაოდ დიდ თანხებს შეეხება), საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს, პარლამენტს "პირველობა ჩამოართვას" და აცხადებს, რომ ეს თემა პირადად მან გაცილებით ადრე წამოწია.

შევარდნაძის თქმით, ბაზების დაბეგვრის საკითხში პარლამენტი მართალია და ახლა მხოლოდ რუსეთთან მოლაპარაკებების მექანიზმის შემუშავებაა საჭირო. **"ჩარჩო-ხელშეკრულების" პროექტში არსებობს სპეციალური ნაწილი, რომელშიც ჩაიწერება, რომ თუ ამ ბაზებს ვადას ვუგრძელებთ, მაშინ მოსკოვმა გადასახადებიც უნდა გადაიხადოს".**

**"ან უნდა გადაიხადო, ან გახვიდე",** - ასეთ ალტერნატივას სთავაზობს რუსებს ედუარდ შევარდნაძე.

# "თბილგაზი" - საახალწლო საჩუქარი თუ დანაელთა ძღვენი სააკაშვილისთვის

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთვის "თბილგაზის" გადაცემის თაობაზე სულ ცოტა ხნის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი შევარდნაძე შეცდომას უწოდებს და მიიჩნევს, რომ ბუნებრივი აირით დედაქალაქის მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემებზე თბილისის ხელმძღვანელობა უნდა მუშაობდეს.

**"შესაბამისი განკარგულება უკვე გაცემული და ხელმოწერილია. მას ველარავინ შეაჩერებს. ახლა თბილისის საკრებულომ და მერიამ იმაზე უნდა იმსჯელონ, რა გზებით შეიძლება დედაქალაქის გაზმომარაგების გაუმჯობესება",** - აცხადებს შევარდნაძე და იქვე იმასაც დასძენს, რომ, ასეთი ნაბიჯის გადადგმით, ცენტრალური ხელისუფლება ხელის დაბანას არ აპირებს და მოხმარებული აირის საფასურის გადახდის საკითხში ქალაქის ხელმძღვანელობას დახმარებას ჰპირდება.

თუმცა, ოპოზიციური საკრებულოს ხელმძღვანელობას შევარდნაძის სიტყვისა არ სჯერა: "24 საათი" უკვე წერდა, რომ პრეზიდენტის ეს ნაბიჯი მიხეილ სააკაშვილმა **"ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან საბოტაჟის მცდელობად და საკრებულოს ჩაძირვის სურვილად"** შეაფასა.




# ერაყის ქრელმა ოპოზიციამ ერთობლივი დეკლარაციის მიღება შეძლო

*დიდი ბრიტანეთის დედაქალქში გამართულ ორდღიან კონფერენციაზე ერაყის ექვსი ოპოზიციური პარტიის დელეგატებმა სადამ ჰუსეინის შემდგომი ერაყის განვითარების თაობაზე დეკლარაცია მიიღეს. ერაყის ოპოზიციის 330 წარმომადგენელმა ქვეყნის ფედერალურ სახელმწიფოდ გარდაქმნის თაობაზე მიაღწია შეთანხმებას. მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი კატეგორიულად უარყოფს ერაყის ოკუპაციას ან მის პროტექტორატად გადაქცევის ნებისმიერ შესაძლებლობას. "ერაყის მომავალი უნდა იყოს ფედერალური დემოკრატია, ხოლო ისლამი სახელმწიფო რელიგიად უნდა დარჩეს," - ნათქვამია დეკლარაციაში.*

ლევან ღირსიაშვილი

ერაყის ოპოზიციის კონფერენცია ლონდონში სამი დღის წინ გაიხსნა. ქვეყნის ისტორიაში ამ მნიშვნელოვან შეკრებაზე ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული აზრები და მოწოდებები გაისმოდა. თუმცა, ყველა გამომსვლელის სიტყვა სადამ ჰუსეინის რეჟიმის სიძულვილითა და დამხობისაკენ მოწოდებით იყო გამსჭვალული. ერაყის ნაციონალური კონგრესისა და მონარქისტული მოძრაობის ლიდერებმა - აჰმედ ჩალაბიმ და შარიფ ალი ბინ ალ ჰუსეინმა არაბულ სამყაროს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ დარაზმვისაკენ მოუწოდეს. თუმცა, ერაყელ მონარქისტებს თავიანთი ქვეყნის მომავალზე ყველა ოპოზიციური ძალისგან განსხვავებული ხედვა გააჩნიათ. მათ ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა სურთ.

ცალკე უნდა გამოიყოს თეირანში მოქმედი ოპოზიციური დაჯგუფება - "ერაყის ისლამური რევოლუცია." ამ პარტიის განცხადებით, ერაყის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ მათ უჭერს მხარს და მათი დაჯგუფებაც, ყველა დანარჩენი ოპოზიციური პარტიისგან განსხვავებით, კარგად არის ორგანიზებული. ეს ლონდონის კონფერენციაზეც გამოვლინდა, სადაც მათი ალიანსი ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასთან, ქურთისტანის პატრიოტულ კავშირთან და სადამ ჰუსეინის "ბაასის" პარტიის ყოფილ წევრებთან აშკარად გამოჩნდა. მათ კავშირს ექსპერტებმა პირობითად "ოთხეული" უწოდეს. ლონდონის კონფერენციაზე სწორედ "ოთხეულისა" და დანარჩენი ორი პარტიის - მონარქისტებისა და ნაციონალური კონგრესის დაპირისპირება დაფიქსირდა. კონფერენცია ერთმანეთის კრიტიკის არენადაც კი გადაიქცა.

თუმცა, როგორც ითქვა, კონფერენციის მონაწილეთა სიჭრელემ სადამ ჰუსეინისადმი სიძულვილი და მისი დამხობის სურვილი ვერ დასძლია. დელეგატები, საბოლოო ჯამში, ერთმანეთთან სათანამშრომლოდ იყვნენ განწყობილები.

**"რასაც თქვენ ხედავთ ამ კონფერენციაზე, არის წინადადებების განხილვის საპარლამენტო პროცედურა, რომელიც ერაყში ვაკუუმის შესავსებად გახლავთ გამიზნული,"** - განაცხადა კონფერენციაზე გამოსვლისას ერაყის ნაციონალური კონგრესის ლიდერმა და აშშ-ს სავარაუდო ფავორიტმა აჰმედ ჩალაბიმ.

საბოლოოდ კი, ორდღიანი დებატების შემდეგ, კონფერენციის მონაწილეებმა რამდენიმე საკითხზე საერთო მიდგომის გამომუშავება შეძლეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერაყის ოპოზიციის ექვსი დაჯგუფება ქვეყნის ფედერალურ მოწყობაზე და სახელმწიფო რელიგიად ისლამის გამოცხადებაზე შეთანხმდა. დანარჩენ კონკრეტულ საკითხებზე კი მათ საერთო აზრის მიღწევა ვერ შეძლეს. მაგალითად არ არის ნათელი, თუ ცენტრსა და რეგიონებს შორის ფუნქციები და უფლებები როგორ გადანაწილდება; რამდენად დამოუკიდებლები იქნებიან ქურთული ტერიტორიები, ერაყის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან შედარებით; როგორი იქნება ერაყის რეგიონული და საგარეო პოლიტიკა. დელეგატებს არც ქვეყნის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ უმსჯელიათ. ეს კი ერაყის მოსახლეობას ყველაზე მეტად აღელვებს. ერაყელები თვლიან, რომ აღნიშნული ოპოზიციური ჯგუფები ხალხის ინსტერესებს არ პასუხობენ. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტიც, რომ კონფერენციის მსვლელობის დროს შენობის გარეთ შეკრებილი იყვნენ ქურთი და არაბი დემონსტრანტები, რომლებიც დელეგატებს უნდობლობას უცხადებდნენ.

დამკვირვებელთა და ექსპერტთა განცხადებით, ერაყის ოპოზიცია ჯერჯერობით საკმაოდ სუსტია და ამ ეტაპზე ვერ შეძლებს იმ პასუხისმგებლობის აღებას, რომელსაც მას აშშ-ს ადმინისტრაცია აკისრებს.

და ბოლოს, კმაყოფილია თუ არა კონფერენციის შედეგებით თავად ჰუსეინის ნომერ პირველი მტერი - ვაშინგტონი? თუ აშშ-ს ადმინისტრაცია ამ კონფერენციას ერთჯერად ღონისძიებად განიხილავს, რასაკვირველია, მისი შედეგები ბუშს ვერაფრით გაახარებდა, ხოლო თუ ეს ოპოზიციური ერთობის ჩამოყალიბების მხოლოდ დასაწყისია, მაშინ პირველი ეტაპისათვის არც თუ ურიგო უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, თავად დიალოგი, და თანაც ერაყელებს შორის, უკვე ბევრს ნიშნავს.

## მოკლედ

**ავღანეთი.** ავღანეთის პრეზიდენტმა ყარზაიმ გამოსცა ბრძანება, რომლითაც შეიარაღებული რაზმების მეთაურებს პოლიტიკური მოღვაწეობა აუკრძალა. ეს ბრძანება, მიმომხილველების აზრით, პირველი სერიოზული ნაბიჯია, რომელიც რეგიონალური სამხედრო დაჯგუფებების ლიდერების შეზღუდვას ისახავს მიზნად. მათ შორის ყველაზე გავლენიანები არიან: დასავლეთში - ისმაილ ხანი, ჩრდილოეთში - აბდულ რაშიდ დოსტუმი და სამხრეთში - გულ აღა.

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** გაზეთ "ფაინენშელ ტაიმსის" ცნობით, ოფიციალური ლონდონი აცხადებს, რომ იგი იმედგაცრუებული დარჩა ერაყის მიერ გაერო-სათვის წარდგენილი მოხსენებით. "ფორინ ოფისის" აზრით, მოხსენებაში ძალზე ბევრი რამაა გამოტოვებული. "ერაყმა მნიშვნელოვანი შანსი გაუშვა ხელიდან," – ამბობენ ლონდონში.

■ ■ ■

**ლიბერია.** 50 ადამიანი დაიღუპა და ასამდე უგზო-უკვლოდ დაიკარგა ლიბერიის ქალაქ რობერტსპორტის ახლოს, ნავის ჩაძირვის შედეგად. ნავი, რომელსაც ხალხი ადგილობრივი პოპულარული ფეხბურთელის დაკრძალვაზე მიჰყავდა, შუა მდინარეში გადაბრუნდა. ტრაგედიის მიზეზად ნავის გადატვირთვას ასახელებენ.

■ ■ ■

**ჰააგა.** ბოსნიელ სერბთა ყოფილმა პრეზიდენტმა ბილიანა პლავჩიჩმა ჰააგის ტრიბუნალზე აღიარა თავისი დანაშაული და განაცხადა, რომ იგი ხელს აფარებდა ბოსნიაში მიმდინარე ეთნიკურ წმენდას. აღიარების სანაცვლოდ, პლავჩიჩი, რომელიც 72 წლისაა, ითხოვს, რომ იგი არ გამოიყვანონ მოწმედ სხვა ეჭვმიტანილთა, მათ შორის, მილოშევიჩის წინააღმდეგ.

■ ■ ■

**ღაზა.** სამი პალესტინელი დაიღუპა ორშაბათს ღამით მომხდარი ორი ინციდენტის დროს. ორი მათგანი, რომლებიც, ისრაელის მხარის წარმომადგენლების თქმით, "ჰამასის" წევრები იყვნენ, ღაზადან ისრაელში გადასვლას აპირებდნენ, მესამე კი ღაზას სამხრეთში მდებარე ებრაულ დასახლებასთან მიპარვას ცდილობდა.

# ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალ გორი დიდი პოლიტიკიდან მიდის

შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აღარ აპირებს. ზოგიერთი დამკვირვებლის თქმით, ეს განაცხადი, ფაქტობრივად, ალ გორის პოლიტიკური კარიერის დასრულებას ნიშნავს ამდენად, აშშ-ს დემოკრატიული პარტია თავისი წამყვანი კანდიდატურის გარეშე რჩება.

აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტის ყოფილი მეტოქის ალ გორის თქმით, ამ გადაწყვეტილების ახსნა რამდენიმე ფაქტორით შეიძლება. უპირველესი მიზეზი კი ის არის, რომ მისი კანდიდატურა ამომრჩეველში ამჟამინდელი პრეზიდენტის წინააღმდეგ რევანშის გრძნობას დაბადებს და ხელს შეუწყობს **"ამერიკელი ხალხის ორიენტაციას წარსულზე და არა მომავალზე".** ალ გორის განმარტებით კი, ამერიკელმა ხალხმა სწორედ ქვეყნის მომავალზე უნდა იფიქროს.

შეგახსენებთ, რომ დემოკრატთა კანდიდატმა და ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ალ გორმა წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე ნახევარი მილიონი ხმით მეტი მოიპოვა, ვიდრე ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, თუმცა, აშშ-ს საარჩევნო სისტემის თავისებურების გამო (შტატის ყველა ხმა მასში გამარჯვებულ კანდიდატს ეთვლება), მაინც დამარცხდა.

ალბერტ გორს საკმაოდ შთამბეჭდავი პოლიტიკური კარიერა აქვს გავლილი. ის რვა წლის განმავლობაში იყო კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი, რის შემდეგაც კიდევ რვა წელიწადი ამერიკის სენატორის მანტიას ატარებდა და ბოლოს, კვლავ რვა წელიწადი აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობდა.

დამკვირვებელთა თქმით, ალ გორის აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი, შესაძლოა, ბოლო პერიოდში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები ყოფილიყო, რომელთა შედეგების თანახმადაც მის მიმართ ამომრჩეველთა 40 პროცენტი ნეგატიურად არის განწყობილი. ასეთი უარყოფითი რეიტინგი პოლიტიკოსისათვის, რასაკვირველია, ფატალური არ არის, მაგრამ არც იოლი გამარჯვების მანიშნებელია.

განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ალ გორის მეგობარი და პუბლიცისტი ბილ პრესი. მისი თქმით, ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იტაცებს თავისი პირადი ცხოვრება, რომელიც მას აქამდე, ფაქტობრივად, არ ჰქონია, რადგანაც პოლიტიკური კარიერა ადრეულ ასაკში დაიწყო.


ალ გორი

ამ ბოლო პერიოდში ალ გორი კვლავ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა. ის ხშირად გამოდოდა დემოკრატიული პარტიის კანდიდატების მხარდამჭერ მიტინგებზე, აძლევდა ინტერვიუებს, იბრძოდა ჯანდაცვის სისტემის გარდასაქმნელად და ეწინააღმდეგებოდა ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას.

ალ გორის ამჟამინდელმა განცხადებამ დემოკრატიული პარტია საგონებელში ჩააგდო. ის მათი საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული კანდიდატი იყო. პოპულარობით მას, შესაძლოა, მხოლოდ ყოფილი პირველი ლედი – ჰილარი კლინტონი გაეჯიბროს, რომელმაც განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას 2008 წლამდე არ აპირებს. დემოკრატებიდან ბევრი ამბობდა, რომ ისეთ გამოუცდელ კაცთან, როგორიც ორი წლის წინ ბუში იყო, არნახული ეკონომიკური აღმავლობის დროს არჩევნების წაგება გორის პოლიტიკურ სისუსტეზე მეტყველებდა. ასეა თუ ისე, დემოკრატიული პარტია, ჯერჯერობით, გამოკვეთილი ლიდერის გარეშე რჩება.

# „დროებით შეურაცხადი„ რუსი პოლკოვნიკი

ორშაბათს სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ პოლკოვნიკი ბუდანოვი შეურაცხადად გამოაცხადა. ბუდანოვი ერთადერთი რუსი ოფიცერია, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო რუსული სასამართლოს წინაშე წარსდგა.

პოლკოვნიკს, რომელიც ჩეჩნეთში სატანკო ასეულს სარდლობდა, ბრალად ედება 2000 წლის გაზაფხულზე 16 წლის ჩეჩენი გოგონას - ელზა კუნგაევას გატაცება და მკვლელობა. მოკლულის ნათესავები აცხადებენ, რომ ბუდანოვმა გოგონა გააუპატიურა, მაგრამ პროკურატურა ამ ბრალდებას არ ეთანხმება.

ბუდანოვი პროცესის დაწყებიდანვე აღიარებდა, რომ კუნგაევა სწორედ მან მოკლა, მაგრამ, მისი თქმით, მკვლელობის მომენტში იგი აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა და ამასთან ერთად, კუნგაევა სნაიპერი იყო და რუს ჯარისკაცებს ხოცავდა.

ამ საქმემ თავიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნებისადმი არაადამიანურ მოპყრობაზე ყველა საუბრობს, ბუდანოვი, როგორც ვთქვით, ერთადერთი რუსი სამხედრო იყო, რომელსაც ასეთი ბრალდებით ასამართლებდნენ.

გასული წლის იანვარში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ იგი თანაუგრძნობს ბუდანოვს; საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები სისტემატურად აჩვენებდა, რომ რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის სიმპათიები სწორედ მის მხარეზე იყო.

2001 წელს ბუდანოვს ორი ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა. ორივეს დასკვნით, იგი შერაცხადია და საკუთარ მოქმედებაზე პასუხს აგებს. სასამართლო ამ დასკვნებმა არ დააკმაყოფილა და კიდევ ერთი სასამართლო ექსპერტიზა მოსკოვში, სერბსკის სახელობის სასამართლო და სოციალური ფსიქიატრიის ცენტრში დაინიშნა. ამ ექსპერტიზის საბოლოო შედეგები გუშინ გახდა ცნობილი. ინსტიტუტის მტკიცებით, დანაშაულის ჩადენის მომენტში ბუდანოვი თავს კონტროლს ვერ უწევდა და მხოლოდ ნაწილობრივ აცნობიერებდა თავისი საქციელის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს.

ინსტიტუტის ამ დასკვნას საზოგადოების ძალზე მწვავე რეაქცია მოჰყვა. პრესამ სწრაფად გაიხსენა სერბსკის ინსტიტუტის საბჭოთა წარსული, როდესაც ამ ცენტრმა 2000-მდე დისიდენტი გიჟად გამოაცხადა. გაიხსენეს ისიც, რომ ამ ინსტიტუტში მოიგონეს დაავადება "ნელა პროგრესირებადი შიზოფრენია", რომლის სიმპტომებიც იყო "სიჯიუტე, შეხედულებების ურყევობა და რეფორმისტული გადახრები". სწორედ ამ დიაგნოზით ხდებოდა სხვაგვარად მოაზროვნეთა დიდი ნაწილის შეურაცხადად გამოცხადება. ასეთი პრაქტიკის გამო, თავის დროზე, საბჭოთა კავშირი მსოფლიო ფსიქიატრიული კონგრესიდან გარიცხეს. ინსტიტუტის ისტორიაში კიდევ ერთი ცნობილი შემთხვევა გახლდათ 1969 წელს გენერალ გრიგორენკოს გიჟად გამოცხადება, იმაზე დაყრდნობით, რომ "იგი ბოლომდე დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში".


პოლკოვნიკი ბუდანოვი

ის ექიმები, რომელიც ამ დიაგნოზით ასობით ჯანმრთელ ადამიანს საგიჟეთში აგზავნიდნენ, დღესაც ინსტიტუტში მუშაობენ. ცენტრის ახლანდელი დირექტორი ტატიანა დმიტრიევა რამდენიმე დღის წინ "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტთან საუბარში ამტკიცებდა, რომ დისიდენტები სწორედაც გიჟები იყვნენ. აბა, გიჟები რომ არ ყოფილიყვნენ, პროტესტის გამოთქმას ხომ არ დაიწყებდნენო. მართალია, ინსტიტუტმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ "ნელა პროგრესირებადი დიაგნოზი" ხმარებიდან ამოიღო, მაგრამ იგი დღესაც აგზავნის კლინიკებში ჯანმრთელ ადამიანებს. ამავე დროს, "კაგებეს" მეგობარი საავადმყოფო ზოგიერთებს სასჯელიდან თავის დაძვრენაშიც ეხმარება.

სწორედ "ძველმა" ექიმებმა ჩაატარეს კიდევ ერთი ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის შედეგებიც გუშინ გახდა ცნობილი. ბუდანოვი შერაცხადად რომ ეცნოთ, მას ოც წლამდე ციხე ემუქრებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი დროებით გიჟად გამოაცხადეს, მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი უნდა შეწყდეს. ბუდანოვს, ალბათ, რამდენიმეწლიან იძულებით მკურნალობას მიუსჯიან. თუ მის მიმართ არსებულ სახალხო მხარდაჭერასაც გავითვალისწინებთ, განკურნების შემდეგ ბუდანოვს შეეძლება, პოლიტიკურ კარიერაზეც იფიქროს.

რუსეთის არმიამ კი "ლაქა ჩამოირეცხა". მას კვლავაც შეუძლია განაცხადოს, რომ ჩეჩნეთში მისი მოქმედება ყოველგვარი დარღვევების გარეშე მიმდინარეობს და ამაში მართლმსაჯულებაც დაემოწმება."

# იქცევა თუ არა ევროკავშირი ზესახელმწიფოდ?

*მალე ევროკავშირს საკუთარი სწრაფი რეაგირების ძალები ეყოლება, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამხედრო ოპერაციებს შეასრულებენ. ამ ძალების ეფექტურობა და ამერიკელებთან მომავალი ურთიერთობები საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები იქნება.*

რევაზ ბახტაძე

ევროკავშირი თავისი ისტორიის განმავლობაში პირველად განალაგებს საკუთარ შეიარაღებულ ძალებს მაკედონიაში. ეს გადაწყვეტილება კოპენჰაგენის სამიტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა. შეთანხმება ანკარასა და ბრიუსელს შორის თურქეთის პრემიერ-მინისტრ აბდულა გულსა და მმართველი პარტიის ლიდერ რეჯებ ერდოქანზე გერმანიისა და საფრანგეთის უზარმაზარი ზეწოლის შედეგად იქნა მიღწეული.

ევროკავშირის ლიდერები სამი წლის წინ, ჰელსინკის სამიტზე შეთანხმდნენ, რომ 2003 წლისათვის 60000-კაციანი სწრაფი რეაგირების ევროპული ძალები შეიქმნება. გეგმის თანახმად, აღნიშნულმა ძალებმა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში 60 დღის განმავლობაში უნდა შეძლოს განლაგება. ევროპული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას ბიძგი 1999 წლის კოსოვოს კონფლიქტმა მისცა, რომელმაც ევროპის სამხედრო სისუსტე აშკარა გახადა.

ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ევროკავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებას სამხედრო განზომილებას შემატებს. სწრაფი რეაგირების ძალების ძირითადი დანიშნულება ჰუმანიტარული და სამშვიდობო ოპერაციები იქნება.

ნატო-ს წევრი თურქეთი უკანასკნელ დღეებამდე ბლოკავდა ბერლინის შეთანხმებას, რომლის თანახმად ევროკავშირს საშუალება ექნება, ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურა, ამერიკისაგან დამოუკიდებლად, სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენოს.

ანკარა ევროკავშირისა და ნატოსაგან იმის გარანტიას მოითხოვდა, რომ ევროპელები არასოდეს გამოიყენებდნენ ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურას ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, განსაკუთრებით, კვიპროსზე, თურქეთის უსაფრთხოების ინტერესების საწინააღმდეგოდ. კოპენჰაგენის სამიტზე მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას: იმის მიუხედავად, რომ კვიპროსი 2004 წელს ევროკავშირის წევრი გახდება, იგი კავშირის სამხედრო ოპერაციებში არასოდეს არ მიიღებს მონაწილეობას.

ევროკავშირის პირველი სამხედრო მისია 1 იანვარს ბოსნიაში დაიწყება, სადაც ევროკავშირის ემბლემებით დამშვენებული 500 ჯარისკაცზე მეტი გაერო-ს ეგიდით მიმდინარე ოპერაციას ჩაანაცვლებს.

თუმცა, კავშირის შეიარაღებული ძალების ყველაზე სერიოზული გამოცდა მაკედონიაში მოხდება. 2001 წლის აგვისტოდან მოყოლებული, როდესაც მაკედონიის სამთავრობო ძალებსა და ეთნიკურ ალბანელებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი დასრულდა, ევროკავშირის დამკვირვებლების უსაფრთხოებას ნატო-ს ჯარისკაცები უზრუნველყოფენ.

ახალი შეთანხმების საფუძველზე, ნატო-მ ფორმალურად შეცვალა თავისი მისია და რესპუბლიკაში მშვიდობისმყოფელთა მომცრო ძალები განალაგა, რომელსაც მალე ევროპელთა მოზრდილი სამხედრო კონტინგენტი ჩაანაცვლებს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ნატო-ს მისიის თავის თავზე აღებას მაკედონიაში ჯერ კიდევ ამ თვეში გეგმავდა, თუმცა საკითხის გაჭიანურება თურქეთთან შეუთანხმებლობამ გამოიწვია (რამდენადაც თურქეთი ნატო-ს წევრია და არ შედის ევროკავშირის შემადგენლობაში, იგი წინააღმდეგი იყო, რომ ნატო-ს სამხედრო აღჭურვილობა ევროკავშირს გამოეყენებინა).

თებერვალში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ხავიერ სოლანა ეროვნული მთავრობების წინაშე ევროპული სწრაფი რეაგირების ძალების შესახებ ვრცელი მოხსენებით წარდგება. სწორედ ამ მოხსენებაზე იქნება დამოკიდებული ევროპული ძალების მაკედონიაში შესვლის ზუსტი თარიღი.

ნატო-სა და ვაშინგტონისაგან დამოუკიდებელი ევროპული შეიარაღებული ძალების შექმნამ ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგიერთები ამერიკელთა და ევროპელთა გლობალურ მეტოქეობაზეც კი ალაპარაკდნენ.

სკეპტიკოსები აღნიშნავენ, რომ ევროპელებსა და ამერიკელებს საკუთრივ ევროპის მომავლის შესახებ განსხვავებული ხედვა აქვთ. ბუშის ადმინისტრაციის წარმოდგენები გაერთიანებულ ევროპაზე, სადაც უკრაინა და მუსლიმური თურქეთიც მოიაზრება, სრულიად არ ემთხვევა ევროპელ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრს.

ევროპელი პოლიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ ვაშინგტონს ფარული განზრახვა ამოძრავებს, როდესაც აღმოსავლეთით ევროკავშირის გაფართოებას ასე დაჟინებით ლობირებს. ამ თეორიის მიხედვით, დიდი ევროპა ნაკლებ მოქნილი იქნება იმისათვის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე სწრაფად და ეფექტურად იმოქმედოს. კონსერვატორი პოლიტიკოსების მტკიცებით, სამიტის წინ ბუშის ადმინისტრაცია და ბრიტანეთი სპეციალურად ახდენდნენ ზეწოლას ბრიუსელზე თურქეთის მიღების მიზნით, რათა ერთიანი ევროპა უფრო ამორფულ და ნაკლებად ქმედუნარიან სტრუქტურად ექციათ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ თურქეთი შეერთებული შტატების ტროას ცხენი იქნება ევროპაში.

ევროპელთა არანაკლებ შეშფოთებას იწვევს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც გაერთიანებას 2004 წელს შეუერთდებიან. მათი აზრით, ისინი გაცილებით უფრო პროამერიკულები არიან და კავშირს ამერიკულ ელფერს შემატებენ.

თუმცა, ამერიკელ და ევროპელ ხელისუფალთა დიდი ნაწილი საერთო ღირებულებების არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას. "ჩვენი საკუთარი საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება შეერთებული შტატების წინააღმდეგ არ იქნება მიმართული", - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ ევროპის მომავლის შესახებ საუბრისას. "ჩვენ, ამერიკის სახით, ძლიერი მოკავშირე გვჭირდება, ისევე როგორც მათ ვჭირდებით ჩვენ. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამერიკასა და ევროკავშირს საერთო გრძელვადიანი ინტერესები აქვთ", - დასძინა მან.

ამავე მოსაზრებას იზიარებს ანალიტიკოსთა უმრავლესობაც. "ევროკავშირი ძალიან ცდილობს ამერიკელებისაგან განსხვავებული მიდგომების დამკვიდრებას, მაგრამ მათ კარგად ესმით, რომ მსოფლიოში ვერაფერი მოხდება შეერთებული შტატების თანხმობის გარეშე. რასაკვირველია, დიპლომატიური დაპირისპირებები კვლავაც იქნება, მაგრამ ევროპელები კარგად აცნობიერებენ, რომ აშშ-ს წინააღმდეგ მოქმედებაზე გაცილებით მომგებიანი მასთან თანამშრომლობაა", - თქვა დანიელ კოენმა, ლონდონში არსებული ევროპის რეფორმირების ცენტრის მკვლევარმა. "მე ვერ წარმომიდგენია ისეთი სცენარი, როდესაც ევროკავშირი და შეერთებული შტატები ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ ბლოკად ჩამოყალიბდება", - დასძინა მან.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას;

- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**

## მუშაობს ჯეოსელი ორ - 900 და 1800MHz სიხშირეზე?




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: ბრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

# საგანგებო ლეგიონი პოლიციის უფლებებითაც აღიჭურვება

ნინო ნარჩემაშვილი

"საფინანსო გამოძიების გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვა ქვეყნებთან ერთობლივი ღონისძიებების წარმოება საქართველოსთვის განსაკუთრებით იმ ეტაპზეა მნიშვნელოვანი, როცა ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებს, საიდანაც ქვეყანაში დიდი რაოდენობით კონტრაბანდული საქონელი შემოდის და მილიონობით ზარალს აყენებს ბიუჯეტს", - განაცხადა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ. როგორც ცნობილია, სამთავრობო სტრუქტურებში კარგა ხანია, რაც საფინანსო პოლიციის შექმნაზე საუბრობენ და ეს საკითხი, ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის გამო, დღემდე გადაუჭრელია.

გუშინ, "შერატონ მეტეხი პალასში" გაიხსნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საგადასახადო და ფინანსურ დანაშაულებათა საგამოძიებო ორგანოების ხელმძღვანელთა საკოორდინაციო საბჭოს მეხუთე სხდომა.

საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, მოლდოვას და რუსეთის ფედერაციის საგადასახადო დანაშაულებების საგამოძიებო ორგანოთა ხელმძღვანელებმა ისაუბრეს ოპერატიული საქმიანობისა და კადრების მომზადების სფეროებში ურთიერთთანამშრომლობისა და საინფორმაციო რესურსების გაცვლის შესახებ; შეიმუშავეს სხდომაში მონაწილე ქვეყნების ტერიტორიებზე მეწარმე სუბიექტების მიერ ჩადენილი საგადასახადო და საფინანსო კანონდარღვევათა მონაცემების გაერთიანებული საინფორმაციო ბანკის ეტაპობრივი რეალიზაციის მექანიზმები; დაამტკიცეს 2003-2004 წლებისათვის ეკონომიკურ დანაშაულებებთან ბრძოლის ერთობლივ ღონისძიებათა პროგრამა; განიხილეს ამ ღონისძიებათა დაფინანსების საკითხები. სხდომის მუშაობაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე აზერბაიჯანის, უკრაინის და ესტონეთის დელეგაციების მხრიდან გაკეთდა განცხადება საკოორდინაციო საბჭოს გაფართოების საჭიროების შესახებ, რადგან თურქეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა უკვე გამოთქვეს საბჭოში გაერთიანების სურვილი.

სხდომაზე გამოსულმა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ განაცხადა, რომ უკვე მზად არის პროექტი ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის ბაზაზე საფინანსო პოლიციის შექმნის შესახებ. ეს საკითხი უშიშროების საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილება. კანონპროექტის მიხედვით, საგანგებო ლეგიონი ოთხი საგამოძიებო უწყების ფუნქციას შეითავსებს და ამის შემდეგ მხოლოდ ერთი უწყება (საგანგებო ლეგიონის საფინანსო პოლიცია) აწარმოებს ეკონომიკური დანაშაულებების მოკვლევასა და ძიებას. გახოკიძის განცხადებით, აღნიშნული ცვლილება ამ სფეროში არსებული ქაოსის დასასრული იქნება. აქ კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დსთ-ს ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელის თემურ ძიძიგურის განცხადებით, საფინანსო პოლიციის დაკომპლექტება მოხდება როგორც ლეგიონის საკუთარი, ასევე მოწვეული პროფესიონალი კადრებით. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკური დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას. ამასთან, რადგან აღნიშნულ ორგანოს სრული გამოძიების და საქმის სასამართლომდე მიყვანის უფლება ენიჭება, შესაბამისად, იზრდება საგანგებო ლეგიონის პასუხისმგებლობაც. ამიტომ საგანგებო ლეგიონს საგანგებო მუშაობა მართებს. რაც შეეხება საკოორდინაციო საბჭოს სხდომას, **"რა საკითხიც არ უნდა განიხილებოდეს, ყველაზე მნიშვნელოვანია ურთიერთთანამშრომლობა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის სურვილი,"**- განაცხადა თემურ ძიძიგურმა.

რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ანატოლი ციბულევსკის განცხადებით, **"ქართული საგანგებო ლეგიონის წარმატებულ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს ლეგიონის მიერ ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ უკვე 20 მილიონი ლარია დარიცხული. თუ რუსეთის საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის მიერ 2002 წელს სახელმწიფო ხაზინაზე დარიცხულ თანხას შევადარებთ და ქვეყნების მასშტაბებსაც გავითვალისწინებთ, ეს საკმაოდ კარგი შედეგია."**

სხდომის დასრულების შემდეგ დსთ-ს ქვეყნების საგადასახადო და ფინანსური საგამოძიებო ორგანოების ხელმძღვანელები საქართველოს პრეზიდენტს შეხვდნენ.

**კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:**

**უსაფრთხოების ოფიცერი**
**საველე გარემოსდაცვითი ოფიცერი**
**საველე ინჟინერი**
**საზოგადოებასთან ურთიერთობის ინჟინერი**
**მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი**

უსაფრთხოების ინჟინერი: პასუხისმგებელია მილსადენის მშენებლობის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, მონიტორინგსა და "ბი-პი"-ს სტანდარტების დაცვაზე. მის მოვალეობაში შედის რჩევის გაცემა და უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში საქმიანობის უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად. უსაფრთხოების ოფიცრის თანამდებობები გათვალისწინებულია მშენებლობის ობიექტებზე, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების და პორტის/მასალების მართვის სფეროში.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, უსაფრთხოების სფეროში, სასურველია სამშენებლო ობიექტზე, სატრანსპორტო საშუალებებზე ან პორტის/მასალების მართვის სფეროში მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი.

საველე გარემოსდაცვითი ოფიცერი: პასუხისმგებელია სამუშაოების ზედამხედველობაზე გარემოსდაცვითი კუთხით. მის მოვალეობაში შედის მილსადენის მარშრუტის რომელიმე კონკრეტულ უბანზე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, გარემოსდაცვით სფეროში მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, სასურველია მშენებლობაზე მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი სამეცნიერო ან საინჟინრო დარგში.

საველე ინჟინერი: პასუხისმგებელია ველზე და ოფისში მომუშავე საინჟინრო ჯგუფების საქმიანობის კოორდინირებასა და ხელშეწყობაზე, სამშენებლო და ტექნიკური პროცედურების დაცვის შემოწმების უზრუნველყოფაზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, მშენებლობის სფეროში მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, სასურველია მილსადენის ან მილსადენის ობიექტზე მუშაობის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საინჟინრო დარგში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი: პასუხისმგებელია პროექტის ჯგუფისთვის პროექტის სოციალური ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებაზე, რომელიც გარეშე აუდიტორიისთვის არის გამიზნული. ასევე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის გეგმების განხორციელებაზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალური კანონმდებლობის დარგში მუშაობის გამოცდილება. სასურველია გამოცდილება ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში. უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი: პასუხისმგებელია მშენებლობის დროს, კერძოდ მილების გაყვანის და მილსადენის მშენებლობის "ბი-პი"-ს სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფასა და მასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის მონიტორინგზე.

მოთხოვნები: ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილი ფლობა, MS Office-ის გამოყენების კარგი უნარი, მშენებლობის ობიექტზე მუშაობის დიდი გამოცდილება. აუცილებელია გამოცდილება გზების მშენებლობასა და ეროზიის კონტროლის სფეროში. უმაღლესი სასწავლების დიპლომი ტექნიკურ დარგში.

**ყველა ზემოაღნიშნული თანამდებობისთვის სამუშაოს დეტალური აღწერის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.**

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით რომ გაგაჩნიათ საჭირო კლასიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობების დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curruculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2002 წლის 23 დეკემბერი, პარასკევი, საღამოს 18:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება. გასაუბრებაზე დაბარებული ყველა კანდიდატს დავუკავშირდებით არაუგვიანეს პარასკევისა, 2002 წლის 27 დეკემბერს.**

**კადრების დეპარტამენტი**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი" საქართველო
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38.

# ნათელაშვილს ერთი სული აქვს, სასამართლოში შევარდნაძე დაკითხოს

*საკონსტიტუციო სასამართლოში ლეიბორისტების მიერ "ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვა გრძელდება. გუშინ სემეკის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი დაკითხეს. შალვა ნათელაშვილი ელექტროენერგეტიკის დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს თავისი უშუალო მოვალეობის შეუსრულებლობაში ადანაშაულებს, რაც ჯერ "ეი-ი-ესთან" კაბალური ხელშეკრულების გაფორმებაში, შემდგომ კი ტარიფის უკანონო გაზრდაში გამოიხატა.*



ნათელაშვილს ერისთავის პასუხები არ აკმაყოფილებდა

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაია ურუშაძე

ძირითადი ბრალდება ელიზბარ ერისთავის წინააღმდეგ დაახლოებით ასე ჟღერდა: სემეკი საზოგადოებისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს იღებს და არ აიძულებს დედაქალაქის ელექტრომომარაგების მონოპოლისტს, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. "ნაკისრ ვალდებულებებში" სამომხმარებლო ხელშეკრულებების გაფორმება და ქალაქის გამრიცხველიანების დასრულება იგულისხმება. ნათელაშვილის პრეტენზია შეეხებოდა "ეი-ი-ეს თელასის" მიერ განხორციელებული ინვესტიციის სამომხმარებლო ტარიფში ორჯერ გათვალისწინებასაც. "ლეიბორისტების" ლიდერმა სემეკის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებისას მოიშველია "24 საათში" დაბეჭდილი იგნასიო ირიბარენის ინტერვიუც, სადაც "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი დაინტერესდა, თუ სად წავიდა ის 300 მილიონი დოლარი, რომელიც "ეი-ი-ესმა" საქართველოს ენერგოსისტემას გადაუხადა. ერისთავის განცხადებით, სემეკი უფლებამოსილი არ არის, შეამოწმოს ფინანსური ნაკადები, ამიტომ მისთვის უცნობია, თუ სად წავიდა ეს თანხა. ხოლო რაც შეეხება "ეი-ი-ესის" მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, კომპანიამ მათი უმეტესი ნაწილი უკვე შეასრულა.

**"ის ათი მილიონი დოლარი, რომელიც აშშ-ს კონგრესმა "ეი-ი-ესს" დახმარების სახით გამოუყო, ტარიფში არ აისახება. სამაგიეროდ, ის ჭარბი ინვესტიცია აისახება, რომელიც კომპანიამ საქართველოში განახორციელა. ამას ითვალისწინებს "ეი-ი-ესთან" გაფორმებული ხელშეკრულებაც და კანონიც "ინვესტიციების შესახებ". სემეკი იძულებულია, დააკმაყოფილოს "ეი-ი-ესის" მოთხოვნები ამ საკითხთან დაკავშირებით,"** – განუცხადა ელიზბარ ერისთავმა საკონსტიტუციო სასამართლოს.

კითხვაზე, თუ რატომ არ გადადგა სემეკის თავმჯდომარე მაშინ, როცა იძულებული იყო ხალხისთვის საზიანო გადაწყვეტილებაზე მოეწერა ხელი, ელიზბარ ერისთავმა უპასუხა, რომ სხვა შემთხვევაში ტარიფი უკონტროლოდ და კიდევ უფრო მეტად გაიზრდებოდა.

როგორც სემეკის თავმჯდომარემ სასამართლოს ამცნო, "ეი-ი-ესის" მოთხოვნები მისთვის განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათების მინიჭებასთან დაკავშირებით (დღგ-ს გადახდა მხოლოდ რეალიზებული ელექტროენერგიიდან) მართებულია. ერისთავის განმარტებით, საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, თუ სახელმწიფო მიიღებს კანონს, რომელიც კომპანიის მდგომარეობას გააუარესებს, "ეი-ი-ესი" უფლებამოსილია, ბიუჯეტს ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს.

სემეკს შეუძლია "ეი-ი-ეს თელასს" ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ერთადერთი ბერკეტით აიძულოს - ლიცენზია შეუჩეროს (ან ჩამოართვას). თუ სემეკმა "ეი-ი-ესზე" ზემოქმედების ამ უკიდურეს ზომას მიმართა, ლიცენზიის შეჩერების დღიდან "ეი-ი-ესის" საქმიანობა უკანონო გახდება, რის გამოც კომპანიას სოლიდური საურავების გადახდა დაეკისრება. ბუნებრივია, "ეი-ი-ესი" თავს არ დაიჯარიმებს; უბრალოდ, დედაქალაქს ელექტრომომარაგებას შეუწყვეტს.

**"სემეკის ყველა გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით არის ნაკარნახევი,"** – იგერიებდა ელიზბარ ერისთავი სასამართლოზე შალვა ნათელაშვილის შემოტევებს. მაგრამ გაცხარებული ქალბატონების მოგერიება, ნათელაშვილისგან განსხვავებით, შეუძლებელი აღმოჩნდა. ისინი შესვენებაზე, გაყინული დარბაზიდან გამოსულ სემეკის თავმჯდომარეს კართან ჩაუსაფრდნენ და ქოქოლა დააყარეს. **"გიცნობთ, რაც ხართ! თქვენ ტარიფის გაზრდისთვის ფული ჩაიჯიბეთ, ახლა კი ურცხვად გვიმტკიცებთ, რომ სხვა გზა არ გქონდათ!"** – ადანაშაულებდნენ ქალები ელიზბარ ერისთავს.

შალვა ნათელაშვილმა სასამართლოს მომავალ სხდომაზე პრეზიდენტ შევარდნაძის მობრძანებაც მოითხოვა, თუმცა იქვე გაირკვა, რომ ამის აუცილებლობა არ არის, ვინაიდან პრეზიდენტის ინტერესებს სასამართლოზე მისი პირადი რწმუნებული ბელა სირბილაძე დაიცავს.

მორიგ სხდომას სასამართლო ხვალ გამართავს და მოპასუხე მხარეების წარმოდგენილ დასკვნებს გაეცნობა. პროცესის დასრულება კი ხუთშაბათისთვის იგეგმება.

# საქართველოსგან ნატო პატიოსან ხელისუფლებას ითხოვს

პირველი გვერდიდან

ნატო-ში გაწევრიანებისთვის ქართულ მხარეს, პრაქტიკულად, მზად აქვს 2003 წლის სამოქმედო პროგრამა, რომელიც ქვეყნის უშიშროების საბჭომ უნდა დაამტკიცოს და ამით კონტროლის ვალდებულებაც იკისროს.

ნატო-ში გაწევრიანების პროგრამა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი კონცეპტუალურია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა თუ მისი განვითარების ძირითად ხელშემშლელ ფაქტორებს მოიცავს. ეს ნაწილი აერთიანებს თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკურ, საინფორმაციო უზრუნველყოფისა და მართვის მექანიზმების თემატიკას, აგრეთვე, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის საკითხებს. მეორე ნაწილში მოცემულია სამოქმედო გეგმა, რომლითაც აღნიშნული პროგრამა უნდა შესრულდეს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით აფციაურის განცხადებით, ნატო-ში გაწევრიანების მთავარი კრიტერიუმი გულისხმობს, რომ ქვეყნის ბიუჯეტის მინიმუმ ერთი პროცენტი თავდაცვაზე უნდა იხარჯებოდეს. 2002 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2003 წლის ბიუჯეტის პროექტით, თავდაცვის სფეროზე გამოყოფილი დაფინანსება ბიუჯეტის დაახლოებით 0.5 პროცენტი იქნება. ამას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგებია, თუ რატომ ითხოვდა თავდაცვის მინისტრი მომავალი წლისთვის 129 მილიონი ლარის გამოყოფას. ეს თანხა თითქმის შეესაბამება სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ პროცენტს. აფციაურის თქმით, ძლიერი ანუ ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებული ჯარის შექმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შესაბამის დაფინანსებაზე, ამიტომ ნატო-ში გაწევრიანების პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი სწორედ ეკონომიკურ ასპექტებს უჭირავს.

**"ნატო-ში გაწევრიანება ცალკეულ, სამხედრო ან ეკონომიკურ, სფეროებში მიღწეულ წარმატებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ - კომპლექსურ წინსვლაზე. მთავარია, ნატო-ს დავუმტკიცოთ, რომ საქართველოს აქვს უნარი, დამოუკიდებლად მართოს შიდა, მათ შორის – ეკონომიკური პროცესებიც,"** – განაცხადა აფციაურმა.

აფციაურის თქმით, საქართველოს ბიუჯეტის შევსების ალტერნატიული წყაროების პოვნა საკმაოდ რთული იქნება, ამიტომ პროგრამაში ყურადღება მახვილდება არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებაზე. კერძოდ, საქართველომ უნდა უზრუნველყოს კორუფციის დონის და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, რის ხარჯზეც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა უნდა მოხდეს. გარდა ამისა, ქვეყანამ უნდა იზრუნოს სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებაზეც, რადგან სოციალური დაძაბულობა რეფორმების გატარებისთვის ხელსაყრელ ფონს ვერ შექმნის.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, ნატო-ში კარგად ესმით, რომ საქართველოსადმი გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესი განპირობებულია რეგიონული ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების პროექტებით.

**"ნატო შიდა ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებაში დაგვეხმარება, რაც შემდეგ რეგიონულ თანამშრომლობაში სრულფასოვნად ჩართვას შეუწყობს ხელს,"** – მიაჩნია აფციაურს. მისი აზრით, პროგრამის შესრულება შეიძლება დასრულდეს საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით, ანუ - ქვეყნის მიერ პოლიტიკური თუ ეკონომიკური უსაფრთხოების მტკიცე გარანტიების მიღებით. ეს კი შეიძლება, ეკონომიკური განვითარებისთვის საუკეთესო სტიმულად იქცეს.

ნატო-ს მხრიდან სისტემურად გაკონტროლდება, თუ რამდენად წარმატებით გაართმევს თავს საქართველო ნაკისრ ვალდებულებებს. მით უმეტეს, რომ მონიტორინგის აპრობირებული მექანიზმები (ისინი გამოსცადეს რუმინეთის, ბულგარეთისა და ბალტიის ქვეყნებში) ამ ორგანიზაციას უკვე აქვს. სავარაუდოა, რომ ნატო იხელმძღვანელებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების – სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის - შეფასებებითაც.

**"არსებობს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელი. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები, ბიუჯეტის შესრულებისა და ინფლაციის დონეები, ეკონომიკური საზღვრების დაცულობა. ეს პარამეტრები განმსაზღვრელია იმისა, თუ რამდენად უსაფრთხოა ქვეყანა ეკონომიკურად. ამიტომ მხოლოდ რამდენიმეწლიანი, სტაბილური პროგრესის შემთხვევაში შეიძლება ნატო-ში გაწევრიანების იმედი გვქონდეს,"** – აცხადებს აფციაური.

# პენსიებს სახელმწიფო არც თავად არიგებს, არც სხვას ანებებს

*დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა მოამზადა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ცვლილებები უნდა შევიდეს საგადასახადო კოდექსში. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს, საგადასახადო საპენსიო და ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევების განვითარების ხელშეწყობას.*



არჩილ ცერცვაძე და დავით სარალიძე გამოსავალს ეძებენ

იური ლომიძის ფოტო

სოფო კვინტრაძე

კანონი "არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1998 წელს მიიღო, თუმცა კერძო საპენსიო დაზღვევამ საქართველოში განვითარება, ფაქტობრივად, ვერ ჰპოვა. ერთადერთი სადაზღვევო კომპანია, რომელმაც ამ სახის ლიცენზია ითხოვა, არის "ჯი-პი-აი ჰოლდინგი" და იგი ახორციელებს კიდეც ამ დაზღვევას. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კერძო საპენსიო დაზღვევის განვითარებას ხელს უშლის მოქმედი საგადასახადო სისტემა და საჭიროა, კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები.

სასტუმრო "მარიოტში" გამართულ სემინარს დაესწრნენ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის, პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის, სახელმწიფო საპენსიო ფონდის, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები. სემინარზე განიხილეს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი კერძო საპენსიო სადაზღვევო სისტემის პროექტი და საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი.

როგორც დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი არჩილ ცერცვაძე აცხადებს, კერძო საპენსიო დაზღვევის წარმოება შეუძლია როგორც სადაზღვევო კომპანიას, ასევე ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციას. კერძო საპენსიო ფონდი ემყარება თანხის ნებაყოფლობით დაგროვების პრინციპს: ნებისმიერ მომუშავე პირს, რომელსაც თავისი დამქირავებელი უხდის ხელფასს, შეუძლია, ხელფასის, მაქსიმუმ, 30 პროცენტი ყოველთვიურად საპენსიო ფონდში გადარიცხოს. თუმცა, ეს თანხა წელიწადში 1200 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული თანხა ათი წლის მანძილზე დაგროვდება ამ პიროვნების ანგარიშზე და შემდეგ გადაეცემა მას პენსიის სახით. ამ სისტემის ასამოქმედებლად გარკვეული სტიმულებია საჭირო. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, თანხა, რომელსაც პირი ყოველთვიურად გადარიცხავს საპენსიო ფონდში, გათავისუფლდება საშემოსავლო და სოციალური გადასახადებისაგან. ამისათვის კი საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლაა საჭირო. ამგვარად შექმნილ საპენსიო ფონდში თანხების ნაწილი სადაზღვევო რეზერვში აკუმულირდება, დანარჩენი კი მიემართება საინვესტიციოდ. როგორც არჩილ ცერცვაძე აცხადებს, თანხის ინვესტირება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოხდება.

**"ამდენად, ეს თანხა გაყინული კი არ იქნება ანგარიშზე, არამედ იგი იმოძრავებს და მოიტანს მოგებას. სწორედ ამ მოგებიდან დაემატება გარკვეული პროცენტი პიროვნების მიერ შემოტანილ თანხებს. საბოლოო ჯამში, ვინც კერძო საპენსიო ფონდში თანხებს ჩარიცხავს, მოგვიანებით ნამატსაც მიიღებს,"** – დარწმუნებულია არჩილ ცერცვაძე.

პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე აღნიშნულ პროექტს მხარს უჭერს. იგი აცხადებს, რომ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა სამინისტრო ყოველგვარი შეღავათების წინააღმდეგია. სალარიძე არ მალავს, რომ ამ კანონპროექტს სწორედ ფინანსთა სამინისტროს მხრიდან ექნება ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, თუმცა იქვე იმასაც აცხადებს, რომ გაზაფხულზე კანონპროექტს პარლამენტში წარადგენენ განსახილველად. სალარიძეს მიაჩნია, რომ შეღავათები სტიმული იქნება როგორც დამქირავებლის, ასევე დაქირავებულისათვის, რათა მათ კერძო საპენსიო დაზღვევა განავითარონ.

სემინარზე წარმოადგინეს სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც საქართველოში ამჟამად 800 ათასი ადამიანია დასაქმებული როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებში. ერთი წლის მანძილზე მათთვის გადახდილმა ხელფასმა, ოფიციალური მონაცემებით, 810 მილიონი ლარი შეადგინა. კერძო საპენსიო დაზღვევის პროექტის ინიციატორები იმედოვნებენ, რომ ამ 800 ათასი კაციდან, დაახლოებით, 20 ათასი ჩაებმება ახალ საპენსიო სისტემაში.

# ახალი დეტალები სადი შარიფოვის საქმეში

პირველი გვერდიდან

მესტიის რაიონის სოფელ ეცერში დაბადებული, 26 წლის გეგი გურჩიანი აფხაზეთში გადასახლდა. ომის შემდეგ კი, ლტოლვილის სტატუსით, იგი თბილისში, გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე "საქენერგოს" საერთო საცხოვრებელში მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა. სავარაუდოდ, მისი დაპატიმრებაც სწორედ აქ მოხდა.

როგორც სასამართლოში მყოფი გურჩიანის ახლობლები ირწმუნებოდნენ, გურჩიანის დაპატიმრების შესახებ ბრალდებულის მშობლებმა, რომლებიც სვანეთში ცხოვრობენ, ჯერჯერობით არაფერი იციან. მის მეუღლეს კი, ფაქტობრივად, არავინ დაკავშირებია და იგი ინფორმაციას მასმედიის საშუალებით იღებს. აქედან გამომდინარე, გურჩიანისთვის კერძო ადვოკატის აყვანაზეც არავის უზრუნია და მის ინტერესებს სახაზინო წესით დანიშნული ვექილი ნუგზარ ოდილავაძე იცავს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დამცველს მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის სასარგებლო სასამართლოზე არაფერი უთქვამს.

**"გეგი გურჩიანი პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ. იგი აღიარებს, რომ შარიფოვების სახლში, ქურდიანთან და ვინმე ვანოსთან ერთად, დაყაჩაღების მიზნით შევიდა. მაგრამ, როგორც გურჩიანი ამბობს, "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამის ოჯახში შესვლა მთელ სოფელს გაუგია. მოხუცი შარიფოვიც სწორედ იმიტომ წაუყვანიათ, რომ სოფლიდან მშვიდად გასულიყვნენ, მისი მოკვლა კი არავის უფიქრია. მაგრამ შარიფოვი გზაში გარდაცვლილა. რაც შეეხება იარაღის უკანონო ტარებასა და ოჯახის წევრის ცემის ფაქტს, გურჩიანი უარყოფს და ამ მხრივ თავს დამნაშავედ არ ცნობს,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში გურჩიანის ადვოკატმა.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, ადვოკატ ოდილავაძეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, გაასაჩივრებდა თუ არა საოლქო სასამართლოში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუმცა, სამომავლოდ დამცველი იმედოვნებს, რომ გურჩიანს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას დაუნიშნავს და დანაშაულის ჩადენის დროს მის შეურაცხადობას დაამტკიცებს. ოდილავაძის მტკიცებით, გურჩიანი აფხაზეთის ომში იბრძოდა, დაიჭრა და კონტუზია დაემართა. რამდენად შეძლებს სახაზინო ადვოკატი ამ გზით მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის მოსალოდნელი 15-წლიანი პატიმრობის შემსუბუქებას, წინასწარ, ალბათ, ძნელი სათქმელია.

გურჩიანისგან განსხვავებით, კიდევ უფრო ბუნდოვანია შარიფოვის საქმეზე დაპატიმრებული პირველი ეჭვმიტანილის - კახა ქურდიანის საქმე. ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში მცხოვრები ქურდიანი ბოლნისის პოლიციამ 13 დეკემბერს იარაღის უკანონო ტარების მოტივით დააპატიმრა. ორი დღის წინ მას ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ იმავე ბრალდებისთვის სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

**"ქურდიანი შარიფოვის საქმეში ცნობილია ეჭვმიტანილის სტატუსით, თუმცა ამ საქმეში ბრალი ჯერ არ წაგვიყენებია. ვინაიდან იარაღის უკანონო ტარებისთვის მას უკვე აქვს წინასწარი პატიმრობა შეფარდებული, კანონმდებლობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შარიფოვის საქმეზე ბრალი 30 დღის განმავლობაში წარვუდგინოთ. თუმცა, ქურდიანის მიმართ ამ მხრივ უკვე არსებობს საკმარისი მტკიცებულებები და არ არის გამორიცხული, რომ იგი ბრალდებულად ხვალვე გამოვაცხადოთ,"** – გვითხრა საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა კახა ნავაძემ.

დღემდე უცნობია შარიფოვის საქმეზე დაპატიმრებული მესამე ეჭვმიტანილის ვინაობა და ბედი. როგორც გენპროკურატურაში ირწმუნებიან, სადაც შარიფოვის საქმეს იძიებენ, აღნიშნული პიროვნების შესახებ არაფერი იციან. შინაგან საქმეთა სამინისტროში კი კვლავ უდანაშაულობის პრეზუმფციას იშველიებენ და აღნიშნული პიროვნების გვარს მკაცრად ასაიდუმლოებენ; თუმცა, აღიარებენ, რომ მას სხვა დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობა უკვე შეფარდებული აქვს.

სამაგიეროდ, შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი ჯაბა ჯანხვეთელი გვიმხელს იმ სახლის პატრონის ვინაობას, სადაც დამნაშავეები ათი დღის განმავლობაში მალავდნენ შარიფოვის გვამს. ჯანხვეთელის ინფორმაციით, მიცვალებული შარიფოვი დამნაშავეებმა სოფელ ტანძიაში, დათილა ქოჩქიანის მიტოვებულ სახლში, თივაში დამალეს. არადა, "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამის გვამს რომ დამნაშავეები ქოჩქიანის სახლში მალავდნენ, მასპინძელს, თურმე, პოლიციისგან შეუტყვია, რადგან იგი მიტოვებულ სახლში, ფაქტობრივად, არ მიდიოდა.

ჩვენი ინფორმაციით, ათი დღის შემდეგ დამნაშავეებს შარიფოვის გვამი სოფელ აკუართას ტრასაზე იმიტომ დაუგდიათ, რომ შეშინებიათ, ცხედარი ღორებს ან სხვა ცხოველებს არ შეეჭამათ, რაც, მთის კანონის მიხედვით, დიდი ცოდვა ყოფილა.



ეჭვმიტანილს რაიონულმა სასამართლომ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"24 საათისთვის" ცნობილი გახდა ისიც, რომ შარიფოვის ცხედარი, გურჩიანის თხოვნით, სოფელ აკუართამდე მალხაზ აფრასიძის "ვაზ-21"-ით გადაუტანიათ. იცოდა თუ არა აფრასიძემ, რომ ზეწარში გახვეული გვამი გადაჰქონდა, ჯერჯერობით უცნობია. სამართლდამცველებს მისი დაკითხვა დღემდე ვერ მოუხერხებიათ, რადგან იგი მიიმალა.

მოკლედ, სადი შარიფოვის საქმეზე თანდათან ახალი დეტალები იკვეთება. რა სახეს მიიღებს საბოლოოდ "ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის მამის გატაცება-გარდაცვალების საქმე და სადამდე გაიზრდება დაკავებულ დამნაშავეთა წრე, მომავალი გვიჩვენებს.

## ინფორმაცია

### რადუევის მკვლელობის ვერსიები

სალმან რადუევის მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ უამრავი ვერსია გავრცელდა. ოფიციალური ვერსიით, რადუევი საავადმყოფოს თერაპიის განყოფილებაში სისხლისგან დაიცალა. რუსეთის პრესაში გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, სალმან რადუევი 14 დეკემბერს ციხეში ჩატარებული შემოწმების მსხვერპლი გახდა. იგი არ დაემორჩილა რეჟიმის უფროსის ბრძანებას, რის გამოც რადუევი სასტიკად სცემეს. მომხდარი ინციდენტიდან სამი საათის შემდეგ რადუევი საკანში მკვდარი ნახეს.

### "ნორდ-ოსტის" ტერაქტისას დაზარალებულები ხელისუფლებას უჩივიან

დუბროვკის ტერაქტისას დაზარალებულ 15 მოსკოველს, რომლებმაც სასამართლოს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართეს, სხვა დაზარალებულებიც შეუერთდნენ.

ადვოკატ იგორ ტრუნოვის განცხადებით, დაზარალებულთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს, ისინი ხელისუფლებისგან ფულად კომპენსაციას ითხოვენ. მოსკოვის სასამართლოში, ჯერჯერობით, 23 დაზარალებულის სარჩელი შევიდა. მათ მიერ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოთხოვნილმა თანხამ 2 მილიონ დოლარს მიაღწია.

### რუსეთში მენდელეევის წიგნი მოიპარეს

ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცნობილ აუქციონზე 40 ათას დოლარად გაყიდული მენდელეევის "ქიმიის საფუძვლების" პირველი გამოცემა, ექსპერტთა დასკვნით, რუსეთის ერთ-ერთი ბიბლიოთეკიდან არის მოპარული. წიგნი დაიბეჭდა 1869-1871 წლებში სანკტ-პეტერბურგის სტამბაში.

### ბავშვებით უკანონო ვაჭრობის საქმეს ვოლგოგრადის სასამართლო განიხილავს

558 ბავშვის საქმეს, რომლებიც იტალიაში უკანონო გზით გააშვილეს, ვოლგოგრადის სასამართლო გაიხილავს. "ფრატის საქმის" სახელით ცნობილი სასამართლო პროცესი გუშინ მეორედ გადაიდო.

იტალიის მოქალაქეს ნადეჟდა ფრატის ბრალი ედება ყალბი საბუთების დამზადებასა და ბავშვების უკანონო გაშვილებაში. განსასჯელთა შორისაა ვოლგოგრადის ბავშვთა სახლის დირექტორი, მოადგილეები და სხვა თანამშრომლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბავშვებით ვაჭრობაში.

## მოკლედ

**თბილისი.** პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ოფიციალურად დაადასტურა რუსეთის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ქართულმა სპეცსამსახურებმა კრიმშამხალოვი დააპატიმრეს და რუსეთს გადასცეს.

ქართველი ძალოვნები ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ.

შევარდნაძემ განაცხადა, რომ ლაგოდეხში, საშიში ტერორისტების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციისას, იუსუფ კრიმშამხალოვი სამართალდამცავებმა დააპატიმრეს, ხოლო დანარჩენები ლიკვიდირებული არიან. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოსა და გორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მანქანის გამტაცებელთა ჯგუფის წევრი, გორში მცხოვრები, რამდენიმეჯერ ნასამართლევი, 37 წლის ბესიკ გოგიჩაიშვილი, რომელმაც, თანამზრახველებთან ერთად, გორში მცხოვრებ ვლადიმერ საბაშვილს სახლის ეზოდან გასტაცა ავტომანქანა „ვაზ 2106". ავტომანქანა ნაპოვნია ქარელის რაიონში მცხოვრები ჟენია ბუზიაშვილის ეზოში. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ სამართალდამცველი უწყებების ხელმძღვანელთა გახშირებულ განცხადებებს ჯაბა იოსელიანი ასეთ კომენტარს უკეთებს: „რადგან ამის შესახებ იციან, ე. ი. თვითონ გააკეთებენ და სხვას დააბრალებენ." ჯაბა იოსელიანის აზრით, ხელისუფლება თავად უწყობს ტერორს მოსახლეობას. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების საბჭო "საფოსტო ბანკის" ზუგდიდის ფილიალში მითვისებული თანხების შესახებ იმსჯელებს. საქმეზე გენერალური პროკურატურა მუშაობს და ნუგზარ გაბრიჩიძე მივლინებიდან ჩამოსვლის შემდეგ საქმეს უშიშროების საბჭოს წარუდგენს.

საქმეში არაოფიციალურად ბრალდებულთა შორისა აიან აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ხელმძღვანელობა და კანცელარიის თანმადებობის პირები. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოში შექმნილი საგამოძიებო ჯგუფი, შესაძლოა, საქართველოში ჩამოვიდეს და ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებული საკითხით დაინტერესდეს. მანამდე ევროსაბჭოს საგამოძიებო ჯგუფი კიევში ჩავა და ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმის გამოძიებაში ჩაერთვება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საქალაქო მეურნეობის უფროსი გენერალურ პროკურატურაში აპირებს "AES- თელასის" წინააღმდეგ სარჩელის შეტანას. საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსი AES-თელასს რამდენიმე თვეა, რაც 2 მილიონ ლარს ედავება. თანხა AES-თელასს ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო ჩაჭრილი ხაზების აღდგენიდან აქვს ამოღებული. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ცემით მოკლული 42 წლის ქალის გვამი პოლიციამ მარნეულის რაიონის სოფელ ლეჟბადინში აღმოაჩინა. ქალის ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. ცნობილია მხოლოდ, რომ მას ტატიანა ერქვა და ის რუსთავში ცხოვრობდა. დადგენილია მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა. რუსთავში მცხოვრები საფონოვი დაკავებულია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავში, თოდრიას ქუჩაზე, ერთ-ერთ ბინაში, სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს ორი ქალის გვამი. მოკლულები არიან რუსთავის მკვიდრი, 54 წლის ანა მენთეშაშვილი, და მისი სტუმარი, 49 წლის ვერა ჩიბლამუხინა.

ისინი სასტიკად არიან ნაწამები. რუსთავის პოლიციის უფროსის ნიკო ჯაფარიძის თქმით, საქმე გაიხსნა. სამართალდამცავებმა თბილისში, თემქის დასახლებაში დააკავეს დანაშაულში ეჭვმიტანილი რუსთავის მკვიდრი, 37 წლის გოგა ტაბახმელაშვილი. დანაშაულის მოტივები უცნობია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 11 წლის ირაკლი ჭეხანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი, საგრძნობლად გაუმჯობესდა. გამოძიება ამოწმებს ყველა შესაძლო ვერსიას, თუ რატომ შეიძლებოდა 11 წლის ბავშვზე თავდასხმა მომხდარიყო. ამ ეტაპზე დაკავებული არავინაა.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი არ უარყოფს ვერსიას, რომლის თანახმად, ბავშვზე თავდასხმა მის მამაზე, ავთანდილ ჭეხანზე, შურისძიების გამო შეიძლება მომხდარიყო. დაუდასტურებელი ინფორმაციით, 10 წლის წინ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ავთანდილ ჭეხანი ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში გუშინ უნდა გამართულიყო, იეღოვას მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო კვლავ გადაიდო. **მედია-ნიუსი.**

# ღირსებაშელახული ნადარეიშვილი ბრალმდებელს 600 ათას ლარს სთხოვს

ინგა ალავიძე

**"ცოტა არ იყოს, გაოცებული ვარ, რის გამო ჩივის, რას იცავს ნადარეიშვილი, რაც არ გააჩნია?"** – კითხულობდა გაკვირვებული ჯონდი ბაღათურია გუშინ საოლქო სასამართლოში დაწყებულ სასამართლო პროცესზე.

„აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის პოლიტიკურ მდივანს ახლა საოლქო სასამართლოში მოუწევს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის კორუმპირებულობის დამტკიცება.

საქმე ისაა, რომ ჯონდი ბაღათურიამ ორი თვის წინ ნადარეიშვილი ფინანსურ მაქინაციებში - ლტოლვილთა კუთვნილი დახმარებების მითვისებაში, 25 ათასი რუსული პასპორტის ბენზინის დიდ პარტიაში გადაცვლასა და უკანონო გზით მოპოვებული ფულით თბილისში სასახლეების აშენებაში დაადანაშაულა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე შელახულ ღირსებას სასამართლოში იცავს და ბრალმდებელ ბაღათურიასგან ითხოვს მის მიერ გავრცელებული შეურაცხმყოფელი ცნობების უარყოფას. მეტიც, თამაზ ნადარეიშვილმა საკუთარ შელახულ ღირსებას ფასი დაადო და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 600 ათასი ლარი მოითხოვა.

გუშინ დაწყებულ პროცესზე ჯონდი ბაღათურიამ სასამართლოს ნადარეიშვილის კორუმპირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაწილი წარუდგინა. პრესაში გამოქვეყნებული მასალები, გადაცემა „60 წუთსა" და "კურიერში" გადაცემული ვიდეომასალები. ამასთან, ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, მის მიერ სასამართლოში მიტანილი მტკიცებულებები არასრულყოფილია და დამატებითი მასალების შესაგროვებლად მან სასამართლოს ვადა მოსთხოვა, რისთვისაც პროცესის გადადებაზე შუამდგომლობა დააყენა.

ჯონდი ბაღათურია ირწმუნება, რომ იგი რადიკალური ოპოზიციის წევრია და ამიტომაც იმ ხელისუფლების მიმართ, რომლის წარმომადგენელიც ნადარეიშვილია, კრიტიკულადაა განწყობილი. **"ჩემი განცხადებები ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით გაკეთდა; ძირითადად, კონტროლის პალატის მასალების საფუძველზე. გასაკვირია, რატომ იჩივლა მხოლოდ ნადარეიშვილმა, რადგან კორუმპირებულობაში, მასთან ერთად, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც დავადანაშაულე,"** – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

სასამართლოს ბაღათურიას ბრალდებების უარმყოფელი დოკუმენტები თამაზ ნადარეიშვილის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ ჩააბარა: ფინანსთა სამინისტროდან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან, შსს-ს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროდან აღებული ცნობები, რომელთა მიხედვითაც, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არ მონაწილეობს შემწეობებისა და კომუნალური მომსახურების თანხების განაწილებასა და გაცემაში, ნავთის, ელექტროენერგიის განკარგვაში საბოლოოდ, სასამართლო კოლეგიამ ჯონდი ბაღათურიას შუამდგომლობა დააკმაყოფილა. გუშინ გადადებული პროცესი 25 დეკემბერს განახლდება. მომდევნო პროცესს, რომელზეც, სავარაუდოდ, მოსამართლე გადაწყვეტილებას გამოაქვეყნებს, ღირსებაშელახული მომჩივანიც დაესწრება.



ჯონდი ბაღათურია და მისი ადვოკატი მიხეილ რამიშვილი

# პატიმარმა ქალებმა შიმშილობა შეწყვიტეს

*ავჭალის ქალთა კოლონიაში 30-მდე პატიმარმა ქალმა გუშინ შიმშილობის აქცია შეწყვიტა. ასეთ გადაწყვეტილებამდე, შიმშილობის მე-9 დღეს პატიმრები კოლონიაში უშიშროების საბჭოს წევრის რუსუდან ბერიძისა და სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის სტუმრობის შემდეგ მივიდნენ. რუსუდან ბერიძემ მოშიმშილეებს პრეზიდენტის დანაპირები გადასცა, რომლის თანახმად, შეწყალების კომისია კიდევ ერთხელ გადახედავს მათ საქმეებს – დანარჩენი კი უკვე პრეზიდენტის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.*

სოფიკო ჩხაიძე

**"პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, კიდევ ერთხელ გადახედოს ქალბატონების საქმეს. მასალებს მე და ნანა დევდარიანი მივაწოდებთ და ამ მასალების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს. მძიმე კრიმინოგენული ვითარების ფონზე, ცხადია, არ მოხდება ძალზე მძიმე დანაშაულისთვის განსჯილთა გათავისუფლება. ეს იქნება, სავარაუდოდ, რაღაც დონეზე ლმობიერების გამოჩენა, სასჯელის შემსუბუქება - პრეზიდენტს ამის უფლება აქვს",** - რუსუდან ბერიძის ეს სიტყვები საკმარისი გახდა, რომ მოშიმშილე ქალებს შიმშილობა შეეწყვიტათ.

შიმშილობა ცხრა დღის წინ, ქალთა კოლონიის იმ 45-მა პატიმარმა დაიწყო, რომლებიც პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა რიცხვში ვერ მოხვდნენ. მათი არშეწყალების არგუმენტი მათ მიერვე ჩადენილი დანაშაულია – მკვლელობისა და ნარკოტიკების რეალიზაციისთვის განსჯილნი შეწყალებას არ ექვემდებარებიან. თუმცა, მოშიმშილე ქალების მოთხოვნა არ ყოფილა დანაშაულის პატიება და გათავისუფლება, ისინი მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის ოდნავ მაინც შემსუბუქებას ითხოვენ.

**"ორი გრამი ნარკოტიკის გაყიდვისთვის ვზივარ, შვიდი წელი მაქვს მოსჯილი, სასჯელის ნახევარზე მეტი მოხდილი მაქვს. 3 იანვარს უკვე ვადამდე გათავისუფლება მიწევს. გარეთ მომაკვდავი შვილი მელოდება, სისხლის გათეთრებით დაავადებული, ამიტომ ჩემთვის ყოველი წუთი ძვირფასია";**

**"მარიხუანა მიპოვეს და შვიდი წელი მომისაჯეს. ექვს თვეში ვადამდე გათავისუფლება მიწევს. თირკმელში კისტა მაქვს და მეუბნებიან, რომ სასწრაფო ოპერაცია მჭირდება. ციხის საავადმყოფოს პირობებში ასეთ ოპერაციას ვერ აკეთებენ, სხვაგან გაკეთებას კი ფული უნდა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს საამისო თანხები არ აქვს. თუმცა, ჯანდაბას ყველაფერი, ოღონდ გარეთ გავიდე და..";**

**"ჩემი მუხლი მძიმე არ არის, თაღლითობისთვის ვზივარ, გარეთ მცირეწლოვანი ავადმყოფი ბავშვი მელოდება. ზუსტად ჩემს მდგომარეობაში მყოფი შეიწყალეს. ყველამ თავისი გზა ნახა და ღმერთმა ბედნიერად ამყოფოს, თუ გათავისუფლებას მიაღწია, მაგრამ მე რაღას მერჩოდნენ".**

ასეთი საჩივრები გუშინ ქალთა კოლონიაში მისულებმა მრავლად მოისმინეს. ადამიანის უფლებების დამცველები და ჟურნალისტები იმ შეხვედრის მოწმენიც გახდნენ, რომელიც კოლონიის დირექტორის ოთახში შედგა – პატიმარ დედას სამი წლის უნახავი შვილი მიუყვანეს. ლალი ძამუკაშვილს მკვლელობისათვის 14 წელი აქვს მისჯილი, აქედან ათი მოიხადა და ვადამდე გათავისუფლებას რვა თვე უკლია. ბიჭი ბებიამ გაზარდა, რომლის შემოსავალი 14 - ლარიანი პენსიით ამოიწურება. მათ თელავიდან კოლონიამდე მისასვლელი არანაირი საშუალება არ გააჩნიათ. სამი წლის შემდეგ შვილის დედასთან მიყვანა სახალხო დამცველის ოფისმა უზრუნველყო.

**"კანონის თანახმად, პატიმარ დედასთან კვირაში ერთხელ შვილის შეხვედრა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, მაგრამ ყველამ კარგად იცის, როგორც სრულდება ამ კანონის მოთხოვნა,** - ამბობს ნანა დევდარიანი, - **"რაც შეეხება შეწყალებას, შეწყალების კომისიას თავისი წესები აქვს და პატიმარ ქალებსაც ამ წესების თანახმად, ხისტად მიუდგნენ, რაც ჩემთვის ძნელი აღსაქმელია, რადგან ყოველი მათგანის ბიოგრაფია ვიცი, ვიცი მათი პრობლემები, ოჯახური მდგომარეობა. მართებული არ არის ის პოზიცია, რომლითაც ამ ქალების საზოგადოებასთან დაპირისპირებას ცდილობენ – თითქოს მძიმე დამნაშავეები გათავისუფლებას ითხოვდნენ. მათ საკმარისად დიდი დრო გაატარეს ციხეში, საკმაო დრო ჰქონდათ, რომ კარგად გაეცნობიერებინათ ჩადენილი. ახლა სულ პატარა შეღავათებზეა საუბარი, რომ ცოტა შეუმცირონ სასჯელის ვადა".**



ნანა დევდარიანი ქალთა კოლონიაში

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# „სამარიტანელთა ქისას", მესამე დღეა, თბილისში პირი მოხსნეს



ქართველი და ბრიტანელი ჟურნალისტები დროს არ კარგავენ. "იცოდე, არ დალიო, ფული კარგ საქმეში მოიხმარე", - გააფრთხილეს მათ თბილისელი მოქალაქე.

*14 დეკემბერს თბილისში ჩამოფრინდა საქველმოქმედო ორგანიზაცია "სამარიტანელთა ქისა" და BBC-ის ჟურნალისტების გადამღები ჯგუფი, დეივ კუკის ხელმძღვანელობით. მათ წითელი ჯვრის საქართველოს ორგანიზაციას ქართველი ბავშვებისთვის 65 000 საახალწლო საჩუქარი ჩამოუტანეს. 15 დეკემბერს საჩუქრები ჯერ დიღმის მასივში ლტოლვილ ბავშვებს, საღამოს კი ოპერის თეატრში კონცერტზე შეკრებილ ინვალიდ და სოციალურად დაუცველ ბავშვებს დაურიგეს.*

გუშინ საქართველოს წითელი ჯვარი და საქველმოქმედო საზოგადოება "სამარიტანელთა ქისა" სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო. მან ისაუბრა საქართველოში რელიგიის და მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობაზე და უპასუხა სტუმრების შეკითხვებს. შეხვედრის ბოლოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტის, ნანა ყეინიშვილის მხურვალე თხოვნით პატრიარქმა დალოცა მისი შვილები. შემდეგ პატრიარქის კურთხევა ადგილობრივმა და სტუმარმა ქველმოქმედებმაც მიიღეს.

ნანა ყეინიშვილმა და დეივ კუკმა საზოგადოება საპატრიარქოდან ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენციაზე მიიწვიეს. როგორც ჟურნალისტთა სახლის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ცაიტნოტის გამო, ისინი ამ შეხვედრისთვის საკადრისად ვერ მოემზადნენ, გადაღებაც კი ვერ შეძლეს.

ჟურნალისტების მოლოდინში, რომლებიც კანტი-კუნტად იკრიბებოდნენ, სტუმრები კანფეტებს აკნატუნებდნენ. პრესკონფერენციამ მშრალად ჩაიარა და ზუსტად იმდენ ხანს გასტანა, რამდენიც 300 ცალი ხინკლის მოხარშვას დასჭირდებოდა.

სადილის შემდეგ წითელი ჯვარი აეროპორტის დასახლებაში ბავშვთა სახლს ესტუმრა და აღსაზრდელებს ბრიტანელი ბავშვებისგან გამოგზავნილი საჩუქრები გადასცა.

წითელი ჯვრის საქართველოს ორგანიზაცია საჩუქრების გადაცემას სტუმრების წასვლის შემდეგაც გააგრძელებს. "სამარიტანელთა ქისა" 18 დეკემბერს გაემგზავრება.

***"24 საათი"***

# ტაში რაციონალიზატორებს: პენსიონერთა ვალის გასტუმრების გზა მოინახა!

*ხანგრძლივი ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ ჩვენმა ხელისუფლებამ საპენსიო დავალიანების შემცირების ყველაზე იოლ გზას მიაკვლია. სამთავრობო, საპარლამენტო და ა.შ. შეთანხმებების საფუძველზე, გადაწყდა, რომ წლობით მიუღებელ პენსიებს მოხუცებს მიწის გადასახადში გაუქვითავენ. აღმასრულებლები კმაყოფილები არიან - მათი აზრით, ამ გადაწყვეტილების შესრულება პრობლემებთან არ იქნება დაკავშირებული.*

მაკა ჯაიანი

ტექნიკურად, ეს ძნელად განსახორციელებელი სულაც არ გახლავთ. ყველაფერი ქაღალდზე გვარდება. თანხას ერთი მხარე შემოსავალში აიღებს, მეორე - ხარჯვაში და პრობლემაც გადაჭრილია. სხვა საქმეა, რამდენად აძლევს ხელს ეს ოპერაცია მასში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილე მხარეებს. ამ შემთხვევაში მხარე ოთხია: საპენსიო ფონდი, ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო სამსახურებით, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები და თავად პენსიონერი. მივყვეთ თანმიმდევრობით.

საპენსიო ფონდისთვის, რომელსაც საკუთარი შემოსავლების მობილიზების უფლებას ჯერ ისევ არ აძლევენ, გაუცემელი პენსიებისთვის კი პირველ რიგში სთხოვენ პასუხს, მთავარია, არსებული 101-მილიონიანი დავალიანება შემცირდეს. ფონდში დავალიანების შემცირების რამდენიმე ვარიანტი ჰქონდათ, თუმცა, თავიდანვე ნათელი იყო, რომ იქ ყაბულს იმაზე იქნებოდნენ, რაზე შეთანხმებაც სხვა უწყებებთან უმტკივნეულოდ მოხერხდებოდა და რაც ციფრებს უკეთესობისკენ შეცვლიდა. ასეთი ეს ვარიანტი აღმოჩნდა.

იგი ფინანსთა სამინისტროშიც მოსწონთ. ახალი, თუნდაც დროებითი გადასახადის შემოღებას, საგადასახადო სამსახურების უკეთ ამუშავებას ან საწარმოების მიერ საპენსიო ფონდის მიმართ წლების განმავლობაში დაგროვილ 191-მილიონიან დავალიანებას ამოღება რომ არ უწერია, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ბიუჯეტი დამატებით თანხებს პენსიონერთა დასაკმაყოფილებლად ვერ გამოძებნის. ამ ვარიანტის წყალობით, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური ბიუჯეტის დავალიანების ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე გაქვითვის შესაძლებლობა ეძლევა და ამ შემთხვევას ხელიდან, ბუნებრივია, ვერ გაუშვებს.

ადგილობრივი მმართველობები, წესით, უკმაყოფილონი უნდა იყვნენ - მიწის გადასახადი თავს სწორედ ადგილობრივ ბიუჯეტებში იყრის. ხმამაღლა პროტესტს არავინ გამოთქვამს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელისუფლო კულუარებში გაიჟღერა, თუკი ადგილებზე ამ 130 მილიონის ამოღების სჯერათ (მიწის ამოუღებელი გადასახადი, თავისი ჯარიმებითა და საურავებით, სწორედ ამდენს შეადგენს), მიმდინარე გეგმაში ჩავუსვათო. ეს დამატებით პრობლემების მეტს არაფერს მოიტანს და, როგორც იმავე კულუარებში ამბობენ, ვერც პენსიონერს გამოეცლება მიწის გადასახადისგან თავის არიდების მოტივაცია - ჯერ ჩემი ფული მომეცით და გადასახადი მერე მომთხოვეთო.

თუ მიმდინარე პენსიებს შეუფერხებლად მიაწვდიან, ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი არც პენსიონერი უნდა იყოს. საკმარისია, სოფლის ფოსტაში პენსიის დარიგება დაიწყოს, რომ საგადასახადო ინსპექტორი ეგზეკუტორივით დგას კარში. ერთი ხელით რომ უწყისს აწერს ხელს პენსიონერი, მეორით ახლადმიღებულ ფულს ინსპექტორს მიწის გადასახადის სანაცვლოდ უთვლის. რადგან ხელისუფლება პენსიონერების გამო თავის მოქაჩლებას არ აპირებს, საგადასახადო ინსპექტორს კი საქართველოში მხოლოდ მსხვილი დამნაშავეები ემალებიან, მევალის და მოვალის როლში ერთდროულად ყოფნას, პენსიონერს, იქნებ, ასეც ერჩივნოს? ვისაც ეს ვარიანტი არ მოსწონს, შეუძლია, განცხადება არ დაწეროს, ვალის გაქვითვაზე უარი განაცხადოს და ხელისუფლების ახალ წინადადებას ელოდოს.

მიწის ამოუღებელი გადასახადის სახით დაგროვილი 130 მილიონი, შეიძლება, მთლიანად სულაც არ იყოს პენსიონერთა "ნამუსზე". რამდენია აქედან მათი "წილი", სპეციალურად შექმნილი კომისია დაადგენს. საპენსიო ფონდში აცხადებენ, რომ პენსიონერებს მიეცემათ საშუალება, მიწის გადასახადი შვილებსა და შვილიშვილებსაც გაუქვითონ, თუკი მათდამი სახელმწიფოს დავალიანება ამის შესაძლებლობას მისცემს.

მოკლედ, ჩვენმა ხელისუფლებამ არაჩვეულებრივ გამოსავალს მიაგნო. მისმა ერთმა ხელმა მეორე ხელი დაბანა. ასეცაა, თუმცა ქვეყნის ყველაზე უმწეო ნაწილის - პენსიონერების წინაშე შერცხვენილ პირს საქართველოს მთავრობას ეს მაინც ვერ მოჰბანს.

## ინფორმაცია

### ახალი ტაძარი

17 დეკემბერს დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღესთან დაკავშირებით თბილისში ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ეზოში (ჩიქოვანის ქ. №14) წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესია გაიხსნება. პირველ წირვა-ლოცვას მიტროპოლიტი დანიელი აღავლენს.

ეკლესია შემოწირულობებითა და უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით აშენდა. საზეიმო წირვა-ლოცვას ილია მეორე სიონის საკათედრო ტაძარში აღავლენს. წმიდა ბარბარე ჩვილი ბავშვების შემწედ ითვლება. დედები ხშირად მიმართავენ დიდმოწამე ქალწულს ბავშვთა ავადმყოფობის დროს. **მედია-ნიუსი**

### ქუთაისში კოცონი მართლა დაინთო

საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირების ''სოლიდარობის" ლიდერმა, მანანა ღურჭუმელიძემ მოსწავლეებს დანაპირები შეუსრულა და ქუთაისის მერიის წინ მათ გასათბობად კოცონი დაანთო.

აქციის ჩატარება მაშინ გადაწყდა, როცა ცნობილი გახდა, რომ მერიამ სკოლების გათბობისათვის 2003 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში თანხა არ გაითვალისწინა.

პედაგოგთა ერთმა ნაწილმა, რომლებმაც ცეცხლი დაანთეს, იქვე საჯაროდ დაწვეს ბიუჯეტის პროექტის ქსეროასლები. ადგილობრივი ხელისუფლებიდან აქციის მონაწილეებს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარე, დავით ბენიძე შეხვდა.

საკრებულოს თავმჯდომარემ მათ აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა აღუთქვა. **ინტერ-პრესი**

### ია, ხალხო, ესეც წყალი!

პანკისის ხეობის სოფელ ყვარელწყალს დღეიდან სასმელი წყლის პრობლემა მოეხსნა. გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის დაფინანსებით, აიგო სათავე-ნაგებობა, რის შემდეგაც წყალი მილებით სოფელში 2 კილომეტრის მანძილზე ჩაიყვანეს. 80-კომლიანი სოფელი აქამდე ხევის დაბინძურებული წყლით სარგებლობდა, რის გამოც ხშირად მოსახლეობა ავადდებოდა. სოფლის გზაზე წყლის ხუთი წერტილია გაყვანილი, მოსახლეობამ კი ოჯახებშიც შეიყვანა. დღეს ერთ-ერთი ახლად აშენებული წყაროს გახსნაზე ყვარელწყალში ჩავიდნენ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი კატრინ ბეტრანი. სოფელ ყვარელწყალში გაერო-ს მიერ დაფინანსებით სასმელი წყლის გაყვანაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ. **ინტერ-პრესი**

# სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - დრომოჭმული და ანტიკონსტიტუციური

*თავის დროზე დიდი ზარზეიმით, ევროსაბჭოს მოთხოვნების გათვალისწინების ლოზუნგით, მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მალევე დიდი ნაკლოვანებების მქონედ იქნა მიჩნეული. ყველა დონეზე ამის აღიარებამ დღის წესრიგში მასში ცვლილებების შეტანის საკითხი დააყენა, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ყველა შეეცადა, კოდექსი საკუთარი ინტერესებისთვის მოერგო. შესაბამისად, მასში შეტანილი ცვლილებები, საბოლოო ჯამში, რეგრესული ხასიათის აღმოჩნდა – კოდექსს აშკარად შეეტყო მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ხელი. ამჟამად დღის წესრიგში სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შექმნა დადგა.*



დისკუსია "24 საათის" რედაქციაში

დღეს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქართველოს სახალხო დამცველისა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის სარჩელს, რომელიც კოდექსის ერთი კონკრეტული მუხლის წინააღმდეგ არის მიმართული. საქმე ეხება იმ თორმეტსაათიან ვადას, რომელიც სამართალდამცველებს პირის დაკავებიდან მის ეჭვმიტანილად ცნობამდე ეძლევათ და რა ვადაშიც დაკავებული დაცვის უფლებით არ სარგებლობს. საგულისხმოა ის, რომ, თუ ადამიანის უფლებათა დამცველები ამ მუხლის ანტიკონსტიტუციურობაზე დავობენ, შინაგან საქმეთა მინისტრი თორმეტსაათიანი ვადის უკმარისობაზე ლაპარაკობს და მის გაზრდას ითხოვს. სხვათა შორის, მინისტრის პარლამენტში გამოსვლისას შეიქმნა ილუზია, რომ პარლამენტის თავმჯდომარისგან მან ამგვარი ცვლილებების შეტანის გარანტიაც კი მიიღო, რასაც დღესდღეობით კატეგორიულად უარყოფს თავად ნინო ბურჯანაძე და ამბობს, რომ შსს-ს სრული უფლება აქვს, წარმოადგინოს ცვლილებების პროექტი, რომელსაც სხვა პროექტებთან ერთად განიხილავენ.

მიუხედავად იმისა, რას გადაწყვეტს დღეს საკონსტიტუციო სასამართლო, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ირგვლივ საჯარო დისკუსიების დაწყება და მასში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა. ამჯერად, "24 საათის" მიერ მოწყობილი დისკუსიის თემა დაცვის უფლებასა და იმ პრობლემებს მოიცავს, რომელიც ამ მიმართულებით დგას საპროცესო კოდექსში. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კახა კობერიძემ, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსმა თამაზ ხუხუნიშვილმა, გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ირაკლი წიკლაურმა, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან" თინა ხიდაშელმა და ამავე ორგანიზაციის წევრმა გიორგი ჩხეიძემ.

**თინა ხიდაშელი:** ამ საკითხების ირგვლივ საუბრისას, არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რამდენიმე მომენტი: კომისიამ, რომელიც სამართალდამცველი ორგანოების რეფორმაზე მუშაობდა, ახალი კონცეფცია დადო და მასში დაწვრილებით არის საუბარი დაცვის უფლების ხელშეუხებლობაზე; აღსანიშნავია შს მინისტრის გამოსვლა პარლამენტში, სადაც მან აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია გამოხატა და კიდევ – სახალხო დამცველს შეტანილი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი საპროცესო კოდექსის მთელ რიგ მუხლებთან დაკავშირებით. მათ შორის უმნიშვნელოვანესი გახლავთ დაცვის უფლების რეალობასთან, ანუ კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ცხადია, ცალკე საკითხია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ხედვა იმისა, თუ რა უნდა მოხდეს, რომ შემდგომში არ გაჩნდეს საკანონმდებლო ვაკუუმი. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სადავო მუხლები, არ უნდა მოხდეს ისე, რომ მათ ადგილას სიცარიელე დარჩეს. ამიტომ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. კერძოდ, ეს ეხება ორ თემას - დაცვის დაუყოვნებლივ და შეუზღუდავ მიღებას. პირველი გახლავთ ყბადაღებული თორმეტსაათიანი ვადის საკითხი. ანუ, მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, არის თუ არა კონსტიტუცია ცალსახა და მტკიცე დაკავებისთანავე დაცვის უფლებასთან მიმართებაში და იძლევა თუ არა იგი სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას. აქ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, შეიძლება თუ არა, რომ დაკავებულს მხოლოდ მას შემდეგ ეძლეოდეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის საშუალება, რაც მას ეჭვმიტანილად სცნობენ – ასეა დღეს საპროცესო კოდექსის მიხედვით - თუ კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის საშუალება მას იმ მომენტიდან უნდა მიეცეს, როგორც კი იწყება მისი თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია მეორე საკითხი – შეუზღუდავი დაცვის უფლება. საუბარია იმ ერთი საათის პრობლემაზე, რომელიც საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლშია ჩადებული და რომლის მიხედვითაც, ბრალდებულსაც კი, და არა მარტო ეჭვმიტანილს, ადვოკატთან პირისპირ შეხვედრის უფლება მხოლოდ ერთი საათით ეძლევა.

**კახა კობერიძე:** ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ საპროცესო კოდექსი უნდა იყოს მარტივი, ყველასათვის გასაგები და არავის არ უნდა უტოვებდეს საკუთარი მოსაზრების მიხედვით თავისუფალი ინტერპრეტირების საშუალებას. ბუნებრივია, შეუძლებელია, მან დაიტიოს ყველაფერი, განსაზღვროს ყველა კაზუსი, რაც შეიძლება სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს მოხდეს. მაგრამ იმდენი ხარვეზის დატოვება, რამდენიც დღევანდელ კოდექსს გააჩნია, არ შეიძლება, რადგან ეს ხშირად იძლევა ზედმეტად თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც, უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, განსასჯელისა და შემდეგ უკვე მსჯავრდებულის სასარგებლოდ. რაც შეეხება იმ პრობლემას, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ანუ უნდა იყოს თუ არა პირი დაკავებისთანავე უზრუნველყოფილი დაცვით? რა თქმა უნდა. როცა მოწმეს აქვს უფლება, სურვილის შემთხვევაში, იყოლიოს ადვოკატი, სხვაზე უკვე ლაპარაკიც აღარ არის.

**თინა ხიდაშელი:** არის სხვა პრობლემაც. როდის უნდა მოხდეს ადამიანის დაკავება? პირი ჯერ უნდა დააკავონ და მერე შეკრიბონ მისი ეჭვმიტანილობის დამადასტურებელი მასალები თუ პირიქით? ჩემი აზრით, ადამიანი მაშინ უნდა დააკავონ, როცა უკვე საკმარისი მტკიცებულებები არსებობს იმისა, რომ ეს პირი ეჭვმიტანილია კონკრეტულ დანაშაულში და მისი დაკავებისთანავე უნდა იყოს შესაძლებელი მისი ეჭვმიტანილობის შესახებ დადგენილების გამოტანა.

**კახა კობერიძე:** ჩემი აზრით, ამ პრობლემას გარკვეულწილად გადაწყვეტს ის, რომ, ახალი საპროცესო კოდექსის კონცეფციის თანახმად, გამოძიება და მოკვლევა ცალკე სტადიებად აღარ იქნება და თავიდანვე დაიწყება გამოძიება. იმისათვის კი, რომ დაიწყო და განახორციელო პროცესუალური მოქმედებები, ცხადია, ხელმოსაჭიდიც უნდა გქონდეს.

**თინა ხიდაშელი:** მოდით, საკითხი ასე დავსვათ - როდის ხდება პირი დაკავებული? აქედან მომდინარეობს ყველა პროცესუალური პრობლემა. რას ნიშნავს ადამიანის დაკავება? მისთვის მხოლოდ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას და მორჩა – ამ მომენტიდან პირი არის დაკავებული - თუ საჭიროა, კიდევ სხვა სამართლებრივი შედეგი დადგეს, რომ პირი დაკავებულად ვაღიაროთ?

**ნანა დევდარიანი:** ანუ, დღეს ადამიანს, რომელსაც აკავებენ, პირველი თორმეტი საათის განმავლობაში, შეიძლება, არ ჰქონდეს არანაირი სტატუსი, მას წარდგენილ პირს ეძახიან. წარმოიდგინეთ, მე, ჩვეულებრივმა მოქალაქემ, მოვალე რომ ჩავისვა მანქანაში და ვუთხრა, სანამ შენიანები ვალს არ გამისტუმრებენ, არ გაგიშვებო, რას მიზამენ. ცხადია, დამაპატიმრებენ ადამიანის გატაცებისთვის. ამ დროს კი პოლიციელს შეუძლია, ადამიანი თორმეტი საათი ჰყავდეს დაკავებული, ისე, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე და მერე მოიფიქროს, რა საფუძველი დაუდოს მის დაკავებას და ეს კანონიერად ითვლება.

**კახა კობერიძე:** მესმის და სავსებით გეთანხმებით. ტყუილად არ დამიწყია პარალელის გავლება მოწმიდან. მოწმეს აქვს უფლება, ჰყავდეს ადვოკატი და, სხვათა შორის, სულაც არ არის გამორიცხული, მისი დაკითხვა თორმეტ საათს მიმდინარეობდეს. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ მოწმეს აქვს სტატუსი. კაცს, რომელსაც დააკავებ, უნდა მიენიჭოს სტატუსი, თუნდაც მოწმისა, და უნდა ისარგებლოს ამ სტატუსის მქონე პირისთვის მინიჭებული ყველა უფლებით.

**გიორგი ჩხეიძე:** პრობლემა სწორედ ეს გახლავთ - პიროვნებას მაშინვე უნდა შეეძლოს დაცვის უფლებით სარგებლობა, როგორც კი მას შეეზღუდება თავისუფლად გადაადგილების უფლება. დღეს არსებული კანონმდებლობით, დაკავებულ პიროვნებას შეიძლება ჩამოერთვას ახსნა-განმარტება, მას, ფაქტობრივად, არ აქვს დუმილის უფლება, ყოველ შემთხვევაში, დაკავებისას ამ უფლების განმარტება არ ხდება. შესაბამისად, დღევანდელი საპროცესო მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს, რომ პიროვნებას დამცველის ყოლისა და დუმილის უფლება უჩნდება მხოლოდ ეჭვმიტანილად ცნობის შემდეგ, ირღვევა კონსტიტუცია.

**კახა კობერიძე:** კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როცა ადამიანს აკავებ, მას სტატუსიც უნდა მიანიჭო. აი, ახალი საპროცესი კოდექსი ალბათ აღმოფხვრის ამას. ვთქვათ, ადამიანი დაკავებულია პიროვნების დადგენის მიზნით. მიეცი მოწმის სტატუსი და ისიც, სურვილის შემთხვევაში, ადვოკატს მოიწვევს.

**ნანა დევდარიანი:** მე, პირიქით, ვაპროტესტებდი იმას, რომ ხელოვნურად კეთდებოდა ასეთი რამ – მოწმის სახით იბარებდნენ ადამიანს და ართმევდნენ ჩვენებას. შემდეგ კი ამ ჩვენებას იყენებდნენ მის საწინააღმდეგოდ და ის ხდებოდა ეჭვმიტანილი. ჩვენ თუ ამ პრაქტიკით წავედით, უარეს შედეგს მივიღებთ. ამიტომ მიმაჩნია, რომ საერთოდ უნდა ამოვიღოთ ის დებულება, რომლის თანახმადაც დაკავებულს ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილების შემდეგ ეკუთვნის ადვოკატი. ავტომატურად მივიღებთ იმას, რომ პირს დაკავებისთანავე ეყოლება ადვოკატი.

**თამაზ ხუხუნიშვილი:** თავის დროზე, საპროცესო კოდექსზე მუშაობისას, მე ვიყავი ერთადერთი, რომელიც ითხოვდა ასეთ რამეს: ადამიანი, როგორც კი იქნება თავისუფლებაშეზღუდული, მაშინვე განემარტოს თავისი უფლებები და შესაბამისად მიეცეს ადვოკატის ყოლის უფლება. ერთადერთი, რაც შემდეგ მოვახერხე, ის გახლდათ, რომ კოდექსში ჩაიწერა: პირს თავისი უფლებები უნდა განემარტოს პოლიციის განყოფილებაში წარდგენისთანავე. არ შემიძლია, არ დაგეთანხმოთ იმაში, რომ ეს პროცესი ინტერპრეტაციის უსაზღვრო საშუალებას იძლევა იმ სახელმწიფო მოხელეებისთვის, რომლებმაც არაფერი იციან, გარდა თავისად დაგულებული უფლებებისა. თორემ ის, რაზეც თქვენ დავობთ, პროცესში ჩადებულია, მაგრამ, სხვადასხვა ადამიანების ძალისხმევით, ჩადებულია გაბნეულად. მე, როგორც იურისტი, ვამბობ, რომ, ამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, 12-საათიან ვადასთან დაკავშირებით, კონსტიტუცია არ ირღვევა, მაგრამ ამ საკითხთან მიმართებაში კონსტიტუცია ირღვევა სახელმწიფო მოხელეების მიერ. პროცესში ჩადებულია, რომ დაკავების ოქმი უნდა შედგეს დაკავებისთანავე და დაკავებულს ოპერატიული მუშაკის მიერ განემარტოს უფლებები. ეს პროცესში წერია, მაგრამ წერია ისე, რომ ბარე ორი კაცი ვერ გაიგებს. ამიტომ, ჩემი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლომ მუხლი კი არ უნდა გააუქმოს, კოდექსში უნდა ჩაიწეროს ცალსახად, რომ მაშინვე - დაკავებისთანავე პირს უნდა განემარტოს, რისთვისაა ეჭვმიტანილი და რა უფლებებით სარგებლობს. ანუ, ეცნობოს, რომ მას აქვს ადვოკატის აყვანის უფლება. რაც შეეხება ადვოკატთან შეხვედრის დროის შეზღუდვას, ეს მუხლიც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთან, არ უნდა ვრცელდებოდეს, მაგრამ ავრცელებენ ბრალდებულზე. მე ვფიქრობ, რომ უნდა იყოს ასე – პირველ 48 საათში ადვოკატთან პირისპირ შეხვედრის ვადა არ უნდა იყოს კონკრეტულად განსაზღვრული, მხოლოდ უნდა ეწეროს: არანაკლებ ერთი საათისა. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევების გარდა, როცა გამომძიებელი ატარებს საგამოძიებო მოქმედებებს.

**თინა ხიდაშელი:** ჩემი აზრითაც, ასე უფრო სწორია, რადგან, ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ, რეალურად, ამ 48 საათში არავითარი საგამოძიებო მოქმედებები არ ტარდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეჭვმიტანილს ადვოკატთან შეხვედრას მაინც უზღუდავენ. რაც შეეხება საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების კონსტიტუციურობას, მე ბატონ თამაზს ვერ დავეთანხმები, რადგან დიდი ნაწილი იმ თეზისებისა, რომელთა შესახებაც თქვენ საუბრობთ, 1999 წლის მაისისა და ივნისის ცნობილი ცვლილებების დროს შეიცვალა და დღეს კოდექსში აღარ წერია, რომ დაკავებულს პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე უნდა განემარტოს თავისი უფლებები. დღეს წერია, რომ, დაკავების ოქმის შედგენასთან ერთად, პირს ეცნობა ე.წ. მირანდას ცნობილი უფლებები, მაგრამ, საქმეც ის გახლავთ, რომ დაკავების ოქმი ჩნდება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შემდეგ. ეს არის მთელი ტრაგიზმი ამ დებულებისა. ანუ, რეალურად რა ხდება: შეიძლება, მიგიყვანონ პოლიციაში, თორმეტი საათი გამყოფონ და დაკავების ოქმიც არ შეგიდგინონ, ისე გამოგიშვან. თქვენ ვერასოდეს ვერ დაამტკიცებთ, რომ პოლიციის განყოფილებაში იყავით.

**თამაზ ხუხუნიშვილი:** ბოდიშს ვიხდი, რადგან ბოლო ორი წლის მანძილზე დეტალურად არ მიმიდევნებია თვალი პროცესის ირგვლივ განვითარებული მოვლენებისთვის. ერთი კი მინდა ვთქვა, რომ ამ საპროცესო კოდექსის მიღება ნაჩქარევად მოხდა და მან საქმე უფრო გააფუჭა. მე მაშინ ვამბობდი, რომ არ შეიძლებოდა მისი მიღება, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მართალია ამით გართულდა უდანაშაულოს დაჭერა, მაგრამ გაიოლდა დამნაშავის გაშვება. ესეც არის ამ კოდექსში.

**გიორგი ჩხეიძე:** თქვენ საუბრობთ იმ საპროცესო კოდექსზე, რომელიც მაშინ პარლამენტმა მიიღო, მაგრამ, მასში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ჩვენ თვისობრივად განსხვავებული კოდექსი მივიღეთ.

**თინა ხიდაშელი:** რა თქმა უნდა, პარლამენტის მიერ მიღებული კოდექსი გაცილებით უფრო დემოკრატიული და კონსტიტუციური იყო, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ იგი ხელს უშლიდა გამოძიების ინტერესებს და, მაშინდელი სამართალდამცველი სტრუქტურების მოთხოვნით, შეიცვალა. ის, რაც დღეს ამ კოდექსშია ჩაწერილი, პირდაპირ კავშირშია დღევანდელ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან.

**ირაკლი წიკლაური:** მთლიანად და სავსებით ვეთანხმები აქ გამოთქმულ ბატონებსა და ქალბატონებს. ზოგ საკითხზე მინდა ვისაუბრო. ეს თორმეტსაათიანი ვადა რაღაცნაირად მართლაც დასახვეწია, შესამცირებელი, მაგრამ რაღაც დრო რომ საჭიროა დაკავებულის ეჭვმიტანილად ცნობისთვის, ამაში მე ვერანაირ კონსტიტუციურ დარღვევას ვერ ვხედავ. მთავარია, რომ, როგორც წესი, ამ პერიოდში მის მიმართ არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ტარდება. ამასთან, მეორეა ის, თუ რა ხდება შიგნით. ამას კი დიდი კონტროლი სჭირდება.

**ნანა დევდარიანი:** კონტროლით სწორედ ადვოკატმა უნდა გააკონტროლოს და თუ არ შეუშვებენ ამ ადვოკატს, რა ქნას?

**ირაკლი წიკლაური:** რაც შეეხება დაკავებულის სტატუსს. ეს საკითხი სავსებით სწორად არის დასმული. დაკავებულს ჰქვია დაკავებული, ასეც უნდა იყოს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რა სტატუსია ეს. ვთქვათ, თორმეტ საათში ვერაფერი დაუმტკიცე და გაუშვი, სად წავიდეს? და ბოლოს, ადვოკატთან შეხვედრის დროის შეუზღუდაობა. მე მიმაჩნია, რომ, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატისა და ეჭვმიტანილისთვის ერთი საათი სრულიად საკმარისია, ოღონდ ეს წესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვრცელდებოდეს ბრალდებულებზე. ერთ რამეში კი ცალსახად დაგეთანხმებით: კოდექსი არის დაუხვეწავი, ბევრია სადავო საკითხი, რაც ვნებს მართლმსაჯულებასაც და მოქალაქეთა ინტერესებსაც და ამიტომ მათ, ვისაც ეს ხელეწიფება, იმ კუთხით უნდა განავითარონ საქმიანობა, რომ არც დაცვის უფლება არ დაზარალდეს და არც საქმე. მოკლედ, არც ერთ უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ.

**ნანა დევდარიანი:** საქმე ის გახლავთ, რომ, შეიძლებოდა, საქმე სასამართლო განხილვამდე არც მისულიყო. 2000 წლის ნოემბერი გახლდათ, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების რეკომენდაციები პარლამენტში შევიტანეთ. ეს დოკუმენტი დაეწერა ორ კომიტეტს – ადამიანის უფლებების დაცვისა და იურიდიულ კომიტეტებს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა თანახმა იყო, მის განხილვას საშველი არ დაადგა. არადა, ორი წლის წინათ ხომ შეიძლებოდა დასხდომა და ყველაფრის მოგვარება. ახლა კი, საკონსტიტუციო სასამართლოს რომ მივმართავთ, ახირება არ არის. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ ამას წინათ პროკურატურის წარმომადგენელმა გვითხრა - კი, თქვენ ამ მუხლს ამოიღებთ, მაგრამ ჩვენ სხვა მუხლში, სხვა რედაქციით ისევ ჩავდებთო. ეს გამორიცხულია, როგორც კი დაიდება საკონსტიტუციოს გადაწყვეტილება, იმავე შინაარსის მუხლები მოქმედებას კარგავენ. ეს საკონსტიტუციოს გადწყვეტილების თავისებურებაა, მას პრევენციული ხასიათიც გააჩნია. ამიტომ დიდი იმედი მაქვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ჩვენს სარჩელს დააკმაყოფილებს, რაც თავიდან აგვაცილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომლებიც მომავალში ადამიანის უფლებათა დარღვევის საწინდარი გახდება.

**მოამზადა**
**სოფიკო ჩხაიძემ**

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# გეკითხებით - რატომ უნდა იყოს ელექტროენერგია?

*ყველაზე კარგი დრო ენერგეტიკაში - მოხმარების თვალსაზრისით - 1989-90 წლებში ყოფილა. დღეს, ყველა სხვა დარგისგან განსხვავებით, საქართველო თავისი რესურსებით, თურმე, იმ დროს წარმოებული ელექტროენერგიის 80 პროცენტს აწარმოებს.*
*იმ კარგ დროს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი "ენერგოქსელპროექტის" დირექტორი იყო... ენერგეტიკას არც მაშინ მართავდა და არც ახლა. მას მიაჩნია, რომ დღეს ბიუროკრატიულ, მაგრამ დემოკრატიულ სამუშაოზეა და ახალ დარგს ემსახურება... თუ როგორ ემსახურება, ამას ერთი წინადადებით ვერ იტყვი, რადგან როცა ბნელა, ცივა და ჰაერში დამწვარი საბურავების სუნი ტრიალებს, აბსურდია ენერგეტიკოსის დღე წითლად აღნიშნო კალენდარში და მათ დღესასწაული მოუწყო.*
*ბატონი ელიზბარის თქმით, კერძო მესაკუთრეს რეგულირება სჭირდება, მარეგულირებელი ბაზარი კი სწორედ ამისთვისაა შექმნილი; საერთო ენერგეტიკული პოლიტიკის საწარმოებლად - სამინისტრო არსებობს; ფულადი ნაკადების გამჭვირვალობისთვის - საბითუმო ბაზარი და სადისპეტჩეროა; ენერგეტიკის მართვის გამოცდილება კი 100 წლის წინ, ედისონის ნათურასთან ერთად დაინერგა... მოკლედ, კანონით ყველაფერია შექმნილი იმისთვის, რომ საქართველო განათებული იყოს...*
*აბა, რა გვჭირს - ეს რიტორიკული შეკითხვა უფრო მძაფრად ისმება და დასკვნითი შეკითხვაც საკმაოდ ბანალურია - როდემდე ჩაყოფენ პოლიტიკოსები ცხვირს ენერგეტიკაში - ამას წინასწარმეტყველიც ვერ იტყვის...*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო
*ელიზბარ ერისთავი*

მაია ჭალაგანიძე

**- რა ბრალდებები გაისმა თქვენი მისამართით საკონსტიტუციო სასამართლოში?**

- ამას ბრალდებებს ვერ დავარქმევ. ეს, უბრალოდ, პრეტენზიებია. მომჩივანი მხარე აყენებს საკითხს, რომ დარღვეულია კონსტიტუციის მოთხოვნა ენერგოსისტემის მთლიანობის შესახებ. (კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ენერგოსისტემათა რეჟიმები სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების განსაკუთრებულ გამგებლობაში იმყოფება). მეორე საჩივარი პირველი მუხლიდან გამოდის - ენერგეტიკულ სექტორში პრივატიზაცია არ შეიძლება; მესამე საჩივარი კი ასე ჟღერს - ტარიფები, რომელიც პრივატიზაციის შედეგად დამკვიდრდა, არასწორია. ჩვენ სწორედ იმ მესამეში ვართ.

**- რატომ არ მიგაჩნიათ ეს პუნქტები ბრალდებად?**

- ბრალდება მაშინ გახდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ბრალდება მართალია.

**- თუ არის ეს საჩივრები მართებულად დასმული?**

- ვფიქრობ, რომ არც ერთი ეს პრეტენზია არ არის სწორი. თელასის აქციათა 75 პროცენტის გაყიდვით კანონი არ დარღვეულა, რადგანაც იგი არ არის ენერგოსისტემათა რეჟიმების განმსაზღვრელი. თელასის ტიპის - საქართველოში ოთხი სუბიექტია - თელასი, გაერთიანებული ენერგოკომპანია, აჭარის ენერგოკომპანია და კახეთის ენერგოკომპანია. ესენი ბუნებრივი მონოპოლისტები არიან და მათი არსებობა არაფრით უშლის ხელს ერთიანი ენერგოსისტემის არსებობას.

**- რატომ ისმის მხოლოდ თელასი, დანარჩენი სამი, თითქოს, ჩრდილშია.**

- ჩრდილში არიან იმდენად, რამდენადაც თბილისში არ მდებარეობენ. პოლიტიკური აქტივობის ცენტრი კი ამჟამად თბილისშია.

**- პოლიტიკური აქტივობა აისახება ყველგან და განსაკუთრებით ენერგეტიკაზე. რამდენად მართებულია ეს პროცესები?**

- გეთანხმებით. ენერგეტიკოსების ერთი ნაწილს და მეც მიგვაჩნია, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად პოლიტიკური თუ სახელმწიფო მოღვაწეთა მხრიდან ენერგეტიკის დისკრედიტაცია მიმდინარეობს. ეს კი არის დარგი, რომელიც საკმაოდ ჩავარდნილია და დახმარება ესაჭიროება. ყველასგან გვესმის, რომ თითქოს ენერგეტიკოსები ზიანს აყენებენ სახელმწიფოს. ეს ასე არ არის. კანონში პირდაპირ წერია, ვის და როგორ ევალება ენერგეტიკული პროგრამის განხორციელება. სემეკი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ენერგეტიკულ პოლიტიკას უნდა დაემორჩილოს.

**- გამოდის, რომ სახელმძღვანელო არ გაქვთ. მაშ როგორ მოქმედებთ?**

- აღმასრულებელი თუ ხელისუფლების სხვა რომელიმე შტოს მიერ დროდადრო გამოტანილი დადგენილებებით, ბრძანებულებებითა თუ გადაწყვეტილებებით.

**- ბრძანეთ, რომ ენერგეტიკას დახმარება ესაჭიროება. დღეისთვის ერთადერთი ინვესტორი კი (ეი-ი-ეს თელასი) აცხადებს, რომ მის მიერ ჩადებული თანხები არ მოხმარდა ენერგეტიკას...**

- ეს კითხვა რამდენიმე ნაწილად უნდა გაიყოს. პირველია ის, თუ რა თანხებზეა საუბარი. ირიბარენი საჯარო, კერძო საუბრებში და წერილობითაც აცხადებს, რომ მისი კომპანიის შემოსვლის შემდეგ საქართველოს ენერგეტიკისთვის და კერძოდ, თბილისის ქსელის გაჯანსაღებისთვის, დაახლოებით, 300 მილიონი ლარი დახარჯა. ვადასტურებ, რომ ეს ასე მოხდა, ამ თანხის ნაწილი თბილისის ქსელის გაჯანსაღებას მოხმარდა, ნაწილი - ელექტროენერგიის შესყიდვასა და მიწოდების მომსახურებაშია გადახდილი. პირველ და უმეტეს ნაწილს ირიბარენი არ აპროტესტებს, ხოლო რაც შეეხება მეორე ნაწილს - ის აცხადებს, რომ მან 150 მილიონი ლარი გადაიხადა ელექტროენერგიის შესყიდვაზე და მოწოდებაზე (გადაცემადისპეტჩერიაზე) და ეს დანიშნულების ადგილზე არ მივიდა... ამის გარკვევა კი არ უნდა იყოს ძნელი სამართალდამცავი ორგანოებისთვის, მაგრამ გამოძიებას დასასრული არ უჩანს...

**- ქსელის გაჯანსაღებისთვის კი დაიხარჯა ფული, მაგრამ ეს ქსელი აშკარად დაავადებულია...**

- თბილისის ქსელი ნამდვილად გაჯანსაღებულია, ამას დავა არ უნდა. გაიხსენეთ, როგორი მდგომარეობა იყო ეი-ი-ეს-ის შემოსვლამდე... როგორ ფუჭდებოდა ტრანსფორმატორები, სკდებოდა კაბელები... მაგრამ ხალხს ცუდი წარსულის დავიწყება უნდა და ეს აღარ ახსოვს. ჩვენ, პროფესიონალებს კი ეს არ გვავიწყდება.

**- რა ვალდებულებები აქვს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას და ასრულებთ თუ არა კანონით მონიჭებულ უფლებამოსილებებს?**

- ტარიფის დადგენა სემეკის ერთ-ერთი და ერთადერთი ფუნქციაა. ძირითადი ფუნქცია ენერგეტიკის სფეროში ლიცენზიის პირობების დადგენა, გაცემა და დროდადრო შემოწმებაა. ჩვენ გავცემთ ლიცენზიებს ელექტროენერგიის წარმოებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩერიზაციაზე და განაწილებაზე. რა თქმა უნდა, ვამოწმებთ ლიცენზიანტებს და წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ენერგოგენერაციის სპეციალისტებთან ერთად ვამოწმებთ ტექნიკურ და ფინანსურ მდგომარეობას. შემოწმების შედეგებით, შეიძლება ითქვას, რომ უკლებლივ ყველა ელექტროსადგურის ტექნიკური მდგომარეობა უარესდება. ძირითადი მიზეზი კი თანხების გადაუხდელობაა...

**- როდემდე შეიძლება ვუჩიოდეთ თანხების ამოუღებლობას. ხომ შეიძლება, გამოიძებნოს რაიმე მექანიზმი?**

- არ მინდა მკვეთრი განცხადებები, მაგრამ არის გარკვეული ეჭვი, რომ ეს არაენერგეტიკოსების ხელით ხდება. როცა რომელიმე რეგიონში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პროცენტად რვა, ან ათ პროცენტს ასახელებენ, ეს დაუჯერებელია. კარგად მესმის, რომ გადახდისუნარიანობა დაბალია, მაგრამ როდესაც სახელმწიფოს მიერ ამ თემის ზომბირება ხდება, მიმაჩნია, რომ ეს, გარკვეულ პიროვნებებს თანხების მითვისებისთვის აძლევთ ხელს.

**- ვის გულისხმობთ - რეგიონთა ადმინისტრაციებს, მთავრობას, აღმასრულებლებს...**

- ადმინისტრაციებსაც, გამანაწილებელ კომპანიებსაც და ბევრ სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურებსაც.

**- გამოსავალი რა არის?**

- გამოსავალი ერთადერთია - ენერგეტიკა უნდა მართოს ენერგეტიკოსმა და სხვა არ უნდა ჩაერიოს. სახელმწიფო მხოლოდ ზედამხედველობას უნდა უწევდეს და არ უნდა ერეოდეს არც ფულის მართვაში და არც განაწილებაში. ამისთვის ენერგეტიკის საბითუმო ბაზარი არსებობს, სადაც დღეს, უცხოელი მენეჯერის მოსვლის შემდეგ, თანხების შემოსვლისა და გადინების თაობაზე ყველაფერი გამჭვირვალეა. მაგრამ არ არის გამჭვირვალე მომხმარებლისაგან ფულის ამოღების მექანიზმი.

**- რამდენად დამოუკიდებლად იღებს სემეკი გადაწყვეტილებებს... თქვენს საქმიანობაში თუ ერევა ვინმე?**

- სემეკს ზემოთჩამოთვლილი ფუნქციების გარდა კიდევ აქვს ფუნქციები. ერთ-ერთია - ენერგობაზრის ზედამხედველობა. ენერგობაზრის საქმიანობაში ისეთი პარალელიზმები არსებობს, რომლის დაძლევაც სემეკს არ ძალუძს.

საბითუმო ბაზარი ნებაყოფლობით შექმნილი ასოციაციაა, სადაც შედიან მწარმოებლები (ელექტროსადგურები) და მომხმარებლები (მსხვილ გადამხდელებს პლუს გამანაწილებელი კომპანიები). ბაზრის აღმასრულებელ საბჭოზე ყველა მსხვილი საკითხი წყდება. თუ მოგვიწვევენ, სემეკის წარმომადგენელიც ესწრება. ჩვენი ზედამხედველობა იმით გამოიხატება, რომ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებას - ან ვიწონებთ, ან არა. ჩვენ კანონით არ გვაქვს ვალდებულება, რომ ვაკონტროლოთ ან ელექტროენერგიის, ან ფინანსური ნაკადები. ბაზარს სამეწარმეო საქმიანობის უფლება არ აქვს და ანაწილებს ბაზრის ანგარიშზე შემოსულ თანხებს. ნაღდი ფული ბაზარში არ ტრიალებს. მაგრამ, კანონში არის რაღაც კოლიზია და ბაზრის ანგარიშს საგადასახადო სამსახური აყადაღებს. კანონით, ასოციაციის დაყადაღება არ შეიძლება.

**- რაც შეეხება სემეკის დამოუკიდებლობას...**

- სხვადასხვა მაკონტროლებელი სტრუქტურები ცდილობენ, გავლენა მოახდინონ ჩვენს საქმიანობაზე. მთავრობიდან ნაკლებად იგრძნობა ეს მცდელობა. არც პრეზიდენტისგან და აგერ უკვე მეოთხე სახელმწიფო მინისტრია - არ მახსოვს რაიმე ზეწოლა...

**- სწორედ ამისთვის არსებობს კონტროლის პალატა, საგადასახადო სამსახური...**

- არა მგონია, ასე იყოს, რადგან კანონით, კონტროლის პალატა პარლამენტს ემორჩილება და არა აღმასრულებელ ხელისუფლებას. თუმცა, სხვადასხვა დონეზე და ძალზე ხშირადაც წინააღმდეგობებს შევხვედრივართ, მაგრამ ეს მხოლოდ ტარიფის ზრდის გამო ხდება. ვინც ჩვენ გვებრძვის და ჩვენს კონტროლს აპირებს, წინასწარ უნდა შეისწავლოს, რა არის რეგულირება. თუკი ვინმე ამას შეისწავლის, მაშინვე უარს იტყვის რომელიმე რეგულატორის კონტროლზე, რადგან საქართველოში დემოკრატიის უმაღლესი ფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება სწორედ მარეგულირებელი კომისიის მუშაობაა.

**- მაგრამ, სწორედ ტარიფი ეხება თითოეული მოსახლის ჯიბეს... მართალია თუ არა ის, რომ ერთი და იგივე თანხები ორჯერ არის ასახული ელექტროენერგიის დღევანდელ ტარიფში?**

- არა, ეს როგორ შეიძლება. ეს ძალიან ღრმა შეცდომაა და ამის დამასაბუთებელი ტომები გაგვაჩნია. ვერავინ იტყვის, რომ ტარიფის დადგენისას კანონის რომელიმე მუხლი ჰქონდეს სემეკს დარღვეული. და არც იმ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტია დარღვეული, რომელიც სახელმწიფომ ეი-ი-ეს კორპორაციასთან დადო.

**- რადგანაც ტარიფის დადგენის წესები და ნორმები არსებობს, ხომ ვერ გვეტყვით, როდემდე შეიძლება გაიზარდოს ტარიფი. რა არის ზედა ზღვარი?**

- ტარიფი ოთხი კომპონენტისგან შედგება - ელექტროენერგიის წარმოება; გადაცემა; დისპეტჩერიზაცია; განაწილება. ყველა ტარიფი ცალ-ცალკეა დადგენილი...

**- ამ ოთხიდან რომელი რგოლი იწვევს ზრდას?**

- ბოლო სამი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთადერი ტარიფი იზრდება - განაწილების ტარიფი. დანარჩენი არ შეცვლილა. ტარიფის ზრდა დამოკიდებულია იმ ინვესტიციაზე, რომელიც დაიხარჯა ან ახალმშენებლობისთვის, ან რეაბილიტაციისთვის, ან გაჯანსაღებისთვის. მერე მოდის მომსახურების ღირებულება (ხელფასი, რემონტი) და სახელმწიფო გადასახადები. ინვესტიციის გაზრდა პირდაპირ იწვევს ტარიფის ზრდას.

რაც შეეხება, თელასის ტარიფს - ამ კომპანიამ უკვე განახორციელა ინვესტიცია. ამიტომ თელასის ტარიფი (განაწილების ნაწილი - რაც დღევანდელი ტარიფის 60 პროცენტზე მეტია) 2008 წლის ჩათვლით არ გაიზრდება. გაიზრდება მხოლოდ ლარის კურსის ცვლილების შემთხვევაში.

**- ხომ ვერ დაასახელებთ ციფრს, რა თანხაა შემოსული საქართველოში ენერგეტიკის აღორძინებისთვის?**

- არანაირი შეხება არ გვაქვს ინვესტიციებთან, მაგრამ რა თქმა უნდა, ინფორმაციას ვფლობთ. ინვესტიციების გარანტად ყოველთვის ფინანსთა სამინისტრო დგება. საერთაშორისო ბანკებთან სულ, დაახლოებით, 260 მილიონი დოლარის ხელსეკრულებაზეა ხელი მოწერილი. აქედან მხოლოდ და მხოლოდ 130 მილიონია ამოქმედებული. აქედან კი, დაახლოებით 90 მილიონია დახარჯული თბილისის მეცხრე და მეათე ბლოკის აღდგენაზე.

**- და ისევ ეს მითიური მეცხრე ბლოკი... რატომ ხდება ასე?**

- ამის მიზეზია ექსპლუატაციის დაბალი ხარისხი და არასწორი მართვა. ალტერნატივა არ არის.

**- ამ ბლოკებს ხომ ენერგეტიკოსები ემსახურებიან?**

- ხანდახან მარტო ენერგეტიკოსები არ ემსახურებიან. სამწუხაროდ, ისეთი ხალხი ერევა, ვისაც ცოტა რამ ესმის ენერგეტიკაში.

**- რა თანხაა საჭირო იმისთვის, რომ საქართველოს ენერგეტიკა გაიმართოს.**

- ენერგეტიკის სრული რეაბილიტაციისა და აღდგენისთვის იმხელა ციფრებია დასახელებული, თქმაც კი მეშინია - მილიარდ ნახევრიდან ორ მილიარდ დოლარამდე...

**- ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს გამართული ენერგეტიკა არ ეღირსება?**

- ერთადერთი იმედი კერძო ინვესტიციებია. სახელმწიფოს ეს ფული არ აქვს და უახლოეს მომავალში არც ექნება.

**- როგორ გგონიათ, დღეს ერთადერთი კერძო ინვესტორი - ეი-ი-ეს-ი - როგორ რეკომენდაციებს მისცემს საქართველოს ენერგეტიკის ინვესტირების ახალ მსურველთ?**

- ვერ გეტყვით. სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკაში საინვესტიციო გარემო არ შეიქმნა. უამრავი ქარხნები და ფაბრიკები გაიყიდა და მათ ბოქლომი ადევს. ენერგეტიკა კი ეკონომიკის ბარომეტრია. ენერგეტიკის დამფინანსებელია ეკონომიკის დარგები და არა მოსახლეობა. მოსახლეობა კი, კარგად იცით, რა დღეშია...

**- დღეს ასე პოპულარულ - გადაბრალების პოლიტიკას რომ ავუქციოთ გვერდი, სინამდვილეში ვინ იქნება დამნაშავე დღევანდელი ენერგეტიკის განადგურებაში?**

- საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა და არა რომელიმე პიროვნება. ენერგეტიკა ეკონომიკის დარგია და ეკონომიკასთან ერთად, ან პარალელურად უნდა განვითარდეს.

**- რაიმე ეკონომიკური დოქტრინა თუ არსებობს ჩვენს ქვეყანაში?**

- ერთადერთი დოქტრინაა "კანონი ენერგეტიკის შესახებ", რომელიც, ჩემი აზრით, ძნელად განსახორციელებელია.

**- ეკონომიკისა და ენერგეტიკის პარალელურ განვითარებასთან ერთად ეკონომიკის მპყრობელ "ბოროტ მაფიაზეც" ხომ არ ისაუბრებდით?**

- რა ვიცი, ჩემთან არავინ მოსულა და უთქვამს, მაფიოზი ვარო... არა მგონია, ორგანიზებული მაფია იყოს. ეს რომ ასე იყოს, სახელმწიფო მაფია უნდა არსებობდეს. თუმცა, გარკვეული ჯგუფების ინტერესები ენერგეტიკაში ხშირად იკვეთება... ალბათ, სხვა დარგებშიც, მაგრამ მე მათ ახლოს არ ვიცნობ.

**- მოდით, გადავიდეთ ეი-ი-ეს თელასისა და მოსახლეობისთვის ასე მტკივნეულ ხელშეკრულებაზე. ირიბარენი პირდაპირ სემეკს სდებს ბრალს ამ ხელშეკრულების არარსებობაში...**

- ვერაფრით ვერ დავეთანხმები ამ პრეტენზიას. არანაირი შეხება ხელშეკრულების ტექსტთან ჩვენ არ გვაქვს. თელასმა ჩვენს იურისტებს ტექსტის გადახედვა თხოვეს და მათაც გარკვეული კინსულტაციები გაუწიეს... სემეკმა დაამტკიცა "მომხმარებლის პირობები", რომელსაც ნორმატიული აქტის ძალა აქვს. ეს პირობები მომხმარებლისთვის ძალიან კარგია და ბევრად სჯობს იმას, რაც თელასის ხელშეკრულებაში დევს. ასე რომ, მოსახლეობას შეუძლია, უარი თქვას თელასის ხელშეკრულებაზე და მასთან ურთიერთობის დამყარება ამ "მომხმარებლის პირობებით" მოითხოვოს.

**- რატომ არ მოდის ამაზე თელასი?**

- გასდის და იმიტომ. ჩვენ ერთადერთი ბერკეტი გვაქვს, ვიმოქმედოთ ეი-ი-ეს კომპანიის ლიცენზიაზე. თუ ამ ლიცენზიას ჩამოვართმევთ, თბილისი ჩაბნელდება. ხელშეკრულების გაჭიანურებაცა და საერთოდ, არსებობაც - თითიდან გამოწოვილი მიზეზია.

**- თქვენი აზრით, ვისი შეთხზულია ეს მიზეზი?**

- ამას ხელი შეუწყო ეი-ი-ეს-ის ხალხმა და ძირითადად, პოლიტიკოსების მიერაა აგორებული. არსებობს "მომხმარებლის პირობები", რომელსაც კანონის ძალა აქვს. ეი-ი-ეს-ი კი ამას არ იღებს.

**- რა გამოსავალი აქვს სახელმწიფოს?**

- თუ სახელმწიფო იმუშავებს იმაზე, რომ მხოლოდ ენერგეტიკაში გამოასწორონ ვითარება, ის ჩიხში შევა. ენერგეტიკა და ეკონომიკა ერთმანეთისგან განუყოფელია.

**- არაოფიციალურ საუბრებში ენერგეტიკოსები ამბობენ, რომ 8,5 თეთრიც რომ ღირდეს ელექტროენერგია, მთლიანად დაფარავს ხარჯს და მოგებაც ექნება ბიუჯეტსო...**

- თბილისში თუ 13,5 თეთრი ღირს, დანარჩენ საქართველოში 8,5 თეთრია... რა ხდება, ხომ ხედავთ, რეგიონები სულ ჩაბნელებულია... ინვესტიციის გარეშე თბილისიც ჩაბნელებული იქნებოდა.

**- როგორ გგონიათ, რატომ ახსენებენ სემეკსა და თქვენს სახელს ასე ხშირად და ასეთ უარყოფით კონტექსტში?**

- ეს არის შეგნებული ან შეუგნებელი დისკრედიტაცია არამარტო სემეკისა, არამედ ყველა ენერგეტიკული საწარმოსი. კატეგორიულად ვაცხადებ - არიან ჯგუფები, ვისაც უნდა, რომ ყველა ენერგეტიკულ საწარმოში არაენერგეტიკოსები იყვნენ. დღეს მეტს არ დავაზუსტებ.

**- რატომ არ არის საკმარისი ელექტროენერგია?**

- მაშინ მე გეკითხებით - რატომ უნდა იყოს?



## თბილისში კიდევ ერთი მოდის სახლი იხსნება

თეონა ჯაფარიძე

მოდის სახლს მოდის ინდუსტრიის გრძელ ჯაჭვში ერთ-ერთი შუა რგოლი უკავია. მას წინ უძღვის ინვესტორი, კოლექციები, კონტაქტები. საქართველოში მოდის ინდუსტრიის მთლიანი ჯაჭვი არ არსებობს. არსებობს მისი ცალკეული გამოვლინებები, მაგალითად - რამდენიმე უკვე ავტორიტეტული სახელი ქართული მოდის სამყაროში, რამდენიმე სამოდელო სააგენტო და რამდენიმე მოდის სახლი. დასავლეთთან მიმართებაში უფრო მოხერხებულად მუშაობს ცალკეული დიზაინერის, ანდა რომელიმე სააგენტოს მოდელის კონტრაქტები და კონტაქტები. მოდის სახლი კი, თავისთავად, უფრო რთული სტრუქტურაა, რომლის პრინციპიც, პირველ რიგში, ინვესტიციას, კოლექტიურ შრომას, ცნობილ, პრესტიჟულ კლიენტურასა და ჩამოყალიბებულ სტილს გულისხმობს. თბილისური მოდის სახლები, თუ ის სერიოზულ ინვესტიციასა და დასავლურ კონტრაქტებსაა მოკლებული, მხოლოდ ე.წ. ქართული შოუბიზნესის "ვარსკვლავებისგან" შემდგარი კლიენტურა ჰყავს.

მიუხედავად ყველაფრისა, თბილისის რამდენიმე მოდის სახლს "თამუნა ინგოროყვას მოდის სახლიც" შეემატა.

"ინვესტორს ვეძებთ, ჯერჯერობით ყველაფერი დიზაინერის პირადი თანხებით გაკეთდა", - განაცხადა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე მისმა მენეჯერმა, ეკა კუპრეიშვილმა.

პრესკონფერენცია დიზაინერის მომავალ მაღაზია-სალონში გაიმართა. სააგენტო "ნატალის" ორი მოდელი - კრისტი ყიფშიძე და სოფო ხუბულაშვილი თამუნა ინგოროყვას კოსტიუმებით წარუდგნენ მასმედიას. უკვე მზად არის ახალი კოლექციის ბუკლეტიც. სააგენტო "ნატალის" მოდელებთან ფოტოგრაფმა დიმა ჩიკვაიძემ იმუშავა. ახალი კოლექცია, სულ სამოცი კოსტიუმი, "თამუნა ინგოროყვას" საავტორო ლოგოთი გაიყიდება. ლოგოს ავტორი თავად დიზაინერია.

თამუნა ინგოროყვამ სამხატვრო აკადემიის ტანსაცმლის მოდელირების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამი წელი პარიზში, საერთაშორისო მოდის სკოლაში ისწავლა. შემდეგ, როგორც ასისტენტმა, იმუშავა Nina Ricci-სა და Libertin Louison-ის მოდის სახლებში. მისი სადიპლომო ჩვენებაც პარიზში შედგა 2001 წელს.

დღეს ის თბილისში საკუთარი მოდის სახლსა და მაღაზიას ხსნის. სტილი – ქალის პრეტ-აპორტეა, მასალა – შერეული, კლიენტურა – თბილისელები. თამუნა ინგოროყვა 20 დეკემბერს სამეფო უბნის თეატრში 2003 წლის საგაზაფხულო კოლექციას წარუდგენს საზოგადოებას.

## საჩუქარი წიგნის მოყვარულებს

### თბილისში ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა



*სიმონე ჰერტრამი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი*

ანა კორძაია-სამადაშვილი

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის II კორპუსში გუშინ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელობის გერმანული ბიბლიოთეკა გაიხსნა. ახალგარემონტებულ დარბაზში, თაროებზე 2500 "საბიბლიოთეკარო ერთეულია" დალაგებული. ეს ეროვნული ბიბლიოთეკისა და გერმანული კულტურის ინსტიტუტის – თბილისის გოეთეს ინსტიტუტის ერთობლივი პროექტია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია აგრეთვე ქვემო საქსონიის სამხარეო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მიერ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განკარგულებაში გადაცემული კომპიუტერები და CD-ROM-ები, რაც ფოლკსვაგენის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ბიბლიოთეკას გახსნის დღესვე მრავალი სტუმარი ჰყავდა: გერმანული კულტურის მოყვარულთა წრე ჩვენს ქალაქში საკმაოდ დიდია. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ბიბლიოთეკის დირექტორი, ბ-ნი ლევან ბერძენიშვილი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ქ-ნი ილზე იოანა ჰაინლე, ქვემო საქსონიის სამხარეო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორი, ბ-ნი ელმარ მიტლერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, ბ-ნი უვე შრამი და საქართველოს განათლების მინისტრი, ბ-ნი ალექსანდრე კარტოზია.

ყველას, ვისაც გერმანული წიგნი აინტერესებს, გულწრფელად ვულოცავთ თბილისის ჰუმბოლდტის ბიბლიოთეკის შექმნას. ეწვიეთ დარბაზს, გარწმუნებთ, კმაყოფილი დარჩებით. ბიბლიოთეკა მკითხველებს ყოველდღე ელის. წმინდა გერმანული სიზუსტით აღნიშნულია, რომ ნოემბრიდან აპრილამდე ის 10-დან 18 საათამდე მუშაობს, მაისიდან ოქტომბრამდე კი – 19 საათამდე. მასში დაცული მასალით სარგებლობა ყველას შეუძლია, ვისაც ეროვნული ბიბლიოთეკის საშვი აქვს. ცნობარების, CD-ROM-ების და ჟურნალ-გაზეთების გარდა, ყველა წიგნი და ვიდეოკასეტა გაიცემა. ბიბლიოთეკაში სადღეისოდ არსებული მასალა შემდეგ სფეროებს მოიცავს: კლასიკური და თანამედროვე გერმანული ლიტერატურა, პოლიტიკა, ეკონომიკა, ფილოსოფია, გეოგრაფია და ისტორია. მომავალში ფონდი, ცხადია, კიდევ შეივსება.

### კალენდარი

## 17 დეკემბერი



იგი მსახიობის, გალინა ლოგინოვასა და ექიმ ბოგი იოვოვიჩის ოჯახის ერთადერთი შვილია. დაიბადა კიევში, 1975 წელს, მაგრამ სსრკ-ში დიდხანს არ უცხოვრია. ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში მილა ხშირად დაყვებოდა მამას ლონდონში, სადაც ბოგი იოვოვიჩი კერძო პრაქტიკას გადიოდა. 1980 წელს კი, ისევ მამის გადაწყვეტილებით (რომ საბჭოთა კავშირში აღარ შეეძლო გაეგრძელებინა სამედიცინო მოღვაწეობა), ოჯახი ამერიკაში გადაბარგდა. მომავალი ვარსკვლავი, მილა იოვოვიჩი ხუთი წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი საკრამენტოში, კალიფორნიის შტატში დასახლდა.

სხვადასხვა სირთულეების გადალახვის შემდეგ, მილამ კინომსახიობის კარიერა 11 წლის ასაკში დაიწყო. პირველი ფილმი მისი მონაწილეობით ეკრანებზე 1988 წელს გამოვიდა და ეს იყო Two Moon Junction. ამ მომენტიდან მსოფლიომ შეიტყო 11 წლის გოგონას შესახებ, რომელმაც მიზანს საკუთარი ნიჭით, სილამაზითა და მიზანდასახულობით მიაღწია.

18 წლის მილამ ჩაწერა პირველი ალბომი სახელწოდებით "ღვთაებრივი კომედია" (The Divine Comedy). ბევრი მუსიკალური კრიტიკოსის აზრით, ალბომი ცუდი არ იყო (დღემდე მილა რამდენიმე ალბომის ავტორია). ნამდვილი ვარსკვლავი მოგვიანებით, 1997 წელს გახდა, როდესაც "მეხუთე ელემენტში" ბრუს უილისთან ერთად ითამაშა. იმ წელსვე, დეკემბერში მილა სახელგანთქმულ რეჟისორს, ლუკ ბესონს გაჰყვა ცოლად. ამის შემდეგ მილა იოვოვიჩი კიდევ ბევრ პოპულარულ ფილმში მიიწვიეს. მათ შორისაა: სპაიკ ლის "მისი თამაში" და "ჟანა დარკი"; ხოლო, ბოლო დროის ერთ-ერთ გახმაურებულ კინოპროექტში, "სასტუმრო მილიონ დოლარად" როლის შესრულების გარდა, საუნდთრეკის ჩაწერაშიც მიიღო მონაწილეობა.

დღეს **მილა იოვოვიჩი 27** წლის გახდა.

## სანახაობა ფანებისთვის

### დათო ხუჭაძის კონცერტი, რომელსაც დიდხანს ელოდნენ

ვერა ნეფარიძე

დღეს თანამედროვე ქართული მუსიკის მოყვარულები ორად გაიყოფიან - ერთნი, მშობლიური ესტრადის შემხედვარეთ, - ყველაფერი ნორმალურადააო რომ ჰგონიათ, ფილარმონიას აირჩევენ, დანარჩენები კი, ვინც ქარულ ესტრადას უიმედოდ უყურებს, სპორტის სასახლეს მიაშურებენ. აქ დათო ხუჯაძე ერთწლიანი პაუზის შემდეგ პირველ სოლო კონცერტს გამართავს. როგორც ამბობენ, ფილარმონიის ღონისძიება, საგანგებოდ, ხუჯაძის კონცერტის "ჩასაგდებად" დაიგეგმა...

სპორტის სასახლეში რამდენიმე თვეა დაიწყო ხუჯაძის კონცერტისთვის სამზადისი. ერთ-ერთი ტელეარხი ყოველდღიურად აქტიურად ათამაშებს კონცერტზე დასასწრებ ბილეთებს. ერთი სიტყვით, "პრომოუშენი" მუშაობს. "მათ იცოდნენ, რომ კონცერტი მქონდა. მომღერლებმაც უთხრეს – ხალხო, რას ვშვრებით, ჩვიდმეტში კონცერტიაო, ფაქტი კი ისაა, რომ ამ დღეს თავიანთი საღამო დაამთხვიეს. მაგრამ, რას ამტკიცებენ ამით, მე პირადად ვერ გავიგე", - გვითხრა საკონცერტო სამზადისით გართულმა მომღერალმა, რომელიც გუშინ ამ საკითხზე ნაკლებად დარდობდა: "1800 კაცით, რამდენიც ფილარმონიაში ეტევა, არ მგონია, რამე დამიშავდეს". როგორც ჩანს, მომღერალს არცთუ უსაფუძვლოდ თაყვანისმცემელთა არმიის დიდი იმედი აქვს. რამდენიმე დღის წინათ დათო ხუჯაძეს პატარა ფანებმა მეექვსე გიმნაზიაში საყვარელ შემსრულებელს შეხვედრა მოუწყვეს. საჩუქრად კი ხუჯაძის აუდიოკასეტები და დღევანდელი კონცერტის ბილეთები მიიღეს. "იმ პატარა მსმენელებს, რომელთაც ძალიან ვუყვარვარ, არ მინდა, რომ რამეში ხელი შეეშალოთ და თუნდაც ის ერთი და ორი ლარი ვერ იშოვონ. ამიტომ, გადავწყვიტეთ ბილეთის ფასი, ისევე როგორც შარშან, ხუთი ლარი ყოფილიყო", - ამბობს მომღერალი.



*დათო ხუჭაძე*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სხვა მხრივ, დღევანდელ კონცერტს ბევრი არაფერი საერთო ექნება შარშანდელთან, რომელიც ასევე სპორტის სასახლეში გაიმართა. მაშინ ძირითადი ყურადღება ინსტრუმენტებზე იყო გადატანილი; მომღერალს მიწვეული ჰყავდა ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი. დღეს მხოლოდ ორი ინსტრუმენტალისტი - ნიკა მემანიშვილი (კლავიშებზე) და გია სალაღიშვილი (დასარტყამ ინსტრუმენტებზე) დაუკრავენ ცოცხლად. სცენაზე იმუშავებს დი-ჯეიც. კონცერტის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ღირსება კი ვიზუალური მხარე იქნება. ამჯერად დათო ხუჯაძისა და მისი პროდიუსერის სურვილია, კონცერტი სანახაობრივად დატვირთული და ეფექტური გამოვიდეს. სამისოდ, განათება და ჟღერადობა წინა კონცერტებთან შედარებით ბევრად უკეთესი იქნება. გუშინ მომღერალმა თავი შეიკავა დეტალებზე საუბრისგან, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სურს, მსმენელისთვის რამდენიმე სიურპრიზი მართლა მოულოდნელი იყოს. როგორც ვიცით, კონცერტში მონაწილეობას სხვა შემსრულებლებიც მიიღებენ. კორდებალეტი "ვერნისაჟი", ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მეტეხი" და მედუდუკეთა გუნდი "თბილისი" კი მომღერალს შესვენების საშუალებას მისცემენ და გამოსვლებს შორის პაუზებს შეავსებენ. ხუჯაძის თქმით, ძველი და ნაცნობი სიმღერების რემიქსებთან ერთად კონცერტზე პირველად შესრულდება მისი ხუთიოდე ახალი ნამუშევარი. აიტაცებენ თუ არა ფანები ხუჯაძის ახალ იდეებს, დღეს გამოჩნდება.

### ფესტივალი "დებიუტი"

## „პიგმალიონი" თბილისურ-მორჩილაძისეულად

### "დებიუტის" დახურვამდე ერთი დღეღა დარჩა

თამარ სუხიშვილი

თეატრალური ინსტიტუტის სტუდკავშირის პატარა ოთახი აფიშებით არის გავსებული, აფიშები წარწერებს აუჭრელებია; ვისაც არ დაეზარა, ყველამ რაღაც წააწერა, კოტე ყუბანეიშვილის ცნობილი ექსპრომტით დაწყებული - "საქართველოში ნიჭის გამოყენება მიჭირს" - ალა ყუბანეიშვილისეული სტრიქონებით დამთავრებული - "ხელოვანისთვის გრუზია ძალიან მძიმე გრუზია". აქ შეხვდებით მილოცვებს, ბანალურ (სკოლის მოსწავლეთათვის ჩვეულ) სიყვარულის ახსნებს და ფესტივალის მონაწილეთა სარეკლამო "დევიზსაც": "არ დაიდოთ ჩვენი ვალი, მოდით, ნახეთ ფესტივალი"... ჰოდა, ჩვენც ვალს ხომ არ დავიდებდით, მივედით, ვნახეთ და...

16 დეკემბერს გამართული სპექტაკლი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის მესამე კურსელებისთვის სადებიუტო ნამდვილად არ ყოფილა: თბილისური "პიგმალიონი" ჩვენს დედაქალაქში ბევრს გუშინდლამდეც ჰქონდა ნანახი. მიუხედავად ამისა, სპექტაკლზე დასასწრებად მაინც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. თეატრალური ინსტიტუტის დარბაზში ტევა აღარ იყო. უადგილოდ დარჩენილ მაყურებელთა ერთი ნაწილი ფეხზე იდგა, მეორენი კი ლექციებიდან სპექტაკლის სანახავად საკუთარი (აუდიტორიებიდან წამოღებული) სკამებით მოვიდნენ. ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა სულ მუჯლუგუნებით გაიკაფა გზა სცენისაკენ, ფოტოები რომ გადაეღო.

"პიგმალიონი" სტუდენტების საკურსო სპექტაკლია, ჯგუფის ხელმძღვანელი და დამდგმელი რეჟისორები არიან: ნანა კვასხვაძე და ქეთი დოლიძე, კოსტუმების მხატვარია თეონა თავართქილაძე, სცენოგრაფია სიმონ მაჩაბელს ეკუთვნის, კომპოზიტორია გოგი ჩლაიძე. სპექტაკლი მსახიობებმა ამასწინათ რამდენჯერმე წარმოადგინეს თეატრალურ ინსტიტუტშიც და კინომსახიობთა თეატრშიც. "პიგმალიონმა" მაშინვე დიდი მოწონება დაიმსახურა.

სტუდენტური სპექტაკლებისა და ფილმების კონკურს-ფესტივალის - "დებიუტის" დაწყებამდე ჟიურიმ განაცხადა: საკონკურსო ნამუშევრების შეფასებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ სტუდენტებთან გვაქვს საქმე, შეფასების კრიტერიუმი იქნება, რამდენად სწორად მიდის სასწავლო პროცესიო; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები სტუდენტები არიან (სპექტაკლში ცხრა მონაწილეა დაკავებული), ისინი საკმაოდ პროფესიონალურად თამაშობენ, თავდაჯერებულად, თავისუფლად, და, რაც მთავარია, ფლობენ დარბაზს. ამას ხელს უწყობს დინამიური და ხალისიანი დიალოგებიც. პიესა ბერნარდ შოუს ყველასათვის კარგად ცნობილი "პიგმალიონის" მიხედვით აკა მორჩილაძემ დაწერა. სპექტაკლი ორმოქმედებიანია, მოქმედება ქართულ გარემოში ხდება, ასე, ჭავჭავაძეების სალონური ცხოვრებიდან 50-ოდე წლის შემდეგ - ელიზაბეტ დიუ-ლიტლი ერთი ტლუ გლეხის გოგო, ვარანცოვზე ყვავილებით მოვაჭრე გალუაანთ თამროა (თამარ ბზიავა), რომელსაც მიხეილ ახმეტელი (ავთანდილ ბაქრაძე) და მისი მეგობარი რატიევი (ივანე თარხნიშვილი) დაიმოწაფებენ. სპექტაკლში დრო და სივრცე პირობითია, ისევე როგორც აკა მორჩილაძის ნაწარმოებებში. ინტრიგა, რომელიც არქაული ქართული სალონური ენის, თანამედროვე სლენგისა და დიალექტის ნაზავზეა აგებული, პიესის ავტორისთვისაც საინტერესოა, მსახიობებისთვისაც და მაყურებლისთვისაც...



*სცენა სპექტაკლიდან*

დღეს ისევ თეატრალურ ინსტიტუტში და ისევ 4 საათზე "დებიუტის" კიდევ ერთ (ამ ფესტივალზე ბოლო) სპექტაკლს იხილავთ. "დებიუტი" უმასპინძლებს სპექტაკლს - "ჰაროლდი და მოდი".

ხვალ ფესტივალი დაიხურება. ჟიური ჯერჯერობით არაფერს იმჩნევს, მისი წევრები ყველა მონაწილის გამოსვლას ერთნაირი ღიმილითა და ტაშით აჯილდოებენ, გამარჯვებულთა ვინაობა 18 დეკემბერს გამოვლინდება.

## ფოტომოყვარულები „ქოლგის" ქვეშ

### კონკურსს N გალერეა უმასპინძლებს

ნანა ბასილაშვილი

თბილისში, თურმე, უამრავი ფოტომოყვარული ცხოვრობს. ისინი დადიან ფოტოაპარატებით და ფირზე აღბეჭდავენ თბილისის ხედებს, ქმნიან სხვადასხვა კომპოზიციებს, ისტორიას "ღირშესანიშნავ" პორტრეტებსა და პეიზაჟებს უნახავენ. გუშინ N გალერეაში ფოტომოყვარულთა კონკურსი "ქოლგა" წითელ ჩარჩოებში ჩასმული, შავ ფონზე შესრულებული ნამუშევრების გამოფენით გაიხსნა. "ქოლგა" წელს მისმა ორგანიზატორებმა თეონა მამფორიას ხსოვნას მიუძღვნეს.

გალერეაში გამოფენილი ნამუშევრების მიხედვით (მაშინ, როცა ყველა სურათი არაპროფესიონალების გადაღებულია), აშკარად შეამჩნევთ ერთ სასიამოვნო ფაქტს - თბილისში ფოტოხელოვნება ნელ-ნელა ვითარდება და საკმაოდ ნიჭიერი ფოტოგრაფების პლეადა მოდის. ნამუშევრებში ავტორების საინტერესო ხედვა, კომპოზიციის გრძნობა, სისადავე და ესთეტურობა იგრძნობა. გალერეაში გამოფენილი ფოტოები ჟიურის მიერაა შერჩეული. კონკურსზე წარმოდგენილი ათასამდე ფოტომოყვარულის სურათიდან დამთვალიერებლებმა, საბოლოოდ, 55 კონკურსანტის ნამუშევარი იხილეს. "ბოდიში მინდა მოვუხადო მათ, ვინც დღევანდელ გამოფენაზე ვერ მოხვდა, არჩევანის გაკეთება მართლაც ძალიან რთული იყო. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი გამოფენა შარშანდელისგან განსხვავებულია - როგორც სურათების ხარისხით, ისე - კონკურსანტთა რაოდენობით. ჩვენი ერთ-ერთი მიზანია, დავეხმაროთ, გავახალისოთ და სტიმული მივცეთ მათ, ვისაც ძალიან უყვარს ფოტოხელოვნება", - აღნიშნა კონკურსის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ბესო ხაინდრავამ.

კონკურსის მთავარი პრიზის, საუკეთესო კომპოზიციური ნამუშევრის, საუკეთესო პორტრეტის, საუკეთესო პეიზაჟისა და სპეციალური პრიზის მფლობელები ჟიურიმ უკვე გამოავლინა. თუმცა, საზოგადოება მათ ვინაობას 20 დეკემბერს შეიტყობს. რაც შეეხება დამთვალიერებელთა სიმპათიას, ორგანიზატორები მას დახურვის დღეს შთაბეჭდილებების წიგნის მიხედვით შეარჩევენ. დახურვის ცერემონიალზე გაიმართება კომპაქტ-დისკის პრეზენტაციაც, სადაც შევა სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ, წინა კონკურსის გამარჯვებული ფოტოები, წლევანდელი გამოფენის მონაწილე 55-ვე ფოტო და კიდევ კონკურსგარეშე დარჩენილი 400-მდე ნამუშევარი. დისკის მუსიკალური გაფორმება გოგი ძოძუაშვილს ეკუთვნის.

ფოტოკონკურსს სახელმწიფო ტექნიკურ უნივერისტეტში ჩაეყარა საფუძველი. კონკურსის იდეა პირველად ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდკავშირის ხელმძღვანელს, ლევან ჯაფარიძეს დაებადა. "ქოლგა" წელს უკვე მეორედ იმართება. შარშანდელი კონკურსი, რომელიც მაისში მოეწყო, შედარებით მცირემასშტაბიანი იყო. მაშინ "ქოლგას" გალერეა "უნივერსიმ" უმასპინძლა.



*დამთვალიერებელი*

"ორგანიზატორებმა სწორად გადაწყვიტეს, როდესაც წინასწარ არ გამოყვეს ცალკეული ნომინაციები. ამან ხელი შეუწყო მოყვარულთა მაქსიმალური და ფართო სპექტრით გამოვლინებას. არაპროფესონალთან დამოკიდებულება უფრო რბილი უნდა იყოს. ბევრი კარგი და ბევრიც ცუდი ნამუშევარი შემოვიდა. ფოტოების შერჩევის დროს ჟიურიმ მაქსიმალურად ობიექტურად იმუშავა. საბოლოო ჯამში, თვითონ ამ გადარჩეულმა სურათებმა გვიკარნახა, თუ რა სახის ნომინაციები უნდა დაგვეწესებინა: პორტრეტი, პეიზაჟი, კომპოზიცია... მთელ ამ ღონისძიებას ერთი დიდი პლიუსი აქვს - შარშან მცირე რაოდენობის ნამუშევრები შემოვიდა. წელს უამრავი მონაწილეა. როგორც ჩანს, ბევრს გაუჩნდა კამერასთან, ფირთან სერიოზული მუშაობისა და საკუთარი ნამუშევრების გამოაშკარავების სურვილი. ეს ამ კონკურსის ყველაზე მთავარი შედეგია და ამ შედეგს ყველას ვულოცავ. ახალი წლის წინა დღეებში ორგანიზატორებმა მნახველებს მშვენიერი ექსპოზიცია შესთავაზეს", - ასეთ შეფასებას აძლევს ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ფოტოხელოვანი დათო ცხადაძე კონკურს "ქოლგას".

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# „24 საათი“ სტუმრად ბერნაბეუზე

### ექსკლუზიური ინტერვიუ ფრანსისკო პავონთან





"24 საათს" ბერნაბეუზეც კითხულობენ




მადრიდის "რეალის" მცველი ფრანსისკო პავონი და აკა ტონია

აკა ტონია

*სპეც. კორ. მადრიდიდან*

დღეს, საღამოს, ადგილობრივი დროით 21.30 საათზე, მადრიდის პალაციო დე ჩონგრსოს-ში FIFA-ს გალა-საღამოზე, 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებენ. საფეხბურთო სამყარო ამ მოვლენის მოლოდინშია. უკვე კარგა ხანია, რაც გულშემატკივრები და ჟურნალისტები მარჩიელობენ. ყველას ერთი რამ აინტერესებს: ვინ გახდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი - ოლივერ კანი, ზინედინ ზიდანი თუ რონალდო. FIFA-ს მიერ დღევანდელ გალა-საღამოზე აკრედიტებული ჟურნალისტის რანგში, შაბათიდან მოყოლებული, ამ მოვლენების ეპიცენტრში ვიმყოფები. ეპიცენტრი კი, მოგეხსენებათ, მადრიდშია.

ორი დღის მანძილზე ჩატარებული საგამოძიებო საქმიანობის შედეგად შემიძლია გითხრათ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა არცთუ ისე გაურკვეველია, როგორც ამას FIFA-ს ფუნქციონერები გვიხატავენ. რეალურად, საქმე ბევრად უფრო მარტივადაა. ყოველ შემთხვევაში, აქ, მადრიდში, ყველამ კარგად იცის, რომ პლანეტის საუკეთესო მოთამაშის ტიტულს "რეალის" ფეხბურთელი მიიღებს. თუ ვინ იქნება ეს, ზიდანი თუ რონალდო, სწორედ ამ სტატიიდან შეიტყობთ.

## სტუმრად ბერნაბეუზე

მადრიდში შაბათს, გვიან ღამით ჩამოვფრინდი. იმის გამო, რომ მოვლენა, რომელმაც ჩემი ვიზიტი განაპირობა, მხოლოდ ორი დღის შემდეგ უნდა მომხდარიყო, გადავწყვიტე, კვირა და ორშაბათი მადრიდის საფეხბურთო ცხოვრებაში გასაშინაურებლად გამომეყენებინა. მით უმეტეს, რომ კვირას, ადგილობრივი დროით 19.30 საათზე, "რეალი" ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის მორიგ მატჩში "რეკრეატივოს" მასპინძლობდა. გასაშინაურებლად უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდი - "სანტიაგო ბერნაბეუ" საამისოდ საუკეთესო მისამართია.

"ბერნაბეუსკენ" მატჩის დაწყებამდე 5 საათით ადრე ავიღე გეზი. სტადიონზე განთავსებული "რეალის" მუზეუმისა და საფირმო მაღაზიის დეტალური შესწავლის შემდეგ მატჩზე დასასწრები ბილეთის შესაძენად გავემართე. გადავწყვიტე, ამჯერად არ მესარგებლა ჟურნალისტის პრივილეგიებით და, პრესლოჟის ნაცვლად, ჩვეულებრივ ტრიბუნაზე დამეკავებინა ადგილი. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სტადიონზე ნამდვილი სიამოვნების მისაღებად რიგით გულშემატკივრებს შორის ყოფნა სჯობს. იძულებული გავხდი, ბილეთის შესაძენად გადამყიდველებისთვის მიმემართა, რადგან აღმოჩნდა, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია. და ეს ცხრილის უკანასკნელ საფეხურზე მყოფ "რეკრეატივოსთან"?!

აქ კი ჩემი სტატიის ყველაზე რთულ ნაწილს მივადექი. რთულს იმის გამო, რომ არ ვიცი, თუ როგორი ფორმით, რა სიტყვებით გადმოვცე ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე "ბერნაბეუს" სტადიონმა მოახდინა. სანამ წერას დავიწყებდი, დიდხანს ვფიქრობდი, თუ როგორ მომეხერხებინა ეს. გამოგიტყდებით, ახლაც არ ვიცი...

მატჩის დაწყებამდე 40 წუთით ადრე დავიკავე ადგილი. მთელი ეს დრო იმას მოვანდომე, რომ ამ ბუმბერაზი სტადიონის მიერ ჩემზე მოხდენილი შთაბეჭდილებებისთვის რამენაირად თავი მომეყარა.

თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ წილად მხვდა ბედნიერება, მრავალი ულამაზესი სტადიონი მენახა. ვყოფილვარ მიუნხენის, რომის, პარიზის და ევროპის სხვა სტადიონებზე. შესანიშნავად ვიცნობ თვით "მარაკანას", მისი ტრიბუნებიდან 4 სხვადასხვა მატჩისთვის მიდევნებია თვალი. არ მეგონა, თუ კიდევ რამე გამაოცებდა. უნდა ვაღიარო, რომ "ბერნაბეუმ" ეს მოახერხა. არსად მინახავს ესოდენ მაღალი სტადიონი - "ბერნაბეუს", ფაქტობრივად, 6 იარუსი აქვს! ეს ბუმბერაზი ნაგებობა, იმავდროულად, საკმაოდ მყუდროა. არც ერთ სხვა სტადიონზე არ მქონია საშუალება, მატჩისთვის ასე ახლოდან მედევნებინა თვალი. გამიმართლა: ჩემი ბილეთი პირველ იარუსზე, მე-11 რიგისთვის იყო განკუთვნილი. ესპანური ენა რომ ვიცოდე, დიდი სიამოვნებით მოგითხრობდით ყოველივეზე, რაზეც ფეხბურთელები თამაშის დროს საუბრობდნენ - ყველაფერი კარგად მესმოდა.

უცებ ჩემს გვერდით მჯდომმა გულშემატკივარმა მკითხა: "რა ენაზეა ეს გაზეთი?" ხელში მეჭირა "24 საათი", რომელმაც ჩემი მეზობელი ძალიან დააინტერესა. "ქართული გაზეთია, მე მისთვის ვმუშაობ. ახლაც მივლინებაში ვარ", - ვუპასუხე. ასე გავიცანი "რეალის" გულშემატკივარი ხორხე, რომელმაც, საბედნიეროდ, ინგლისური იცოდა, ქართული შრიფტი კი თავდაპირველად არაბული ჰგონებია...

მატჩის პერიპეტიებზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. მართალი რომ გითხრათ, კარგად ვერც შევძლებ. ახლა ამ მატჩზე მეტად სხვა რამ მიზიდავდა. იმ დღეს მე ახლოს გავიცანი "რეალი" და მივხვდი, თუ რატომ არის ის მსოფლიოს უდიდესი გუნდი...

## ფრანსისკო ნავასერარა - ჩვენი კაცი "რეალში"

მატჩის შემდეგ საპრესკონფერენციო დარბაზისკენ გავემართე. ჩემდა გასაკვირად, თითქმის ცარიელი დამხვდა. ალბათ, ამის გამოც, დელ ბოსკეს პრესკონფერენცია მხოლოდ 3-4 წუთი გაგრძელდა. ჟურნალისტთა უმეტესი ნაწილი დარბაზის მახლობლად იყო შეყრილი. სწორედ იმ ადგილას, სადაც ფეხბურთელები გასახდელიდან გამოდიან. ცხადია, ესპანელ კოლეგებს მეც შევუერთდი. სწორედ ამ ადგილას გავიცანი ბატონი ფრანსისკო ნავასერარა, "რეალის" პრესატაშე. ახალგაზრდა, პუტკუნა, სათვალიანი, თანაც, ძალიან საჭირო კაცი. "რეალის" თითოეულ ფეხბურთელთან ინტერვიუს ასაღებად კლუბის პრესსამსახურს უნდა მიმართოთ. აქ კი ნავასერარა დაგხვდებათ. ვისარგებლე შემთხვევით და ახალ ნაცნობს ფეხბურთელებთან შეხვედრის ორგანიზება ვთხოვე. მიუხედავად იმისა, რომ გრაფიკი მეტად გადატვირთულია, ნავასერარა შეეცდება, "24 საათის" მკითხველისთვის გამონაკლისი დაუშვას და ოთხშაბათს "რეალის" რამდენიმე ვარსკვლავთან შემახვედრებს. ასე რომ, იკითხეთ "24 საათი"...

## ფრანსისკო პავონი - ჩემი პირველი რესპონდენტი

ჩემსა და ბატონ ნავასერარას შორის საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. ის იყო, უნდა გამოვმშვიდობებოდი, რომ ახალგაზრდა ბიჭი მოგვიახლოვდა და ფრანსისკოს ჩაეხუტა. ეს ფრანსისკო პავონი იყო, "რეალის" ახალგაზრდა მცველი, რომელმაც "რეკრეატივოს" წინააღმდეგ მატჩში ტრავმირებული იეროს ადგილი დაიკავა. ნავასერარამ პავონს კარგი თამაში მიულოცა. ვისარგებლე შემთხვევით, ფეხბურთელს გავეცანი და ის გაზეთიც ვაჩვენე, რომელსაც წარმოვადგენ. "ეს რა, არაბულია"? - მკითხა პავონმა. ამ რეაქციას ნამდვილად მოველოდი და პასუხიც მზად მქონდა. ქართულ დამწერლობაზე საუბარი საინტერესო ინტერვიუში გადაიზარდა.

- გასაგებია, პირველად ვხედავ ამ დამწერლობას (იღიმება).

**- გახსოვს "მილანთან" მატჩი?**

- ცხადია, მახსოვს.

**- "მილანის" 4 ნომერი კალაძე, ფიგუს რომ მეურვეობდა, ქართველია. ისიც ამ დამწერლობით წერს.**

- ააა, გასაგებია. არ ვიცოდი, სადაური იყო. ისე, ძალიან კარგად ითამაშა. ფიგუს ბევრი პრობლემა შეუქმნა.

**- კარგ გუნებაზე ჩანხარ. კმაყოფილი ხარ დღევანდელ მატჩში საკუთარი თამაშით?**

- რატომაც არა. მართალია, პირველ ტაიმში პრობლემები გვქონდა, მაგრამ მეორე ნახევარში აშკარად მოვუმატეთ თამაშს და დამსახურებულადაც მოვიგეთ.

**- შენი აზრით, ვინ გახდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?**

- რონალდო.

**- ეს შენი მოსაზრებაა თუ ინფორმირებული ხარ?**

- ერთიც და მეორეც (პავონი იცინის და ფრანსისკო ნავასერარას თვალს უკრავს).

ამით დასრულდა ჩვენი მოკლე საუბარი. დავემშვიდობე ბატონ ნავასერარასაც, მაგრამ არა დიდი ხნით. ოთხშაბათს ის "რეალის" საწვრთნელ ბაზაზე შემხვდება - მან ხომ სიტყვა მომცა, რომ ინტერვიუების აღებაში დამეხმარებოდა.

მანამდე კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გალა-საღამო გველის. საინტერესოა, მართლა რონალდო გახდება საუკეთესო?

# ორი ქართველი და ორი ორიანი

*შაბათ-კვირას გამართული მეორე ბუნდესლიგის მე-17 ტური წარმატებული გამოდგა "ქართული" "ფრაიბურგისთვის". პირველ ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად მებრძოლმა გუნდმა საკუთარ მოედანზე დაამარცხა "დუისბურგი" და სატურნირო ცხრილში მყარად დამკვიდრდა მესამე ადგილზე.*

პაატა თოთაძე

მატჩში სამივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა, იაშვილი და კობიაშვილი კი საუკეთესონი იყვნენ თავიანთი გუნდის შემადგენლობაში. იაშვილის წყალობით, "დუისბურგის" მცველებს მთელი მატჩის განმავლობაში მოსვენება არ ჰქონიათ, კობიაშვილმა კი თანაგუნდელის შრომა ორი გოლით დააფასა. "კიკერმა" ორივე მათგანს უმაღლესი შეფასება (ორიანი) მისცა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა.

მოგება მოგებად, მაგრამ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება თავად დუბლის ავტორის მონათხრობი ამ დაპირისპირების შესახებ. "24 საათი" გუშინ დაუკავშირდა ლევან კობიაშვილს:

"ანგარიშიდან გამომდინარე, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ იოლი მატჩი იყო, მაგრამ, გარწმუნებთ, ძალიან რთული თამაში გახლდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "დუისბურგიც" ბუნდესლიგაში გადასასვლელად იბრძვის და, გამარჯვების შემთხვევაში, გვეწეოდა. ასე რომ, კონკურენტის დამარცხება ძალიან მნიშვნელოვანი იყო".

კონკურენტის დამარცხება, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მით უმეტეს, რომ გუნდები ერთმანეთს ფეხდაფეხ მისდევდნენ და ერთი წაფორხილებაც, შესაძლოა, გადამწყვეტი გამომდგარიყო. წინა ტურის შემდეგ "ფრაიბურგის" თავკაცმა თქვა: "ჩვენი გუნდი კარგად თამაშობს, მაგრამ უკეთესად რომ ავთამაშდეთ, რაღაც გვაკლია. ახლა სწორედ ის რაღაც გვაქვს მოსაძებნი". როგორც ჩანს, ფინკემ და მისმა შეგირდებმა ეს რაღაც "დუისბურგთან" მატჩის მეორე ტაიმში იპოვეს, რადგან პირველი ნახევარი, დიდი უპირატესობის მიუხედავად, წააგეს - 0:1.

"პირველ ტაიმში ისეთი უპირატესობა გვქონდა, სულ ცოტა, სამი გოლი უნდა გაგვეტანა, ბურთი კი არაფრით შედიოდა მეტოქის კარში. ამის მაგივრად, საკუთარ კარში გავუშვით. ხანდახან ცდილობ, ცდილობ, მაგრამ ბედი არ გწყალობს, არაფერი გამოგდის. ერთხელ გავიფიქრე კიდეც, დღესაც ასეთი რამ ხომ არ გვჭირს-მეთქი, მაგრამ ეს აზრი მაშინვე ამოვიგდე თავიდან. ღრმად მწამდა, რომ ამ უპირატესობას გატანილ გოლებში გამოვხატავდით".

ის "რაღაც" იღბალი ყოფილა. "დღეს ჩვენ იღბალმაც გაგვიღიმა. სწორედ ეს გვაკლდა წინა მატჩებში მიზნის მისაღწევად", - განაცხადა მწვრთნელმა. ნამდვილად არ ვიცი, პირველად ვინ თქვა ასეთი რამ, მაგრამ მატჩის შემდეგ ფოლკერ ფინკეს ამ სიტყვების გამეორება მოუხდა: "კარგი თავდამსხმელებით გაცილებით იოლად აღწევ მიზანს".

"იაშვილს ასე ჯერ არ უთამაშია. დღეს რომ მოვიგეთ, სწორედ მისი დამსახურებაა. მეტოქის მწვრთნელმა რომ შეატყო, მის გაჩერებას მცველები ვერაფრით ახერხებდნენ, პერსონალური მეურვე მიუჩინა, მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია, რაც სხვებს. იმ დღეს იაშვილის გამჩერებელი არავინ იყო. დარწმუნებული ვარ, ასეთი თამაშით, "დუისბურგს" კი არა, გაცილებით ძლიერ მეტოქესაც დავამარცხებდით. პირველი წრე დასრულდა და ჩვენთვის სასურველ ადგილზე ვართ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ბუნდესლიგაში უნდა დავბრუნდეთ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ გაცილებით უკეთ იქნებოდა, ჩვენ მიერ შექმნილი მომენტების ნახევარს მაინც რომ ვიყენებდეთ. მაშინ ბუნდესლიგაში გადასვლაში ხელს ვერავინ შეგვიშლიდა. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი, დასამუშავებელი, მაგრამ, ალბათ, ამასაც ეშველება".

# ვალერი გაზაევი: „იმედია, ამჯერად თბილისში შუქს აღარ გამორთავენ“

*ხანმოკლე შვებულებიდან დაბრუნებულმა ვალერი გაზაევმა პირველ საქმედ რუსული სპორტული მედიის ლიდერის, გაზეთ "სპორტ-ექსპრესის" სტუმრობა მიიჩნია. გაზაევი საქართველო-რუსეთის მატჩსაც შეეხო.*

პაატა თოთაძე

"თავდაპირველად ჩვენს ჯგუფში სამ ფავორიტს ასახელებდნენ. ცუდი სტარტის მიუხედავად, ვფიქრობ, ირლანდიის ნაკრები დარჩენილ მატჩებში ვითარებას გამოასწორებს და ჯგუფიდან გასასვლელად იბრძოლებს", - აღნიშნა გაზაევმა. შემდეგ მწვრთნელი მომავალი მატჩებისთვის რუსეთის ნაკრების მზადების თემას შეეხო: "10 თებერვალს შევიკრიბებით. ჯერჯერობით არ ვიცი, სად და როგორ მოვემზადებით. ორი ვარიანტია – ან კვიპროსზე წავალთ, საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, კვიპროსის, რუმინეთისა და სლოვაკეთის ნაკრებებთან ერთად, ან 12 თებერვალს იტალიის ნაკრებს ვეთამაშებით. თუ მეორე ვარიანტს ავირჩევთ, კვიპროსზე ახალგაზრდული გუნდი წავა. 2 აპრილს კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გვექნება გერმანელებთან".

ბუნებრივია, საუბარი შეეხო საქართველოსა და რუსეთის განვლილ და მომავალ მატჩებს. მართალია, გაზაევს არ სურდა, განმეორებითი მატჩი თბილისში გამართულიყო, რაც აღნიშნა კიდეც, მაგრამ... "სხვა გზა არა გვაქვს, უნდა დავემორჩილოთ უეფას გადაწყვეტილებას. იმედია, ამჯერად თბილისში შუქს აღარ გამორთავენ. ცოტა გაუგებარია, რატომ განაწყენდნენ ჩემზე ქართველი ფეხბურთელები. ასეთი რამ არაერთხელ მსმენია, მაგრამ მიზეზი დღემდე ვერ ამიხსნია. მე პასუხს ვაგებ თითოეული მოთამაშის უსაფრთხოებაზე. მათ სათამაშოდ ნორმალური პირობები უნდა შეუქმნან. განა ჩვენ ვართ დამნაშავე, სტადიონზე შუქი რომ გამორთეს?" - განაცხადა მწვრთნელმა.

ბოლოს საუბარი შეეხო ნაკრების ლეგიონერებს. როგორც გაზაევმა განაცხადა, მისთვის მთავარია, თავად მოთამაშეები რას ფიქრობენ ნაკრებზე: "მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რა დონის მოთამაშეა. თუ ვინმეს ნაკრებში თამაში არ სურს, დაძალება არ ივარგებს, ის გუნდს მაინც არ გამოადგება. მთავარია, ფეხბურთელს გულით უნდოდეს ნაკრებში თამაში და თითოეულ მატჩში თავისი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინოს".

# „ბაიერნი“ შემოდგომის ჩემპიონია, „ბარსა“ კი იძირება

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-17 ტური**

| | |
|---|---|
| *ბაიერნი - შალკე* | *0:0* |
| *ვერდერი - გლადბახი* | *2:0* |
| *ჰანზა - ჰამბურგი* | *0:0* |
| *ჰანოვერი - არმინია* | *0:0* |
| *ბოხუმი - მიუნხენი* | *1:1* |
| *ბაიერი - ნიურნბერგი* | *0:2* |
| *კოტბუსი - დორტმუნდი* | *0:4* |
| *კაიზერი - ჰერტა* | *2:1* |
| *ვოლფსბურგი - შტუტგარტი* | *1:2* |

გერმანული ბუნდესლიგის პირველი წრის ბოლო ტურში ოდესღაც მრისხანე "კაიზერსლაუტერნმა" ჩემპიონატში მხოლოდ მესამე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მაინც გასავარდნ ზონაშია. ამიტომ ერიკ გერეტსის შეგირდებს ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მოუწევთ. თუმცა, "კაიზერსლაუტერნის" პროგრესი მაინც აშკარაა. გუნდმა ბოლო ორ საშინაო მატჩში ქულათა მაქსიმუმი აიღო.

მართალია, მიუნხენის "ბაიერნმა" საშემოდგომო ტურნირი "შალკე 04-თან" საშინაო ყაიმით დაასრულა, მაგრამ, ჩემპიონთა ლიგის ტურნირისგან განსხვავებით, სოლიდურად გამოიყურება და გათამაშებას ქულათა შთამბეჭდავი მარაგით ლიდერობს. მოვლენების ამგვარი განვითარებით კმაყოფილია ოტმარ ჰიტცფელდი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს წარმატება "ბაიერნს" ახალი კლუბის მშენებლობაში დაეხმარება. ბუნდესლიგის ჩემპიონატი 25 იანვარს განახლდება.

**იტალია. სერია A. მე-14 ტური**

| | |
|---|---|
| *ბრეშა - პერუჯა* | *3:1* |
| *კომო - მილანი* | *1:2* |
| *ემპოლი - მოდენა* | *1:0* |
| *ინტერი - ატალანტა* | *1:0* |
| *რომა - რეჯინა* | *3:0* |
| *უდინეზე - ტორინო* | *1:1* |
| *იუვენტუსი - ლაციო* | *1:2* |
| *პიაჩენცა - კიევო* | *0:3* |
| *ბოლონია - პარმა* | *2:1* |

როგორც იქნა, "რომა" ღირსეულად წარსდგა თავისი გულშემატკივრების წინაშე და "რეჯინა" დაამარცხა - 3:0. ფაბიო კაპელო მხოლოდ ერთმა გარემოებამ დაამწუხრა: გუნდის კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო და მინდორი დატოვა.

თავის ტრიუმფალურ სვლას აგრძელებს კახა კალაძის "მილანი", რომელმაც ამჯერად გათამაშების აუტსაიდერი "კომო" დაამარცხა. ამ მატჩში გადამწყვეტი




"ტოტენჰემელმა" კეისი კლერმა ტიერი ანრი წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა

გოლი, რივალდოს გადაცემის შემდეგ, თავური დარტყმით ანდრეი შევჩენკომ გაიტანა. "მილანმა" ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა. ექტორ რაულ კუპერის "ინტერმა" კი "სან-სიროზე" ძლივს დაძლია ბერგამოს "ატალანტას" წინააღმდეგობა. ერთადერთი გოლი მუხამად კალონმა გაიტანა.

სპეციალისტებს კვლავ აოცებს ვერონის "კიევოს" თამაში. იტალიაში ფიქრობენ, რომ "კიევო" აღარ არის წლის აღმოჩენა და თანდათან სოლიდურ, ამბიციურ კლუბად ჩამოყალიბდა. ვერონელებმა სტუმრად მოუგეს "პიაჩენცას" - 3:0. ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ტურინში, სადაც, ფიორეს ორი გოლის წყალობით, "ლაციომ" იუვენტუსი დაამარცხა და გათამაშების ლიდერს, "მილანს", ერთი ქულით ჩამორჩება. "ლაციოსთან" დამარცხება "იუვენტუსისთვის" ზედიზედ მეორეა.

რობერტო ბაჯომ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით წერტილი დაუსვა "პერუჯასთან" მატჩს. იტალიური ფეხბურთის ვეტერანისთვის ეს მე-200 გოლი იყო.

**ესპანეთი. პრიმერადივიზიონი. მე-14 ტური**

| | |
|---|---|
| *რეალ სოსიედადი - მალიორკა* | *2:1* |
| *ბეტისი - რაიო ვალეკანო* | *0:1* |
| *დეპორტივო - მალაგა* | *1:0* |
| *ვალიადოლიდი - ბილბაო* | *2:0* |
| *ოსასუნა - ესპანიოლი* | *1:0* |
| *რასინგი - სელტა* | *3:0* |
| *რეალი - უელვა* | *4:2* |
| *ბარსელონა - სევილია* | *0:3* |
| *ალავესი - ატლეტიკო* | *2:0* |
| *ვილიარეალი - ვალენსია* | *0:2* |

"ბარსელონა" თანდათან იძირება, მაგრამ ლუის ვან გაალი ამტკიცებს, რომ მის ფეხბურთელებს სჯერათ თავისი მწვრთნელისა და მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება. თუმცა, ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს. კატალონიელები მორიგ ტურში საკუთარ "ნოუ-კამპზე" "სევილიასთან" სამარცხვინოდ დამარცხდნენ და სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილზე ჩამოქვეითდნენ. ვან გაალი კი ამბობს, ახალი ფეხბურთელები არ მჭირდებაო, მაგრამ, როგორც ჩანს, "ბარსას" მაინც მოუწევს რომელიმე ვარსკვლავის დამატება. კერძოდ, საუბარია "რივერ პლეიტის" 21 წლის ფორვარდის დ`ალესანდროს ჩამოყვანაზე.

"რეალ სოსიედადმა" მორიგი სამი ქულა მოიპოვა და 4 ქულით უსწრებს ქვეყნის ჩემპიონს, "ვალენსიას", რომელმაც, თავის მხრივ, "ვილიარეალი" დაამარცხა. მადრიდის "რეალმა" კი, მოსკოვის "ლოკომოტივთან" უფერული თამაშის შემდეგ, ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა და ლიგის დებიუტანტი "უელვა" აიძულა, კაპიტულაცია გამოეცხადებინა.

**ინგლისი. პრემიერლიგა. მე-18 ტური**

| | |
|---|---|
| *ტოტენჰემი - არსენალი* | *1:1* |
| *ფულჰემი - ბირმინგემი* | *0:1* |
| *სანდერლენდი - ლივერპული* | *2:1* |
| *მანჩესტერი - ვესტ ჰემი* | *3:0* |
| *საუთჰემპტონი - ნიუკასლი* | *1:1* |
| *მიდლსბრო - ჩელსი* | *1:1* |
| *ასტონ ვილა - ვესტ ბრომვიჩი* | *2:1* |
| *ევერტონი - ბლექბერნი* | *2:1* |
| *ჩარლტონი - სიტი* | *2:2* |

ლონდონურ დერბიში "ტოტენჰემმა" შეძლო, პრემიერლიგის ლიდერისთვის ქულა აერთმია. მასპინძლებს მოგებაც შეეძლოთ. ყოველ შემთხვევაში, სათამაშო უპირატესობას ისინი ფლობდნენ. ამ უპირატესობის ლოგიკური დაგვირგვინება იყო კრისტიან ციგეს გოლი "მეთოფეთა" კარში. გერმანელმა სიმენს 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაუტანა. თუმცა, "მამლები" დაალალატა საკუთარმა მეკარემ, რომელმაც საჯარიმო მოედანში ტიერი ანრი წააქცია. რობერ პირესმა ზუსტად შეასრულა პენალტი - 1:1.

"სანდერლენდთან" წაგებით "ლივერპულმა" უკანასკნელ 6 მატჩში მე-5 მარცხი იწვნია. "სანდერლენდმა" კი, თავის მხრივ, მერსისაიდელები, 1958 წლის შემდეგ, საკუთარ მინდორზე პირველად დაამარცხა.

### გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 17 | 12 | 3 | 2 | 36:14 | 39 |
| დორტმუნდი | 17 | 9 | 6 | 2 | 28:13 | 33 |
| ვერდერი | 17 | 10 | 3 | 4 | 34:27 | 33 |
| შალკე | 17 | 7 | 7 | 3 | 21:14 | 28 |
| შტუტგარტი | 17 | 7 | 6 | 4 | 27:22 | 27 |
| მიუნხენი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:24 | 25 |
| ჰამბურგი | 17 | 7 | 4 | 6 | 21:23 | 25 |
| ბოხუმი | 17 | 6 | 5 | 6 | 31:28 | 23 |
| ჰერტა | 17 | 6 | 5 | 6 | 19:19 | 23 |
| ვოლფსბურგი | 17 | 7 | 2 | 8 | 20:22 | 23 |
| არმინია | 17 | 6 | 4 | 7 | 21:24 | 22 |
| ნიურნბერგი | 17 | 6 | 3 | 8 | 23:27 | 21 |
| ჰანზა | 17 | 5 | 5 | 7 | 20:20 | 20 |
| ბაიერი | 17 | 5 | 5 | 7 | 24:27 | 20 |
| გლადბახი | 17 | 5 | 4 | 8 | 20:19 | 19 |
| ჰანოვერი | 17 | 4 | 4 | 9 | 22:33 | 16 |
| კაიზერი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:28 | 13 |
| კოტბუსი | 17 | 2 | 4 | 11 | 13:38 | 10 |

### იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 14 | 10 | 2 | 2 | 30:10 | 32 |
| ლაციო | 14 | 9 | 4 | 1 | 30:14 | 31 |
| ინტერი | 14 | 9 | 3 | 2 | 29:15 | 30 |
| კიევო | 14 | 8 | 2 | 4 | 24:13 | 26 |
| იუვენტუსი | 14 | 7 | 5 | 2 | 22:12 | 26 |
| ბოლონია | 14 | 7 | 5 | 2 | 18:10 | 26 |
| პარმა | 14 | 6 | 4 | 4 | 25:16 | 22 |
| რომა | 14 | 5 | 5 | 4 | 26:22 | 20 |
| ემპოლი | 14 | 6 | 2 | 6 | 21:19 | 20 |
| უდინეზე | 13 | 5 | 4 | 4 | 12:14 | 19 |
| მოდენა | 14 | 6 | 1 | 7 | 12:21 | 19 |
| პერუჯა | 14 | 5 | 3 | 6 | 18:22 | 18 |
| ბრეშა | 14 | 4 | 3 | 7 | 19:26 | 15 |
| პიაჩენცა | 14 | 3 | 3 | 8 | 11:20 | 12 |
| ატალანტა | 13 | 2 | 2 | 9 | 11:24 | 8 |
| ტორინო | 13 | 2 | 1 | 10 | 7:27 | 7 |
| რეჯინა | 14 | 1 | 4 | 9 | 10:26 | 7 |
| კომო | 13 | 0 | 5 | 8 | 8:22 | 5 |

### ესპანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 14 | 9 | 5 | 0 | 26:15 | 32 |
| ვალენსია | 14 | 8 | 4 | 2 | 24:7 | 28 |
| რეალი | 13 | 6 | 6 | 1 | 26:13 | 24 |
| სელტა | 14 | 7 | 3 | 4 | 17:12 | 24 |
| ბეტისი | 14 | 6 | 5 | 3 | 24:15 | 23 |
| დეპორტივო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:17 | 23 |
| მალიორკა | 14 | 7 | 2 | 5 | 21:22 | 23 |
| ატლეტიკო | 14 | 5 | 6 | 3 | 19:15 | 21 |
| მალაგა | 14 | 4 | 6 | 4 | 18:19 | 18 |
| ოსასუნა | 14 | 5 | 3 | 6 | 16:19 | 18 |
| რასინგი | 14 | 5 | 2 | 7 | 15:15 | 17 |
| ვალიადოლ. | 14 | 5 | 2 | 7 | 13:17 | 17 |
| ბარსელონა | 14 | 4 | 4 | 6 | 18:19 | 16 |
| ალავესი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:23 | 16 |
| ვილიარეალი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:15 | 15 |
| ვალეკანო | 14 | 4 | 3 | 7 | 16:22 | 15 |
| ბილბაო | 14 | 4 | 3 | 7 | 19:28 | 15 |
| სევილია | 13 | 3 | 5 | 5 | 11:11 | 14 |
| ესპანიოლი | 14 | 3 | 1 | 10 | 14:26 | 10 |
| უელვა | 14 | 2 | 3 | 9 | 12:28 | 9 |

### ინგლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 18 | 11 | 3 | 4 | 37:20 | 36 |
| მანჩესტერი | 18 | 10 | 5 | 3 | 30:17 | 35 |
| ჩელსი | 18 | 9 | 7 | 2 | 32:15 | 34 |
| ევერტონი | 18 | 10 | 2 | 6 | 22:21 | 32 |
| ლივერპული | 18 | 9 | 4 | 5 | 28:19 | 31 |
| ნიუკასლი | 17 | 9 | 2 | 6 | 27:24 | 29 |
| ტოტენჰემი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:24 | 28 |
| საუთჰემპტ. | 18 | 7 | 6 | 5 | 21:18 | 27 |
| მიდლსბრო | 18 | 7 | 5 | 6 | 22:16 | 26 |
| ბლექბერნი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:22 | 24 |
| ჩარლტონი | 18 | 7 | 3 | 8 | 20:22 | 24 |
| სიტი | 18 | 7 | 3 | 8 | 22:25 | 24 |
| ბირმინგემი | 18 | 6 | 5 | 7 | 17:21 | 23 |
| ფულჰემი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:23 | 22 |
| ვილა | 18 | 6 | 4 | 8 | 17:18 | 22 |
| ლიდსი | 17 | 5 | 2 | 10 | 20:25 | 17 |
| სანდერლენ. | 18 | 4 | 5 | 9 | 10:24 | 17 |
| ვ. ბრომვიჩ. | 18 | 4 | 3 | 11 | 13:27 | 15 |
| ბოლტონი | 16 | 3 | 5 | 8 | 18:28 | 14 |
| ვესტ ჰემი | 18 | 3 | 4 | 11 | 17:34 | 13 |

ცურვა

# ევროპამ წყალში მედლები ამოავლო

*მოცურავეთა "პატარა წყლის" ევროპის ჩემპიონატის დასკვნით, მეოთხე დღეს, 12 ფინალური პაექრობა გაიმართა. თუ წინა დღეს ჩემპიონატს 2500 კაცი ესწრებოდა, შეჯიბრების ბოლო დღეს მათი რიცხვი ათასით გაიზარდა. მსოფლიო რეკორდი კი არც ამ დღეს დამხობილა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა მასპინძლებს - გერმანელებს დარჩათ.*

ბიბა ბურასაშვილი



ტომას რუპრატი და სტივ ტელოკი

"ცისფერი ბილიკების სამყაროში" გერმანია ყოველთვის ერთ-ერთი მოწინავე იყო და მან ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. 12 ფინალური გაცურვიდან მასპინძლებმა ორი მოიგეს და ორჯერ მეორე ადგილი დაიკავეს. მასპინძლები ამ წარმატებას უნდა უმადლოდნენ ტომას რუპრატს, რომელმაც ასპარეზობის მეოთხე დღესაც გამარჯვებულმა დატოვა აუზი, ხოლო, საერთოდ, ჩემპიონატი სამი ოქროს მედლით დაასრულა. ამჯერად რუპრატმა წარმატებას მიაღწია 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში. თუმცა, ამისთვის საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდა. რუპრატს ფეხდაფეხ მისდევდა თანაგუნდელი სტივ ტელოკი. მასთან შეჯიბრების პირველ დღეს 4x50 ესტაფეტაში მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. "ვერცხლი" სწორედ ამ უკანასკნელს დარჩა.

ჩემპიონატის ბოლო დღეს მასპინძელთაგან ყველაზე კმაყოფილი, ალბათ, სარა პოვი იყო. ევროპის ჩემპიონატამდე სამხრეთ აფრიკის სახელით მოასპარეზე პოვმა ახალ სამშობლოს პირველი "ოქრო" მოუტანა. მამის სამშობლოში დაბრუნებულმა კი, მისთვის სადებიუტო ევროპულ სარბიელზე, ადრე მოპოვებულ "ვერცხლს" 100 მეტრზე ბრასში ჩემპიონობა დაურთო.

"ბედნიერი ვარ, რომ გერმანიის სახელით გამოვდივარ. მით უმეტეს, მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც სამხრეთ აფრიკას წარმოვადგენდი. აქ უკეთეს დროში გავცურე", - განაცხადა პოვმა.

რუპრატისა და პოვის გამარჯვებები რომ არა, შესაძლოა, მასპინძლები ცხრილის სათავიდან ჩამოქვეითებულიყვნენ. საქმე ის არის, რომ ჩემპიონატის დასკვნით დღეს შვედებმა და იტალიელებმა მოინდომეს, დანაკლისი ერთბაშად აენაზღაურებინათ. თუმცა, ამ მხრივ იტალიელებმა უფრო გამოიდეს თავი. თუ წინა დღეს იტალიელთა ყულაბაში სამი "ოქრო" და თითო "ვერცხლი" და "ბრინჯაო" ჩხრიალებდა, ბოლო დღეს ეს მონაგარი, მათ ორი "ოქროთი" და თითო "ვერცხლითა" და "ბრინჯაოთი" გაზარდეს. ასეთივე მაჩვენებლით (5, 2, 2) დაასრულეს ასპარეზობა შვედებმაც. მასპინძლებმა, მთლიანობაში, 22 მედალი დაისაკუთრეს, აქედან შვიდ-შვიდი "ოქრო" და "ვერცხლი", ხოლო რვა - "ბრინჯაო". მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, იტალიელებმა და შვედებმა დაიკავეს.

წყალბურთი

# ავსტრალიურ წყლებში უნგრული „ოქრო" აელვარდა

*ავსტრალიაში, კერძოდ, პერტში დასრულებულ ქალ წყალბურთელთა მსოფლიო თასზე, რომელშიც აშშ-ის, კანადის, რუსეთის, იტალიის, საბერძნეთის, ყაზახეთის, უნგრეთისა და მასპინძელთა ნაკრები გუნდები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ, გამარჯვება უნგრელებს დარჩათ. სანუკვარი ჯილდოსთვის წყალბურთელებმა უშეღავათო პაექრობები გააჩაღეს. ამასთან ერთად, მათი საზრუნავი, სულ ცოტა, საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაც იყო, რადგან ამგვარი წარმატება 2003 წლის ბარსელონას მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს იძლეოდა.*

ბიბა ბურასაშვილი

"ჩელენჯ სტედიუმის" საცურაო კომპლექსში უნგრელმა წყალბურთელებმა 1994 წლის რომის მსოფლიო ჩემპიონატის, 1991 წლის ევროპის ჩემპიონატისა (ათენი) და ბოლოს 2001 წლის ასევე ევროპის ჩემპიონატის (ბუდაპეშტი) ოქროს მედლების შემდეგ პერტის მსოფლიო თასზეც მიაღწიეს წარმატებას. ისე კი, ახალი ჩემპიონებისთვის ავსტრალიურ წყალში გამარჯვება მეოთხე მნიშვნელოვანი წარმატებაა. რიგით მე-13 მსოფლიო თასზე უნგრელთა პირველ გამარჯვებამდე წარმატებისთვის მიუღწევიათ ჰოლანდიელებს - რვაჯერ, ავსტრალიელებს - ორჯერ და კანადისა და აშშ-ის ნაკრებებს - თითოჯერ. ამერიკელები ახლაც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ მაშინ, როდესაც მატჩის ბედი ლამის გადაწყვეტილი იყო, მადიარებმა იანკებს იმედი გაუცრუეს. ბოლო, მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე, როდესაც ამერიკელები წინ იყვნენ (7:6), უნგრელმა აგნეს პრიმაშმა ანგარიში გაქვითა, ხოლო გადამწყვეტი ბურთი მატჩის დამთავრებამდე 45 წამით ადრე შეაგდო მეტოქის კარში. 8:7 – უნგრელები მსოფლიო თასს დაეუფლნენ. ამერიკელები, რომლებიც უკვე 23 წელიწადია, წარმატების გამეორების მოლოდინში არიან, ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. პირველ წარმატებას კი ამერიკელებმა მიაღწიეს შინ, მერსედში, მსოფლიო თასის სადებიუტო გათამაშებაში, 1979 წელს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საინაუგურაციო გათამაშებაში ჩემპიონებს არ უასპარეზიათ, რაც ერთადერთი გამონაკლისია უნგრელებისთვის მსოფლიო თასის 23-წლიანი გათამაშების ისტორიიდან. უნგრელებთან წაგების შემდეგ კი ამერიკელებმა მეხუთე ფინალური მარცხი იწვნიეს. თუმცა, ახლანდელი "ვერცხლი" მათთვის ბევრად უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე 1998 წელს ამავე სარბიელის მსოფლიო ჩემპიონატზე დაკავებული მერვე ადგილი.

"ჩვენ აქ ჩამოვედით გამარჯვებისთვის და სხვა არაფრისთვის. მართალია, რამდენიმე ჩვენგანს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები აქვს, მაგრამ, "ოქროს" გარდა, არაფრის გაგონება აღარ გვსურდა, - გვეუბნება უნგრელთა წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი, ორი გოლის ავტორი ანიკო პელე. – ძალზე რთული მატჩი იყო. ჩვენც ისევე გვინდოდა მოგება, როგორც ამერიკელებს. ახლა ჩვენი მიზანია, ასეთივე კარგ ფორმაში ვიყოთ ათენის ოლიმპიური თამაშებისთვისაც".

მესამე ადგილისთვის მატჩი რუსეთსა და კანადას შორის ისეთივე დაძაბული გამოდგა, როგორც მისი წინამორბედი. ჩვენთვის კი მათი დაპირისპირება იმით იყო საინტერესო, რომ რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში გოლკიპერად ტომით ქართველი მარინა ბუკია ვიხილეთ. რაც შეეხება - თამაშს. მსოფლიოს მესამე გუნდი - კანადის ნაკრები - სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორთან, რუსეთის ნაკრებთან მატჩში თავიდანვე დაწინაურდა. შეხვედრის მესამე მეოთხედში ისეთ უპირატესობას ფლობდა, რომ მისი წაგება საოცრება იქნებოდა. მესამე მეოთხედში 6:1 დაწინაურებულ ჩრდილოამერიკელთა გამარჯვებაში, ალბათ, უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, როცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მეოთხე მეოთხედში რუსებმა სასწაული მოახდინეს და ზედიზედ ოთხი ბურთი შეაგდეს კანადელთა კარში, თუმცა... ეს იყო და ეს. მაშინ, როდესაც მატჩის დასრულებამდე 25 წამი რჩებოდა, ჩრდილოამერიკელთა დაცვა აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. 6:5 - კანადამ 1980 წელს ბრედაში (ჰოლანდია) და 1988 წელს კრაისჩერჩში (ახალი ზელანდია) გათამაშებულ მსოფლიო თასზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლების რაოდენობა სამამდე გაზარდა.

რაგბი

# ჰაინეკენის თასზე

*ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ქართველ რაგბის მოყვარულთა ყურადღება მთლიანად უცხოეთში მიმდინარე მოვლენებზეა გადატანილი - უქმეებზე ჰაინეკენის თასის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩები, სამხრეთ აფრიკაში კი მსოფლიოს შვიდკაცა სერიის მეორე ტურნირი გაიმართა.*

პაატა თოთაძე

დავიწყოთ ევროპის თასის მიმოხილვით, რადგან იქ მონაწილე ფრანგულ კლუბებში ქართველი მორაგბეები თამაშობენ. "ბეზიეს" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად მოთამაშე ვანო ნადირაძემ თასის ორგზის მფლობელთან, ინგლისურ "ლესტერთან", სრული 80 წუთი დაჰყო მოედანზე და თანაგუნდელებს გატანილი ლელოთიც შეეშველა, მაგრამ ამით მის გუნდს არაფერი ეშველა. სტუმრად მოთამაშე ფრანგები დამარცხდნენ (10:53) და, პრაქტიკულად, დაკარგეს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი. ნადირაძე ერთადერთი ქართველი იყო იმ დღეს თავისი კლუბის შემადგენლობაში. ტატო რატიანიძეს და გოდერძი შველიძეს ტრავმის გამო არ უთამაშიათ. ქართველი მორკინალის გარდა, "ბეზიეს" ქულები მოუტანა არგენტინელმა თავისუფალმა ნახევარმცველმა გონსალო კესადამ. წარუმატებლად ასპარეზობს "მონფერანი", რომლის ღირსებას იცავენ ლევან ცაბაძე და დავით აშვეთია. ირლანდიაში მოთამაშე ფრანგები "ლესტერმა" დაამარცხა (12:9), რითაც შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი ერთობ შეუმცირა. ახლა მიზნის მისაღწევად "მონფერანსაც" და "ბეზიესაც" დარჩენილი ორივე მატჩის მოგება მართებს. ფრანგული რაგბის ღირსება დაიცვეს "ტულუზმა", "პერპინიანმა" და "ბიარიცმა", რომლებმაც, შესაბამისად, "ედინბურგს", "გლოსტერსა" და "ოლსტერს" სძლიეს. "ტულუზის" ამბავი გარკვეულია - ფრანგებმა, ფაქტობრივად, გაინაღდეს მეორე ეტაპზე გასვლა. "პერპინიანსა" და "ბიარიცს" ჯერაც ბრძოლა მართებთ. "ბიარიცის" შემადგენლობაში კვლავ გამოიჩინა თავი დიმიტრი იაშვილმა. ორ ჯარიმასა და ორ გარდასახვას ბასკთა ნახევარმცველმა მიამატა სალელოე გადაცემა, რომელიც დევიდ კუზემ დააგვირგვინა.

ქართველებით გაძლიერებული ფრანგული კლუბების მსგავსად, არ გაუმართლა იტალიურ "როვიგოსაც", რომელშიც ავქსენტი გიორგაძე და ილო ზედგენიძე თამაშობენ. საერთოდ, იტალიური რაგბის დონე, ევროპის დანარჩენი ხუთი ბობოლა ქვეყნის რაგბის დონესთან შედარებით, დაბალია და ამიტომაც ამ ქვეყნის კლუბების მარცხი სხვადასხვა ტურნირზე გაკვირვებას არ იწვევს. ამჯერადაც, "პარკერ პენის" სინზე ასპარეზობა, უქართველებოდ მოთამაშე "როვიგომ", სტუმრად უელსის "კერფილისთან", მარცხით დაასრულა (17:58).

სამხრეთ აფრიკაში კი შვიდკაცა რაგბის მოთამაშენი მსოფლიო შვიდკაცა სერიის მეორე ტურნირზე შეიკრიბნენ. სერიის პირველი ტურნირი, რომელიც დუბაიში გაიმართა, ახალზელანდიელთა გამარჯვებით დასრულდა. ზელანდიელები ამჯერადაც ფინალში გავიდნენ, ოღონდ რაგბის ამ სახეობის ჯადოქრებთან - ფიჯელებთან დამარცხდნენ (14:24).


REUTERS
ფიჯისა და ახალი ზელანდიის ნაკრები გუნდების შეხვედრის ფრაგმენტი

კალათბურთი

# პატ რაილი მსაჯებს დაერია

*"მაიამი ჰიტის" სახელოვანი მწვრთნელი პატ რაილი უკმაყოფილოა წლევანდელ სეზონში თავისი გუნდის გამოსვლით და მიიჩნევს, რომ ამაში დამნაშავე არიან მსაჯები, რომლებიც "მაიამი ჰიტის" მატჩებს მიკერძოებით სჯიან.*

გუნდს მხოლოდ 6 გამარჯვება აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციის აუტსაიდერია. "ეს მეტისმეტია", - აცხადებს პატ რაილი და მსაჯების მკვეთრი კრიტიკით გამოდის.

პირდაპირ ეთერში ცნობილმა მწვრთნელმა მსაჯები გააქილიკა. უფრო მეტიც, მან ერთ-ერთი "შეთქმული" დაასახელა კიდეც. ეს არის სტივ ჯევი. რაილის თქმით, შარშან, 28 ნოემბერს, "კლივლენდთან" მატჩის დროს, შეკამათების შემდეგ ჯევი მას მიუახლოვდა და უთხრა: "ჩვენ უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს იმის ხილვა, თუ როგორ იღუპებით შენ და შენი გუნდი". რაილის ვარაუდით, დაახლოებით ამ დროიდან დაიწყეს მსაჯებმა მისი გუნდის შევიწროება.

მიმდინარე სეზონში "მაიამი ჰიტის" კალათბურთელებმა 219 საჯარიმოთი ნაკლები ტყორცნა შეასრულეს, ვიდრე სხვა გუნდებმა. მარტო ნიუ-იორკთან უკანასკნელ მატჩში "ჰიტმა" 23 ჯარიმით ნაკლები ისროლა და პატ რაილის მოთმინების ფიალაც აივსო.

"მე ძალიან, ძალიან, ძალიან იშვიათად გამოვთქვამ მსაჯების მიმართ უკმაყოფილებას. მაგრამ ეს გადაულახავ ბარიერად იქცა, პრობლემა კი გადაჭრას მოითხოვს. და რადგან მოითხოვს, გადაჭრიან. მორჩა და გათავდა. რა მნიშვნელობა აქვს, მე რა დამემართება", - ამბობს პატ რაილი.

ამგვარი გამოთქმებისთვის მწვრთნელი შეიძლება დააჯარიმონ ან რამდენიმე მატჩით დისკვალიფიკაცია მისცენ. ამიტომ რაილი აცხადებს, რომ არ ჩქარობდა ასეთი ხმაურიანი განცხადების გაკეთებას და სურდა, დარწმუნებულიყო იმაში, რისიც თვითონ სჯერა. "ჩვენ უტყუარი ფაქტები და მტკიცებულებები გვაქვს. ჩვენთვის ამ ფაქტების მნიშვნელობა თვალსაჩინოა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვებზე ყოველთვის არ ვრცელდება", – დაასკვნა პატ რაილიმ. NBA-ის წარმომადგენლის თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

ხელბურთი

# მსოფლიოში საუკეთესო ევროპაში მეოთხეა

*ზღაპარი, რომლისაც მხოლოდ დანიელებს სჯეროდათ, ახდა. გუშინწინ ამ პატარა ქვეყნის ქალ ხელბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა.*

პაატა თოთაძე

მართალია, ტურნირზე გადამწყვეტი იყო ფინალური მატჩი, რომელშიც მასპინძლებმა ნორვეგიელები დაამარცხეს (25:22), მაგრამ დანიელთათვის ყველაზე ძნელი მსოფლიო ჩემპიონებთან, რუს ქალებთან ნახევარფინალური პაექრობა გამოდგა. "ეს იყო ჩვენთვის ყველაზე რთული და, რაც მთავარია, უმნიშვნელოვანესი მატჩი, - ტურნირის დასრულების შემდეგ აღიარა დანიელთა მწვრთნელმა იან პიტლიკმა, - ვგრძნობდი, რომ, რუსების დამარცხების შემთხვევაში, ფინალსაც მოვიგებდით. იმედი არასდროს დამიკარგავს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, პირველი ტაიმის შემდეგ ძალიან შემეშინდა. რუსები ჩინებულად თამაშობდნენ, თუმცა, მადლობა ღმერთს, უპირატესობა ვერ გამოიყენეს. მეორე ტაიმში თამაშის სტილი და ტაქტიკა შევცვალეთ, თანაც, არაერთხელ, რამაც გაამართლა. ჩვენი მეკარე ხომ შეუდარებელი იყო. ცოტა იღბალიც წაგვეხმარა. მოკლედ, ასეა თუ ისე, ჩვენთვის ყველაზე ძნელ მატჩში გავიმარჯვეთ".

მწვრთნელმა ტაქტიკა ახსენა და, დანიელებს ფინალში სწორედ ტაქტიკურმა საზრიანობამ გაამარჯვებინა, თორემ ფიზიკურად ძლიერ ნორვეგიელებთან ვერაფერს გააწყობდნენ. სხვათა შორის, ნორვეგიელები მათი ლეგენდარული თანამემამულის, გრინის სპორტიდან წასვლის შემდეგ ძველებურად ძლიერი ველარ არიან. ხელბურთის მხატვრის (ასე უწოდებდნენ გრინს) წასვლის შემდეგ ნორვეგიელთა შეტევები, დანიელთაგან განსხვავებით, დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. გუნდი, ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეების წყალობით, უმთავრესად, შორეული დარტყმებით ცდილობს ფონს გასვლას. ეს მეტოქეებს დიდ სიძნელეებს კი უქმნის, მაგრამ დანიელებივით ტაქტიკურად განსწავლული გუნდებისთვის ნორვეგიელთა დამარცხება სულაც არ არის შეუძლებელი. ტაქტიკა ტაქტიკად და, კვლავაც შეუდარებელი იყო დანიელთა მეკარე კარინ მორტენსენი, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მესამე ადგილი წილად ხვდათ ფრანგებს, რომლებმაც ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონები, რუსი ხელბურთელები დაამარცხეს.

ნებისმიერი დიდი შეჯიბრების შემდეგ ჟურნალისტები თუ ორგანიზატორები ტურნირის სიმბოლურ ნაკრებს ასახელებენ. ასე იყო ამჯერადაც. ტურნირის საუკეთესო შვიდი ხელბურთელიდან სამი დანიელია – კარინ მორტენსენი, ლინე დუგაარდი და კრისტინ ანდერსენი. ნაკრებში თითო წარმომადგენელი ჰყავთ ავსტრიას - აუსრა ფრიდრიკასი, რუსეთს - ლუდმილა ბოდნიევა, ფრანგებს - სტეფანი კანო და ნორვეგიელებს - კეროლაინ როსენბერგი. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი კი გახდა უნგრელი აგნეს ფარკაში, რომელმაც 58 გოლი გაიტანა.


REUTERS
დანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა

მოკლედ

**კალათბურთი.** NBA-ის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა, გერმანელმა დირკ ნოვიცკიმ ზედიზედ მეორე თამაში გამოტოვა. ერთი კვირის წინათ ნოვიცკიმ ტრავმა მიიღო, მაგრამ ექიმებმა მას თამაშის უფლება მისცეს. თუმცა, კალათბურთელი მოედანზე მაინც არ გამოსულა. არავინ იცის, თუ რატომ არ გამოვიდა მოედანზე ნოვიცკი. შეიძლება "დალას მავერიქსის" მთავარმა მწვრთნელმა, დონ ნელსონმა, თავი დაიზღვია და კალათბურთელი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ შარშანდელ სეზონში ნოვიცკიმ, ასეთივე ტრავმის გამო, 6 მატჩი გამოტოვა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** რუსი ანა კურნიკოვა მინესოტის შტატის ქალაქ სენტ-პაულში გამართულ საჩვენებელ მატჩში დამარცხდა მონიკა სელეშთან - 6:7 (6:8), 4:6. პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში სელეში მე-7 ადგილზეა, კურნიკოვა კი - 35-ეზე. პირველ სეტში რუსი ჩოგბურთელი - 5:3 იგებდა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო. მატჩს 9 ათასზე მეტი გულშემატკივარი ადევნებდა თვალს. ამ ტიპის ტურნირში კურნიკოვა პირველად მონაწილეობდა. ჩოგბურთელები იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე ითამაშებენ.

■ ■ ■

**ჰოკეი.** NHL-ის წლევანდელი სეზონის საუკეთესო სნაიპერი მარიან გაბორიკი, რომელიც ამჟამად "მინესოტას" ღირსებას იცავს, ავადმყოფობის გამო მწყობრიდან გამოვიდა. გაბორიკი გაცივდა და ორი-სამი მატჩის გამოტოვება მოუწევს. ახალგაზრდა ფორვარდმა ამ სეზონში 19 შაიბა გაიტანა და 10 შედეგიანი გადაცემა განახორციელა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** 2003 წლის ახალი ბოლიდების პრეზენტაცია უკვე მოახლოვდა, მაგრამ "ფერარი" არ ჩქარობს თავისი მანქანის წარმოდგენის ვადის დასახელებას. მიუხედავად იმისა, რომ დეკემბერში "ფერარიმ" ინტენსიური ტესტები ჩაატარა, ავსტრალიაში მისი ნახვის შანსი ძალიან მცირეა. სწორედ ამის შესახებ ისაუბრა გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა. შეგახსენებთ, რომ წლეულს პირველი F2002 ტრასაზე მალაიზიის გრან-პრიზე გამოჩნდა. "იმის შანსი, რომ მანქანა პირველი გრან-პრისთვის მომზადდეს, უაღრესად მცირეა", - განაცხადა როს ბრაუნმა. "ფერარის" მსგავსად, ახალ სეზონს "მაკლარენიც" ძველი მოდიფიკაციის მანქანით დაიწყებს, იმისთვის, რომ შემდგომში მოდერნიზებული და უფრო ძლიერი ბოლიდი წარმოადგინოს. "თავიდან ქულებს აუცილებლად მოვიპოვებთ, ამიტომ შექმნილ მდგომარეობაში რისკი გამართლებულია", - მიიჩნევს "მაკლარენის" შეფი რონ დენისი.

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული გარემონტებული ბინა საბურთალოზე, კუტუზოვის ქ. ს/ფართი 130კვ/მ, ჭერი 3მ. ტელ: 38-01-11.

საწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი ბინა კაპიტალური ავტოფარეხით. 12 500-ად. ნუცუბიძის III პლატოზე. ტელ: 53-75-37.

იყიდება ვაჟა-ფშაველას IV კვარტლის მე-18 კორპუსში III სართულზე ერთ ოთახიანი ბინა. ტელეფონით, ბუნებრივი აირით. ფასი შეთნხმებით. ტელ: 897-58-34-58.

იყიდება 2-ოთახიანი მალალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 3-ოთახიანი ბინა კარგი რემონტით ვაკეში ფალიაშვილის ქუჩაზე კაპ. ა/ფარეხით. შეიძლება ახალი ავეჯითაც. 899 515854.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა წერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართულზე. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).

ტელ: 8(24) 153814, 8(24) 1798 95

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71.

ინგლისურის კურსი. (Headway) TOEFL (ტესტისათვის მოსამზადებელი კურსი. საცდელი ტესტირება). 29-03-19.

ვამზადებ მათემატიკაში, სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს, შევასწავლი კომპიუტერს. დავეხმარები სტუდენტებს უმაღლეს მათემატიკაში. 99-73-58 პავლე.

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

**შეგასწავლით!**

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76






## სხვადასხვა

იყიდება ავტოფარეხი. ფალიაშვილის №48. ფასი 5000. 23 35 12, 8(99) 28 99 66

ვთარგმნი ინგლისურიდან და რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55

ვამზადებ ვებ-გვერდებს. 38 71 85 ირაკლი

ფირმა "ბაისადის" უმაღლესი ხარისხის მაკარონები და "პეჩენიები" საბითუმო ფასებში. 35 16 71, 8(77) 42 21 53

საფირმო სალონი "მაუდი" იწვევს დისტრიბუტორებს, რეალიზატორებს, გამყიდველ გოგონებს. ა. წერეთლის გამზ. 140. 34 89 46

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55, 8(93) 39 82 84

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.

ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.

ტელ: 95-39-97

მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
  ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
  მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება). სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი. მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში. სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი. მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე. მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან. სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.













## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**სპორტის სასახლე**
დათო ხუჯაძის სოლო კონცერტი
დას: 18:00 სთ, ფასი 5 ლარი

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
კომპანია "არტ-იმედის" დისკის პრეზენტაცია, კონცერტი
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7,12,20 ლარი

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"ღამის სტუმარი", რეჟ. რამაზ სიხარულიძე
დას: 17 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ეტ-ცეტერა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"სტუმარ-მასპინძელი", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**„ქარვასლა"**
თინა კლდიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა
ფოტო კოლაჟი "ძველი თბილისი", ნინო გერსამიას ნამუშევრების გამოფენა
ნინო მეტრეველის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
მანანა თავაძისა და თენგიზ მირზაშვილის გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**ძველი გალერეა**
გოგა ჭაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**გალერეა „ვერნისაჟი"**
საიუბილეო გამოფენა "ვერნისაჟი 5 წლისაა"

**გალერეა „უნივერსი"**
"პალერმოს გამოფენა 15 წლის შემდეგ", ფარჯიანი, მატაბელი, ბუღაძე, ჭოლოშვილი

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ობობების შემოტევა", რეჟ. ელორი ელვაიერი
დას: 14:00; 16:00სთ; ფასი 5,6 ლარი
"ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 19:00; 21:30 სთ. ფასი 5, 7 ლარი

**„ელისო"**
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 17:00 სთ, ფასი 5 ლარი
"შემთხვევითი მილიონერი"
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი





# რამაზოტი შექსპირის ეპოქაზე ოცნებობს

მირანდა ოგანეზოვა

*დღეს მსოფლიოში იტალიის ხსენებისას, მაფიისა და პიცის გარდა, მამაკაცებს ხშირად - უბერებელი სოფი ლორენი, ქალებს კი ეროს რამაზოტი ახსენდებათ.*

*ეროს რამაზოტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იტალიელი მომღერალია. მისი სიმღერები ბევრი ქვეყნის ჰიტ-აღლუმებში ლიდერობენ. შარშან კი შერისთან ერთად მისი დუეტი* Piu Che Puoi *წლის საუკეთესო დუეტად დაასახელეს. მანამდე რამაზოტის და თინა ტერნერსაც აქვთ ერთი ლამაზი დუეტი (* Cose Della Vita*) შესრულებული. აღსანიშნავია, რომ ამ სიმღერების ავტორი თავად რამაზოტია.*

*2002 წელი მისთვის არც ისე წარმატებული აღმოჩნდა. წლის დასაწყისში ერთი თვე ჰოსპიტალში გაატარა, სადაც მენისკის ოპერაცია გაუკეთეს. გაზაფხულზე კი მეუღლეს - მიკელე ჰუნციკერს დაშორდა. ამ განქორწინებას იტალიაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. მომღერალი საკუთარი ქორწინების შესახებ, თითქმის, არ საუბრობდა, მაგრამ შარშან ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მოულოდნელად განაცხადა, - როდესაც სიყვარული არ არის, ცოლ-ქმარი უნდა დაშორდესო. მოგეხსენებათ, იტალია კათოლიკური ტრადიციების ერთგულია და იქ განქორწინება იოლი საქმე არ არის. ასეა თუ ისე, წელს იტალიაში ქალები გააქტიურდნენ. ერთ-ერთმა* show-girl *- მა განაცხადა, რომ მას რამაზოტი ბავშვობიდან უყვარს, მეორემ დაამატა, რომ სურს მომღერალი საკუთარ გასართობ გადაცემაში მიიწვიოს, რადგან მასთან ინტერვიუზე ოცნებობს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ - რამაზოტი საკუთარ სტუდიაში ჩაიკეტა და დღეს ახალ ალბომზე მუშაობს.*

*ცოტა ხნის წინათ საშუალება მოგვეცა, სანკტ-პეტერბურგში გავსაუბრებოდით იტალიელ ვარსკვლავს. რამაზოტი, როგორც ყველა იტალიელი, უბრალო, ემოციური და გულახდილი მოსაუბრე აღმოჩნდა.*

**- თქვენ ცნობილი გახდით 20 წლის ასაკში, როდესაც სან-რემოს ფესტივალზე გაიმარჯვეთ. მას შემდეგ სულ პოპულარობით სარგებლობთ. როგორ ახერხებთ ამას?**

- შეიძლება ვინმე ფიქრობს, რომ მე ადვილად გავხდი პოპულარული, მაგრამ ეს ასე არ არის. როდესაც სკოლაში შევედი, სწავლასთან ერთად მუსიკამაც გამიტაცა. ქუჩაში ცოტა დროს ვატარებდი, რადგან ყველაზე მეტად წიგნები და გიტარა მიყვარდა. მეგობრებთან კი, ძირითადად, ფეხბურთს ვთამაშობდი. ვოცნებობდი უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში ჩარიცხვაზე, მაგრამ გამოცდებზე მითხრეს, - მუსიკალური ნიჭი არ გაქვსო. ეს, ალბათ, ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო. თუმცა, შემდეგ სან-რემოზე პირველი ადგილი მომანიჭეს. როგორც ხედავთ, დიპლომი აუცილებელი სულაც არ არის. მთავარი სულ სხვაა.

**- ერთხელ თქვით, რომ შექსპირის დროინდელ ეპოქაში ცხოვრება გსურთ. რატომ?**

- თუკი იმ ეპოქაში ვიცხოვრებდი, რომეოს როლს ავირჩევდი. ალბათ იმიტომ, რომ ლამაზი და უანგარო სიყვარული იცოდნენ. თუკი ვინმე ნამდვილად გიყვარს, მაშინ ის თავისი ნაკლოვანებებით უნდა გიყვარდეს.


*ეროს რამაზოტი და მირანდა*

**- ეთანხმებით ბაირონის გამოთქმას, რომ სიყვარული კაცებისთვის - ნახევარი, ქალებისთვის კი მთელი ცხოვრებაა?**

- რა თქმა უნდა, არა. მე ხომ სიმღერებს სიყვარულის გამო ვწერ. რამდენიმე წლის წინათ ვთქვი, როდესაც შემიყვარდება, ოჯახის გამო შეიძლება მუსიკასაც კი დავანებო თავი და სადმე, სოფელში წყნარად ვიცხოვრო-თქო.

**- ამიტომაც ღვრიან ცრემლებს ქალები, როდესაც თქვენ სიმღერებს უსმენენ...**

- საერთოდ, ზომიერი თაყვანისმცემლები მიყვარს. მათთან საუბარიც მსიამოვნებს. ბევრ ჩემს მსმენელთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. კონცერტებზე მათთვის საუკეთესო ადგილებს უფასოდ გამოვყოფ ხოლმე.

**- რატომ ღირს თქვენს კონცერტებზე ბილეთი ძვირი?**

- ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად, ბოლო მსოფლიო ტურნეს დროს კოლექტივში 90 ადამიანი მყავდა, ამიტომ ხარჯიც დიდი იყო. სცენის გაფორმებაზე და აპარატურაზეც ბევრი იხარჯება. მე კი თავად დაბალი ჰონორარი მაქვს. ძალიან მინდა, უბრალო ხალხი, ვისაც დიდი ფული არ აქვს, მაგრამ კონცერტზე დასწრება უნდა, ჩემს კონცერტებზე ვნახო. მიყვარს საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა. ბევრი მეგობარი კონცერტების დროს შევიძინე. წიგნებისა და ფეხბურთის გარდა, მოგზაურობა მიტაცებს და ამას გასტროლების საშუალებით ვახერხებ.

**- თქვენ იტალიაში საფეხბურთო გუნდის კაპიტანი ხართ?**

- დიახ. ეს არის იტალიელი მომღერლებისგან შემდგარი "სკუადრა აძურა". ჩვენ ხშირად ვიკრიბებით და საფეხბურთო მატჩებს ვმართავთ. მე მეცხრე ნომრიანი მაისური მაქვს. ხშირად გოლებიც გამაქვს. მეუბნებიან, მომღერალი რომ არა, ფეხბურთელი იქნებოდიო. თებერვალში ბაჯოსთან ერთად ვიწექი საავადმყოფოში. მან მითხრა, - მენისკის ოპერაცია რატომ დაგჭირდა, შენ ხომ მომღერალი ხარ, თუ ჩუმად ფეხბურთს თამაშობო? ბაჯო ძალიან კარგი პიროვნებაა. ვაფასებ, როგორც ფეხბურთელს. საერთოდ, "იუვენტუსის" ქომაგი ვარ. როდესაც ვმკურნალობდი, ჟურნალისტებს ვეხუმრე, რომ ახლა წყნარად ვარ, რადგან ჩემს მაგივრად ბაჯოს შეუძლია თამაში.

**- როგორია თქვენი ჩაცმის სტილი?**

- სტილი მიყვარს. ჩემი საყვარელი დიზაინერია ჯორჯიო არმანი. ძირითადად, მასთან ვყიდულობ ტანსაცმელს. თან, ისიც ჩემსავით მილანში ცხოვრობს.

## კალეიდოსკოპი




### გონს მოდით, ხალხო!

არა სადმე მიყრუებულ ადგილას, არამედ ევროპის შუაგულში, ქალაქ მიუნხენში, ახალგაზრდების გამოკითხვამ საოცარი ფაქტები ნათელჰყო: აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 20 პროცენტი ჩასახვის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებად ჰიგიენურ ტამპონებს თვლის. დაორსულებასთან ბრძოლა საერთოდ ძალიან საინტერესო ხერხებით ხდება: ნაწილი აბებს თვეში ერთხელ სვამს, ნაწილი – სექსამდე, ნაწილი – სექსის შემდეგ, ზოგიც სულაც ყოველი ჭამის შემდეგ ყლაპავს.

სულ 536 ახალგაზრდა გამოკითხეს, 12-დან 16 წლამდე ასაკისა.

### ყველაზე სასურველი ქალი

სუპერმოდელი ჰაიდი კლუმი გერმანიის ყველაზეეროტიული ქალია – ყოველ შემთხვევაში, ტელეარხ RTL-ის მაყურებლებს ასე მიაჩნიათ. ინტერნეტით ჩატარებულ გამოკითხვაში 100 ათასი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. მშვენიერმა კლუმმა ეს საპატიო წოდება შარშანაც მოიპოვა.

### ალანის მორისეტს "დამაკმაყოფილებელი"

ალანის მორისეტმა, ტურნეებით გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ახალი წლის დადგომამდე კომპაქტ-დისკის ჩაწერა მოასწრო. კომპაქტ და DVD ჩანაწერი 10 დეკემბერს გამოვიდა და მორისეტიც უკვე გზას დაადგა – ის თავისი ალბომის Feast on Scraps პრომოუშენისთვის აშშ-ს სხვადასხვა ქალაქებში კონცერტებს მართავს. კრებულში შედის მორისეტის როტერდამში ჩატარებული კონცერტის სრული ჩანაწერი და ნაწყვეტები სხვა ევროპული კონცერტებიდან, ასევე - რვა ახალი სიმღერა და სინგლის Hands Clean აკუსტიკური ვერსია. კრიტიკოსები მორისეტის ახალ ნამუშევარს ხუთბალიანი სისტემის სამი ბალით აფასებენ. მათი აზრით, ნამდვილად კარგია ის სიმღერები, რომელშიც მორისეტი თავისი ძლიერი ხმით საზოგადოებრივ სიმახინჯეებს ამხელს, შედარებით მშვიდ ჰანგებში კი ეს ტემპერამენტი და ცეცხლი იკარგება. რაც შეეხება ციფრულ ვიდეოდისკს, ის მორისეტის წინა ალბომის ჩაწერის დოკუმენტურ კადრებს შეიცავს, სადაც მომღერალს სახლში იხილავთ - მუშაობის დროს.

# ბექჰემი ნუშითა და შოკოლადით



*ბექჰემის იაპონური რეკლამა*

იაპონელებს ბექჰემისადმი სიყვარული არც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ განელებიათ. ინგლისის ნაკრების მარცხის მიუხედავად, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და ეროვნული ნაკრების კაპიტანი დღესაც მაღალი რეიტინგით სარგებლობს. იაპონურმა შოკოლადის მწარმოებელმა კომპანიამ ამიტომაც გადაწყვიტა, თავისი ახალი პროდუქტის რეკლამაში ბექჰემი და მისი მეუღლე გადაეღო. უზარმაზარი ბილბორდები, რომლებიდანაც დევიდი და ვიქტორია ქუჩაში გამვლელებისკენ იმზირებიან, ტოკიოში რამდენიმე დღის წინ გაჩნდა. 16 დეკემბერს კი მშვენიერმა მოდელებმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს ბექჰემის ძეგლიც.

თუმცა, რეკლამის იდეის გათვალისწინებით, ინგლისელი ფეხბურთელი, ბრინჯაოსგან კი არა, შოკოლადისგანაა ჩამოსხმული. ძეგლს ასეც ჰქვია: "შოკო-ბექჰემი". ქანდაკების ავტორს იმედი აქვს, რომ განსაკუთრებულად ტკბილი მასალისგან "დამზადებული" ფეხბურთელი იაპონელებს ახალ, ნუშიანი შოკოლადის კანფეტს მალე შეაყვარებს.

ტოკიოში სულმოუთქმელად ელოდნენ დღევანდელი დღის დადგომასაც – სამშაბათიდან დევიდ ბექჰემი მათ ტელე-ეკრანიდანაც გაუღიმებს და შოკოლადის გემრიელ ფილას მათ თვალწინ დააგემოვნებს.

# ამერიკელების სვინგ-არჩევანი


*ელა ფიცჯერალდი*

ამაღლებულ საშობაო განწყობას, ფერადი ნათურებით მორთული სახლის, ცოცხალი ნაძვის ხისა და სათამაშოების გარდა, თემატური მუსიკაც ქმნის. ამერიკაში, წინა-საშობაო ისტერიის ფონზე, მილიონობით სადღესასწაულო განწყობის შემქმნელი მუსიკალური კომპაქტ-დისკი იყიდება. გამოდის მრავალი ახალი ჩანაწერი, მაგრამ, როგორც "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტები ამტკიცებენ, მოდიდან მაინც არ გადადის კლასიკად ქცეული საშობაო ჰანგები. მათ შორის კი, პირველობას ელა ფიცჯერალდის სიმღერები ფლობს. მისი 1960 წლის ალბომი - "ელა გისურვებთ სვინგ-შობას", ხელახლა გამოიცა კიდეც.

შობის ეს სვინგ-ვერსია დღემდე საცეკვაოდ განაწყობს მუსიკის თაყვანისმცემლებს. ისეთი ცნობილი და ძველი სიმღერები, როგორიცაა Jingle Bells, Let it Snow, Have yourself a Merry Little Christmas და მრავალი სხვა, ელას შესრულებით, ახლაც მოდურად და სადღესასწაულოდ ჟღერს. იგივე შეიძლება ითქვას, ლეროი ანდერსონის, თითქოს, ძველმოდურ ჰიტზეც Sleigh Ride, რომლის ელასეული ვერსია 2002 წელსაც ისევე თანამედროვეა, როგორც - წარსულში.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამერიკა სვინგის ეპოქას დაუბრუნდა და საშობაო დღესასწაულის გატარებას სვინგის შავკანიან და უნიკალურხმიან დედოფალთან ერთად აპირებს. ელა ფიცჯერალდის პოპულარობის მიზეზს კი ისინი იმით ხსნიან, რომ მისი მუსიკა მსმენელს წარსულისადმი ნოსტალგიას არ აღუძრავს და არც მელანქოლიურ განწყობას უქმნის. ამ ძველი საშობაო ჩანაწერის განახლებულ ვერსიას, რომელიც ამერიკაში დიდი წარმატებით იყიდება, თან ახლავს ორი ახალი ტრადიციული საშობაო ჰიმნიც: We Three Kings და O Little Town of Bethlehem. ელას შესრულებით ამერიკელები ამ ძველმოდურ ჰანგებს სიამოვნებით ისმენენ.





L1 ქეთი ლორთქიფანიძე
ასაკი-13, 172/79/59/79, თვალი - ყავის, თმა - ღია წაბლი



L3 ნათია ღვალაძე
ასაკი-16, 172/84/59/85, თვალის - ყავის, თმა - წაბლის



L2 ნინო გვარლიანი
ასაკი-16, 177/88/62/92, თვალის - ყავის, თმა - შავი



L4 ლიზი ჩიტაძე
ასაკი-24, 181/85/65/89, თვალის - ყავის, თმა - წაბლის





L5 რუსიკო ამაშუკელი
ასაკი-18, 182/91/62/92, თვალის - თაფლის, თმა - შავი




# TV პროგრამა 17 დეკემბერი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 პაწაწინა ონავრები
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 ბურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 პაწაწინა ონავრები
18.45 სერიალი "მედისონის სკოლა"
19.10 ჰერაკლე
19.30 პერეკრესტოკი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.20 მხ. ფილმი "ჯერუს ალმასი"
02.30 კლასიკა.

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 დრო და ფული
09.55 მხ. ფილმი "წყლის წონა"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "პოლიციის კომისრის აღსარება რესპუბლიკის პროკურორისადმი"
16.55 ტელესერიალი "ძილის წინ"
17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
17.40 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 კონცერტი
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.30 ფიფას გალა წარმოდგენა (პირდაპირი რეპორტაჟი მადრიდიდან)

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
08.20 გამ. კვირის საუკ. ლექსები
11.00 გამ. მუსათეული
11.45 - 13.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 ფილმი კომედია "რომელი პლანეტიდან ხარ?"
19.00 გამ. პაპარაცი
19.30 ვიდეორადიო
21.00 გამ. ქართული მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი კინოობანა
22.45 მოკლე სეანსი
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო "მახე"
01.45 ფილმი ღამურა "რკინის ხალხი"
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
21.00 დოკ. ფილმი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "უკანასკნელი რელიქვია"

## ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20 მულტფილმი
12.00, 21.00 სალონი
14.00, 15.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მხ.ფ. "ინკოგნიტო"

## იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 აღსავალი
08.20 ანონსი, მულტფილმი
08.30 ბურთი და მოედანი
09.05 მხ. ფილმი "აშარი"
10.25 დოკ. სერიალი
10.45, 14.10, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
10.50 მხ.ფ. "ვალების ამკრეფი"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "რა შეუძლია სიყვარულს"
22.30 ძველი კინო "ლიზა"
00.50 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი "გაიცანით ჯო ბლექი"
15.00 მხ. ფილმი "წამოწყება"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "დეივი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "მამაცი გული"

## მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
17.25, 20.50, 21.45, 23.35 მუსიკა
11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება"
12.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
12.30 მხ. ფილმი "ზვავი"
14.25 მხ. ფილმი "ორომტრიალი"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 24-ე სერია
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰარაზადა" 24-ე სერია
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 72-ე სერია
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ბენზინი სისხლში" მე-8 სერია
21.10 მაგიური საღამოები "მიკრო მაგია"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "პალუნკე მაიას ქალაქის ნანგრევები. მექსიკა".
22.00 მხ.ფ. "ტარაკანა" მთ. როლებში ერიკ რობერტსი, ხოაკიმ დე ალმეიდა
23.55 მხ.ფ. "ცივი გული" მთ. როლებში ნასტასია კინსკი, ჯეფ ფეიჰი

## აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 საბავშვო ფილმი "პოლიციელი ბიჭუნა"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 თრილერი "კლდე"
14.25 მელოდრამა "ბრაუნინგის ვერსია"
16.10, 19.30, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.15 მულტფილმი
17.30 კომედია "ცხოველი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 მელოდრამა "მის დოლოუეი"
21.15 დოკუმენტური ფილმი
22.00, 00.00 "დღეს"
22.50 "Пресс-папье"
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.15, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.20 "რა არ ხდება"
23.30 დოკუმენტური ფილმი
01.10 მხატვრული ფილმი "ნათლიმამის განაჩენი"
03.30 ისტორიული ფილმი "ბუს ციხესიმაგრე"

## VII არხი

09.30 "აჩიკუდა"
09.55 "ბედნიერი ერი"
10.00 "სახლიდან გაუსვლელად"
10.20 მელოდია
10.50 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
11.25 "სახლიდან გაუსვლელად"
12.10 ანიმაცია
12.25 "სახლიდან გაუსვლელად"
13.15 "ბიორითმი" - - ბრიტნი სფირსი
13.35 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 "სახლიდან გაუსვლელად"
14.45 სპორტი
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.45 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 პორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.05 "ღამის კაპრიზი" - თემა: სექსუალური უმცირესობები
22.05 "სახლიდან გაუსვლელად"
22.45 "კინოკლუბი" - "სახიფათო ჩაძირვა".
00.15 "სახლიდან გაუსვლელად"
00.50 "ბიორითმი" - ბრიტნი სფირსი

**საგაზეთო ქაღალდი**
**ფასდაკლებით**

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

**საშობაო ფასდაკლება**
15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

**წამალი "სალხინო"**
**ქართული ფლორის საოცრება**

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]